- ⇒ შავ ზღვაში სამრეწველო თევზჭერის ლიცენზიანტების თევზსაჭერი გემები online-რეჟიმში ახორციელებენ თევზჭერის აღრიცხვას „ელექტრონული სარენაო უუნალის“ მეშვეობით, რაც საშუალებას იძლევა რეალურ რეჟიმში იქნეს მიღებული ინფორმაცია მათ მიერ მოპოვებული თევზის რაოდენობის შესახებ სახეობების მიხედვით (დაუყოვნებლივ - ვიზუალური შეფასებით, დაზუსტებული - 96 საათის განმავლობაში);
- ⇒ 2018 წელს ელექტრონულ სისტემაში შემუშავდა რეპორტინგის სისტემა, თევზჭერის მონაცემების შეფასებისა და ანალიზის გაუმჯობესების მიზნით
- ⇒ 2017-2018 წ.წ. - დასრულდა და კეთილმოეწყო ახალი ოფისები დეპარტამენტის რეგიონული სამმართველოებისთვის - ახალციხეში, ამბროლაურში, ბათუმსა და ზუგდიდში
- ⇒ შეძენილია საველე აღჭურვილობები ინსპექტორებისა და სწრაფი რეაგირების ეკიპაჟებისთვის - მათ შორის, საველე პლანშეტები, ლეპტოპები, ლაზერული მანძილმზომები, სხვა აღჭურვილობა ლაბორატორიული სინჯებისა და გაზომვებისთვის და სხვა)
- ⇒ მიღებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება №256, 2017 წლის 25 მაისი - ტექნიკური რეგლამენტის - ზოგიერთ თხევად საწვავში გოგირდის შემცველობის ზღვრული მნიშვნელობების დადგენის შესახებ დამტკიცების თაობაზე.

2.3 ამოცანის განხორციელებისთვის 2017-2018 წლებში სახელმწიფოს მიერ გახარჯულია 1,449,000 ლარი

ქმედება 2.3.1 ეფექტური გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემის ჩამოყალიბება

პასუხისმგებელი უწყება: სსდ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დეპარტამენტი

ქმედების მიზანი: აქტივობის მიზანია საქართველოში თანამედროვე, ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებული გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემის ჩამოყალიბება, რომლის შესაბამისად გარემოზე ზიანის მიყენების პრევენცია, შერბილება/აღმოფხვრა და აღდგენა „დამბინძურებელი იხდის“ პრინციპზე დაყრდნობით განხორციელდება.

განხორციელებული ღონისძიებები

- 2018 წელს შემუშავდა კანონპროექტი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“, რომელიც წარედგინა სამინისტროს შემდგომი მსვლელობისთვის. კანონის მიღების შემდგომ და მის საფუძველზე შემუშავდება ზიანის გაანგარიშების მეთოდოლოგია;
- გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ დირექტივის (2004/35/EC) მოთხოვნების პრაქტიკული იმპლემენტაციის მიზნით, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარადაჭერით 2018 წლის 10-14 დეკემბერს გაიმართა სწავლება/ტრენინგი, რომელიც გაიარა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 15 ინსპექტორმა.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ითვალისწინებდა „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებასა და გარემოზე მიყენებული ზარალის გაანგარიშების მეთოდოლოგიის შემუშავებას. ქმედება არ შესრულდა - ვინაიდან კანონი არ არის მიღებული, ხოლო გარემოსთვის მიყენებული ზიანის მეთოდოლოგიის შემუშავება ამ კანონპროექტის

შესაბამისად გათვალისწინებულია 2020 წლის 1 იანვრამდე (საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „გარემოზე მიყენებული ზიანის ფულადი ანაზღაურების შესახებ“). ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ფინანსდება დონორის გრანტით.

ამოცანა 2.3 გარემოსდაცვითი კანონალსრულებისა და ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 2.3.1 ეფექტური გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემის ჩამოყალიბება
პასუხისმგებელი უწყება:	სსდ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დეპარტამენტი
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: მიღებული საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ და გარემოზე მიყენებული ზარალის გაანგარიშების მეთოდოლოგია	შესრულებული: კანონი არ არის მიღებული
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულების შეფასება	რეიტინგი	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
						X
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულია	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

ქმედება 2.3.2 „ბრაკონიერობასთან ბრძოლის სტრატეგიის“ შემუშავება და დამტკიცება
პასუხისმგებელი უწყება: სსდ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დეპარტამენტი
ქმედების მიზანი: აქტივობის მიზანია ბრაკონიერობასთან ბრძოლის ეფექტიანი, თანმიმდევრული, შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ბრაკონიერობის ფაქტების პრევენციას, გამოვლენასა და აღკვეთას, არსებული მექანიზმების დახვეწისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გზით, ასევე ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულ უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავებას, საზოგადოების ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

განხორციელებული ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში ქმედების განხორციელება არ დაწყებულია - სტრატეგიის შემუშავების დაწყება იგეგმებოდა 2018 წელს, რაც არ მოხერხდა.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ითვალისწინებდა ბრაკონიერობასთან ბრძოლის სისტემის ამოქმედებას. საანგარიშო პერიოდში ქმედება არ შესრულდა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედების განხორციელება იგეგმება ღონისძიების დახმარებით.

ამოცანა 2.3 გარემოსდაცვითი კანონმდებლობისა და ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 2.3.2 „ბრაკონიერობასთან ბრძოლის სტრატეგიის“ შემუშავება და დამტკიცება
პასუხისმგებელი უწყება:	სსდ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დეპარტამენტი
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი:	შესრულებული:
მიღებული ბრაკონიერობის იდენტიფიცირების მოქმედი სისტემა	არ შესრულდა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი				X
	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
სტატუსი	X				

ქმედება 2.3.3 მეთოდოლოგიის დანერგვა ნებადართული ობიექტების ინსპექტირების პრიორიტეტების დასადგენად

პასუხისმგებელი უწყება: სსდ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დეპარტამენტი

ქმედების მიზანი: აქტივობის მიზანია შექმნას სამართლებრივი საფუძველი რეგულირების ობიექტების ინსპექტირების თაობაზე ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად - კერძოდ, შემუშავდება გარემოსდაცვითი შემონმების პრიორიტეტების განსაზღვრის მეთოდიკა, რომელიც უზრუნველყოფს რეგულირების ობიექტების შემონმებათა დაგეგმვისადმი სისტემური მიდგომის დანერგვას ეკოლოგიური რისკებისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებასთან დაკავშირებული რისკების ანალიზის გათვალისწინებით.

განხორციელებული ღონისძიებები

- შემუშავდა რისკებზე დაფუძნებული გარემოსდაცვითი შემონმების პრიორიტეტების განსაზღვრის მეთოდოლოგიის პროექტი;
- მეთოდოლოგიის პროექტი განხილულ იქნა 2018 წლის 19-22 დეკემბერს ჩატარებულ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინსპექტორების ტრენინგზე;

- მიმდინარეობს გარემოსდაცვით ნებაართვებს დაქვემდებარებული რეგულირების ობიექტების შეფასება მეთოდოლოგიით გათვალისწინებული პრიორიტეტების დადგენის ორგანიზაციული ასპექტების, კრიტერიუმებისა და ალგორითმების გამოყენებით.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ითვალისწინებდა ნებაართული ობიექტების ინსპექტირების პრიორიტეტების დადგენის მეთოდოლოგიის შემუშავებას და აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით ყოველწლიურად სამოქმედო გეგმის შემუშავებას. საანგარაშიო პერიოდში ქმედების ინდიკატორები არ შესრულდა - მეთოდოლოგიის პროექტის დამტკიცება და მეთოდოლოგიის შესაბამისად რეგულირების ობიექტების შემონახვათა წლიური გეგმის შემუშავება გათვალისწინებულია 2019 წლისათვის.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ფინანსდება დონორის გრანტით.

ამოცანა 2.3 გარემოსდაცვითი კანონალსრულებისა და ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 2.3.3 მეთოდოლოგიის დანერგვა ნებაართული ობიექტების ინსპექტირების პრიორიტეტების დასადგენად
პასუხისმგებელი უწყება:	სსდ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დეპარტამენტი
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: მიღებული მეთოდოლოგია მეთოდოლოგიის შესაბამისად ყოველწლიური ინსპექტირების შემუშავებული გეგმა	შესრულებული: მეთოდოლოგია არ არის მიღებული შესაბამისად, არც ინსპექტირების გეგმები შემუშავებულა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა		
შესრულების შეფასება	რეიტინგი				X	
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

ქმედება 2.3.4 მონაცემთა ელექტრონული მართვის სისტემის დანერგვა ლიცენზიის პირობების შესრულების ანგარიშებისთვის

პასუხისმგებელი უწყება: სსდ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დეპარტამენტი

ქმედების მიზანი: ქმედების მიზანია მონაცემთა ელექტრონული მართვის სისტემის დანერგვა/განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელების მიერ ბუნებრივი რესურსების მოპოვების/ათვისების მონაცემების ელექტრონულ ფორმატში წარმოდგენის შესაძლებლობების განვითარებას.

განხორციელებული ღონისძიებები

- წლების განმავლობაში პრიორიტეტული იყო სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების ანგარიშების ელექტრონული სისტემის უზრუნველყოფა, სასარგებლო წიაღისეულის მრავალფეროვნების, გაცემული ლიცენზიების დიდი რაოდენობიდან გამომდინარე. ამჟამად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების კონტროლი დეპარტამენტის კომპეტენციას არ განეკუთვნება;
- რაც შეეხება სხვა ბუნებათმოსარგებლებს, გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის ელექტრონულ სისტემაში (პორტალი - emoe.gov.ge) ჩართულნი არიან ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელები („ტყის რესურსების“ მოდული), მრგვალი ხე-ტყის პირველადი გადამუშავების საამქროებთან ერთად („სახეჩხი საამქროების“ მოდული). 2017 წელს ელექტრონულ სისტემაში ყოველდღიურ ანგარიშგებას მათ მიერ დამზადებული ხე-ტყის თაობაზე ახორციელებდა ხე-ტყის დამზადების 37, ხოლო 2018 წელს - 35 ლიცენზიის მფლობელი;
- 2017 წლიდან ამავე სისტემაში შემუშავდა და დაინერგა „თევზჭერის“ მოდული, რომელშიც ჩაერთვნენ შავ ზღვაში სამრეწველო თევზჭერის სპეციალური ლიცენზიის მფლობელები, ასევე მათ დაქვემდებარებაში არსებული ან იჯარით მომუშავე გემები (მათ შორის, ქართული გემები), რომლებიც ონლაინში აწარმოებენ მათ მიერ მოპოვებული რესურსის ელექტრონულ აღრიცხვას. 2017-2018 წლის თევზჭერის სეზონზე - შავ ზღვაში სამრეწველო თევზჭერის 9 ლიცენზიის მფლობელი მათ მფლობელობაში არსებული გემების ელექტრონული სარეწაო ურუნალის მეშვეობით.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ითვალისწინებდა ლიცენზიის პირობების შესრულების ანგარიშების ელექტრონული სისტემის შექმნასა და ლიცენზიანტების მიერ გაკეთებული ანგარიშების რაოდენობის დათვლას. საანგარიშო პერიოდში ქმედება სრულად შესრულდა - ლიცენზიის პირობების შესრულების ანგარიშის ელექტრონული სისტემა ფუნქციონირებს. ყოველდღიურ ანგარიშგებას მათ მიერ დამზადებული ხე-ტყის თაობაზე ახორციელებდა ხე-ტყის დამზადების 37, ხოლო 2018 წელს - 35 ლიცენზიის მფლობელი, ხოლო 2017-2018 წლის თევზჭერის სეზონზე - შავ ზღვაში სამრეწველო თევზჭერის 9 ლიცენზიის მფლობელი.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ფინანსდება დონორის გრანტით.

ამოცანა 2.3 გარემოსდაცვითი კანონდარსებებისა და ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 2.3.4 მონაცემთა ელექტრონული მართვის სისტემის დანერგვა ლიცენზიის პირობების შესრულების ანგარიშებისთვის
პასუხისმგებელი უწყება:	სსდ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დეპარტამენტი
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2018 – 31.12.2018

შესრულების ინდიკატორები	
<p>დაგეგმილი:</p> <p>მოქმედი მონაცემთა ელექტრონული მართვის სისტემა</p> <p>ლიცენზიების მფლობელების მიერ სისტემაში გაკეთებული ანგარიში</p>	<p>შესრულებული:</p> <p>ელექტრონული მართვის სისტემა ფუნქციონირებს</p> <p>სისტემაში ანგარიშს ახორციელებდა ხე-ტყის დამზადების 37, ხოლო 2018 წელს - 35 ლიცენზიის მფლობელი, ხოლო 2017-2018 წლის თევზჭერის სეზონზე - შავ ზღვაში სამრეწველო თევზჭერის 9 ლიცენზიის მფლობელი</p>
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულების შეფასება	რეიტინგი	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
		X				
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულია	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

ქმედება 2.3.5 სამრეწველო თევზჭერის თვითმონიტორინგისა და თვითანგარიშგების სისტემის შექმნა

პასუხისმგებელი უწყება: სსდ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დეპარტამენტი

ქმედების მიზანი: აქტივობის მიზანია ქვეყანაში სამრეწველო თევზჭერის აღრიცხვიანობის მონესრიგება და კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესება ელექტრონული მონიტორინგის მონაცემებისა და მიკვეთვადობის საშუალებების გამოყენებით, რაც ასევე უზრუნველყოფს ღრმა და ყოველმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობას (DCFTA) აღებული ვალდებულებების შესრულებას.

განხორციელებული ღონისძიებები

- 2017 წლის 1 ნოემბრიდან დაინერგა თევზჭერის ელექტრონული აღრიცხვისა და მონიტორინგის სისტემა;
- გეგმბზე დამონტაჟდა ელექტრონული მონიტორინგის სისტემები;
- შავ ზღვაში სამრეწველო თევზჭერის ლიცენზიანტების მფლობელობაში არსებული თევზსაჭერი გემები online-რეჟიმში ახორციელებენ თევზჭერის აღრიცხვას „ელექტრონული სარეწაო უნალის“ მეშვეობით, რაც საშუალებას იძლევა რეალურ რეჟიმში გვეჩვენოს ინფორმაცია მათ მიერ მოპოვებული თევზის რაოდენობის შესახებ სახეობების მიხედვით (დაუყოვნებლივ - ვიზუალური შეფასებით, დაზუსტებული - 96 საათის განმავლობაში);

- თევზჭერის ელექტრონული სისტემის ამოქმედებათან დაკავშირებით შავ ზღვაში სამრეწველო თევზჭერის ლიცენზიის მფლობელებისა და თევზჭერის განმახორციელებელი პირებისთვის ჩატარდა სწავლება (ფოთი, ნოემბერი, 2017 წ.);
- 2018 წელს ელექტრონულ სისტემაში შემუშავდა რეპორტირების სისტემა, თევზჭერის მონაცემების შეფასებისა და ანალიზის გაუმჯობესების მიზნით

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედების ინდიკატორები შესრულებულია - სამრეწველო თევზჭერის თვითმონიტორინგისა და თვითანგარიშგების ელექტრონული სისტემა ფუნქციონირებს და მასში ჩართული არიან შავ ზღვაში თევზჭერის სპეციალური ლიცენზიის მქონე პირები. ამასთანავე, გემებზე დამონტაჟებულია პირდაპირი ვიდეომონიტორინგი სისტემები. რადგან თევზსაჭერი გემები online-რეჟიმში ახორციელებენ თევზჭერის აღრიცხვას „ელექტრონული სარენაო უნალის“ მეშვეობით, ეს საშუალებას აძლევს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დეპარტამენტს რეალურ რეჟიმში მიიღოს ინფორმაცია გემების მიერ მოპოვებული თევზის რაოდენობის შესახებ სახეობების მიხედვით (დაუყოვნებლივ - ვიზუალური შეფასებით, დაზუსტებული - 96 საათის განმავლობაში).

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება განხორციელდა დონორის დამხარებით.

ამოცანა 2.3 გარემოსდაცვითი კანონალსრულებისა და ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 2.3.5 სამრეწველო თევზჭერის თვითმონიტორინგისა და თვითანგარიშგების სისტემის შექმნა
პასუხისმგებელი უწყება:	სსდ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დეპარტამენტი
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
<p>დაგეგმილი:</p> <p>მონაცემთა მართვის მოქმედი ელექტრონული სისტემა</p> <p>გემებზე დამონტაჟებული პირდაპირი ვიდეომონიტორინგის სისტემა</p> <p>შეფასებადი ზუსტი მონაცემები თევზჭერის შესახებ (თევზის რაოდენობა, თევზის სახეობები)</p>	<p>შესრულებული:</p> <p>ელექტრონული სისტემა ფუნქციონირებს</p> <p>გემებზე დამონტაჟებულია პირდაპირი ვიდეომონიტორინგის სისტემა</p> <p>„ელექტრონული სარენაო უნალი“ საშუალებას იძლევა რეალურ რეჟიმში მიღებულ იქნეს ინფორმაცია მოპოვებული თევზის რაოდენობის შესახებ სახეობების მიხედვით (დაუყოვნებლივ - ვიზუალური შეფასებით, დაზუსტებული - 96 საათის განმავლობაში).</p>
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულებ ის შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი	X				
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შენწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
სტატუსი		X				

ქმედება 2.3.6 გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაძლებლობების გაზრდა

პასუხისმგებელი უწყება: სსდ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დეპარტამენტი

ქმედების მიზანი: ქმედების მიზანია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაძლებლობის თანმიმდევრული ზრდა პერსონალის გადამზადებისა და ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესების გზით.

განხორციელებული ღონისძიებები

- 2017 წელს დეპარტამენტის ინსპექტორებსა და გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების თანამშრომლებს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩაუტარდათ ტრენინგები სხვადასხვა თემებზე: სატყეო და ბიომრავალფეროვნების მიმართულებით, მერქნული რესურსების ელექტრონული მართვის სისტემის საკითხებზე, გარემოსდაცვითი კონტროლისა და სატყეო სექტორის პოლიტიკის, მართვისა და ზედამხედველობის, ნარჩენების მართვის, სამრეწველო ავარიების პრევენციის, ველური ბუნებით უკანონო ვაჭრობის, GPS-ხელსაწყოების ეფექტურად გამოყენების საკითხებზე. სულ გადამზადდა დეპარტამენტის 375 თანამშრომელი;
- 2018 წელს დეპარტამენტის ინსპექტორებს ჩაუტარდათ ტრენინგები სხვადასხვა თემებზე: სამრეწველო ემისიების დირექტივის, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ დირექტივის მოთხოვნების პრაქტიკული იმპლემენტაციის საკითხებზე, ასევე ჩამდინარე წყლების ემისიებისა და ინვენტარიზაციის, ნარჩენების მართვის, შავ სამრეწველო თევზჭერის კონტროლის, სახერხი საამქროების ელექტრონული მართვის, რეგულირების ობიექტების ინსპექტირების დაგეგმვის, ინოვაციური SMART ტექნოლოგიების გამოყენების საკითხებზე. ტრენინგი გაიარა დეპარტამენტის 128 ინსპექტორმა;
- 2017-2018 წ.წ. - დასრულდა და კეთილმოეწყო ახალი ოთახები დეპარტამენტის რეგიონული სამმართველოებისთვის - ახალციხეში, ამბროლაურში, ბათუმსა და ზუგდიდში;
- შეძენილია სავლელე აღჭურვილობები ინსპექტორებისა და სწრაფი რეაგირების ეკიპაჟებისთვის - მათ შორის, სავლელე პლანშეტები, ლეპტოპები, ლაზერული მანძილმომები, სხვა აღჭურვილობა ლაბორატორიული სინჯებისა და გაზომვებისთვის და სხვა)

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ითვალისწინებდა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების ტრენინგს, აღჭურვილობის განახლებასა და ამის შედეგად ინსპექტირების რაოდენობის ზრდას. ქმედების ინდიკატორები უმეტესწილად შესრულებულია -

მიმდინარეობს დეპარტამენტის თანამშრომლების რეგულარული ტრენინგები, ასევე ხდება დეპარტამენტის თანამედროვე აღჭურვილობით უზრუნველყოფა. ქმედების მთლიანი ბიუჯეტი განისაზღვრა 2,877,000 ლარის ოდენობით. ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა შეადგინა 1,449,000 ლარი.

ამოცანა 2.3 გარემოსდაცვითი კანონალსრულებებისა და ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 2.3.6 გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაძლებლობების გაზრდა
პასუხისმგებელი უწყება:	სსდ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დეპარტამენტი
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: დატრენინგებული თანამშრომლების რაოდენობა შეძენილი ახალი აღჭურვილობა ჩატარებული ინსპექტირებების გაზრდილი რაოდენობა (პროცენტულად)	შესრულებული: დატრენინგებულია 503 თანამშრომელი შეძენილია სავსე აღჭურვილობები ინსპექტორებისა და სწრაფი რეაგირების ეკიპაჟებისთვისარ შესრულდა კონკრეტული მონაცემები საანგარიშო პერიოდში არ არის დეპარტამენტის კომპენტციების ცვლილებიდან გამომდინარე
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 2,877,000	ფაქტობრივი: 1,449,000

	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
შესრულებ		X			
ის შეფასება	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულია	განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
სტატუსი		X			

ქმედება 2.3.7 სანავის ხარისხის კონტროლის სისტემის შემოღება საზღვაო ტრანსპორტზე

პასუხისმგებელი უწყება: სსდ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დეპარტამენტი

ქმედების მიზანი: ქმედების მიზანია საქართველოს ნავსადგურში ნავმისადგომებთან განთავსებული გემების მიერ გამოყენებულ სანავაში გოგირდის შემცველობის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

განხორციელებული ღონისძიებები

- მიღებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება №256, 2017 წლის 25 მაისი - ტექნიკური რეგლამენტის – ზოგიერთ თხევად საწვავში გოგირდის შემცველობის ზღვრული მნიშვნელობების დადგენის შესახებ დამტკიცების თაობაზე.
- აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, თხევადი საწვავის სინჯის აღების, ანალიზის მეთოდებისა და ინსპექტირების წესი შემუშავდება 2021 წლამდე, რომლის საფუძველზე განხორციელდება შესაბამისი სინჯების აღება და ლაბორატორიული კვლევების ჩატარება.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედების ინდიკატორები მოიცავდა საზღვაო ტრანსპორტის საწვავის ხარისხის კონტროლზე პასუხისმგებელი თანამშრომლების დატრენინგებას და გაანალიზებული საწვავის ნიმუშების რაოდენობას. საანგარიშო პერიოდში არ მომხდარა არც თანამშრომელთა გადამზადება და არც საზღვაო ტრანსპორტის საწვავის კონტროლი არ დაწყებულა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამოცანა 2.3 გარემოსდაცვითი კანონდარსებებისა და ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 2.3.7 საწვავის ხარისხის კონტროლის სისტემის შემოღება საზღვაო ტრანსპორტზე
პასუხისმგებელი უწყება:	სსდ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დეპარტამენტი
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2018 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: დატრენინგებული თანამშრომლების რაოდენობა (შავი ზღვის დაცვის კონვენციის სამმართველოდან) გაანალიზებული ნიმუშების რაოდენობა	შესრულებული: ტრენინგები არ ჩატარდა ნიმუშები აღება/ანალიზი საანგარიშო პერიოდში არ დაწყებულა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულების შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი				X	
	სტატუსი	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	X	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია

თავი 3: წყლის რესურსების მართვა

თავი 3 - წყლის რესურსების მართვა - მოიცავს 3 ამოცანას და ჯამში 21 ქმედებას. ამოცანები ორიენტირებულია წყლის მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვაზე, წერტილოვანი და დიფუზიური წყაროებიდან წყლის რესურსების დაბინძურების შემცირებასა და წყლის რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფაზე, ასევე წყლის რესურსების ხარისხისა და რაოდენობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის სრულყოფაზე.

თავის ქმედებების უმეტესობა სრულდება არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დონორ(ებ)ის დახმარებით. მთლიანობაში, 2017-2018 წლებში თავი ქმედებათა შესრულების ჯამურმა დანახარჯებმა შეადგინა 14,843,364 ლარი.

ამოცანა 3.1 წყლის რესურსების ეფექტიანი სისტემის დანერგვა

ამოცანა 3.1-ის შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 6 ქმედება - შემუშავებულია „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონპროექტი, განხორციელდა საქართველოს ეროვნული საზღვაო კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია, დაწყებულია მუშაობა სააუზო მართვის გეგმების შემუშავების პროცედურების განსაზღვრად, მიმდინარეობს სააუზო მართვის გეგმების შემუშავება. ამოცანის ყველა ქმედება განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2017-2018 წლის განმავლობაში:

- ⇒ შემუშავდა „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის საბოლოო ვერსია
- ⇒ საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს 2018 წლის 23 მარტის N2084-III კანონი „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“
- ⇒ შემუშავებულია "მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი
- ⇒ შემუშავდა სააუზო მართვის გეგმის პროექტი ჭოროხი-აჭარისწყალის სააუზო უბნისთვის
- ⇒ დაიწყო ალაზანი-იორის და ხრამი-დებედას სააუზო მართვის გეგმების შემუშავება.
- ⇒ მომზადდა "სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი

3.1 ამოცანის განხორციელებისთვის 2017-2018 წლებში არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

- **ქმედება 3.1.1:** „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონპროექტის შემუშავება და მიღება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ეროვნულ დონეზე წყლის რესურსების მართვის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბებას მნიშვნელოვნად აფერხებს წყლის რესურსების მართვასთან დაკავშირებული არასრულყოფილი კანონმდებლობა. საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“ (1997 წ.) მოძველებულია და ვერ არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: წყლის ობიექტებთან დაკავშირებული საკუთრების, მფლობელობისა და გამოყენების უფლებები და სხვ. საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, საქართველო ვალდებულია მოახდინოს საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის „წყლის ჩარჩო დირექტივასა“ და წყლის ხარისხთან დაკავშირებულ სხვა რეგულაციებთან. „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონპროექტის შემუშავება და მიღება მიზნად ისახავს წყლის რესურსების მართვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას, ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას და ინტეგრირებული მართვის პრინციპების შესაბამისად წყლის რესურსების დაცვასა და მდგრად გამოყენებას.

განხორციელებული ღონისძიებები

- შემუშავებულია „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის საბოლოო ვერსია. კანონპროექტი შენიშვნებისთვის დაეგზავნა ყველა დაინტერესებულ სახელმწიფო უწყებას, აგრეთვე იგი განთავსებული იყო სამინისტროს ვებ-გვერდზე საჯარო განხილვისთვის. მიღებული შენიშვნების გათვალისწინებით შეტანილია ცვლილებები კანონპროექტის ტექსტში;
- კანონის პროექტის განხილვის და ფართო საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით USAID-ის მხარდაჭერით ორგანიზებული იქნა სამუშაო შეხვედრები. 2018 წლის 5 სექტემბერს ჩატარდა კანონპროექტის საჯარო განხილვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. 18 სექტემბერს საქართველოს პარლამენტში გაიმართა საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენელთა დიალოგი „წყლის რესურსების მართვის შესახებ საქართველოს კანონის პროექტი: შესაძლებლობები და გამოწვევები“. ასევე, კანონის პროექტის მედიის წარმომადგენელთათვის გაცნობის მიზნით 2018 წლის 30 სექტემბერს - 1 ოქტომბერს ორგანიზებულ იქნა მედია-ტური ჟურნალისტებისთვის.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედების ინდიკატორის მიხედვით 2018 წელს უნდა მომხდარიყო „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება - თუმცა პროცესი გაჭიანურდა და მიუხედავად იმისა, რომ კანონის პროექტი შემუშავებულია, მისი მიღება ვერ მოხერხა. კანონპროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენა დაგეგმილია 2019 წელს.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამოცანა 3.1 წყლის რესურსების ეფექტიანი სისტემის დანერგვა

ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 3.1.1.: „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონპროექტის შემუშავება და მიღება
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2018 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: მიღებული კანონი "წყლის რესურსების მართვის შესახებ"	შესრულებული: კანონპროექტი შემუშავებულია, თუმცა კანონი 2018 წელს არ იქნა მიღებული
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულებ ის შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი			X	
	განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
სტატუსი		X			

• ქმედება 3.1.2 ეროვნული საზღვაო კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება ავალდებულებს საქართველოს შეასრულოს ევროკავშირის დირექტივის "საზღვაო გარემოს დაცვის პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი ქმედებებისათვის ჩარჩოს შემუშავების შესახებ" მოთხოვნები. დირექტივის ერთ-ერთ ვალდებულებას წარმოადგენს შავი ზღვის დაცვის ეროვნული საზღვაო სტრატეგიასა და ზღვის გარემოს კარგი ხარისხობრივი მდგომარეობის მიღწევის სამოქმედო პროგრამის შემუშავება, რაც მიზნად ისახავს ზღვის გარემოს გაუმჯობესებას, ზღვის წყლების დაბინძურების ეტაპობრივ შემცირებას და ზღვის გარემოს კარგი ხარისხობრივი მდგომარეობის მიღწევას. დირექტივის აღნიშნული დებულების საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში გადმოტანის და სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების საფუძვლის ჩამოყალიბების მიზნით საჭირო გახდა ცვლილების შეტანა „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონში.

განხორციელებული ღონისძიებები

- საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს 2018 წლის 23 მარტის N2084-II ს კანონი „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედების სრულად შესრულდა - საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 23 მარტის N2084-II ს კანონით "საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამოცანა 3.1 წყლის რესურსების ეფექტიანი სისტემის დანერგვა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 3.1.2: ეროვნული საზღვაო კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2018 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: მიღებული კანონი „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“	შესრულებული: კანონი „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულების შეფასება	რეიტინგი	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
		X	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია
	სტატუსი					X

• **ქმედება 3.1.3** სააუზო მართვის გეგმების შემუშავების პროცედურების განსაზღვრა
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: მდინარეთა აუზების ინტეგრირებული მართვა წარმოადგენს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ და აპრობირებულ მიდგომას წყლის რესურსების მართვის სფეროში. საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად საქართველო ეტაპობრივად გეგმავს ეროვნულ დონეზე დანერგოს აღნიშნული მიდგომა, რომლის ძირითადი პრინციპები მოცემულია საქართველოს კანონის პროექტში "წყლის რესურსების მართვის შესახებ". კანონპროექტის მოთხოვნების შესაბამისად უნდა მომზადდეს და ამოქმედდეს სააუზო მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურა, რაც ხელს შეუწყობს მდინარეთა აუზების ინტეგრირებული მართვის პრინციპების განხორციელებას საქართველოში.

განხორციელებული ღონისძიებები

- შემუშავებულია "მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომელიც წარდგენილი იქნება საქართველოს მთავრობისთვის "წყლის რესურსების მართვის შესახებ" კანონის მიღების შემდეგ.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ინდიკატორი ითვალისწინებდა „მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ“ მთავრობის დადგენილების მიღებას - დადგენილების პროექტი შემუშავებულია, თუმცა მისი მიღება გადაიდო, რადგანაც მისი მიღება მოხდება მხოლოდ "წყლის რესურსების მართვის შესახებ" კანონის მიღების შემდეგ.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამოცანა 3.1 წყლის რესურსების ეფექტიანი სისტემის დანერგვა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 3.1.3: სააუზო მართვის გეგმების შემუშავების პროცედურების განსაზღვრა
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2018 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: მიღებული მთავრობის დადგენილება - „მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ“	შესრულებული: მთავრობის დადგენილება არ არის მიღებული
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი			X	
	განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს	განხორციელები ს პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
სტატუსი		X			

- **ქმედება 3.1.4** გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში წყლის რესურსების სააუზო მართვის სისტემის შექმნა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების წყლის ჩარჩო დირექტივის შესაბამისად წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრინციპების ეროვნულ დონეზე დასანერგად საჭიროა სააუზო მართვის სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს წყლის რესურსების მდგრად მართვას ადგილობრივ დონეზე ყველა მდინარეთა აუზებისთვის. აღნიშნული სისტემის შექმნა დაგეგმილია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფარგლებში.

განხორციელებული ღონისძიებები

არ განხორციელებულა

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედების ინდიკატორის მიხედვით 2018 წელს უნდა დაწყებულიყო წყლის რესურსების სააუზო მართვის სისტემის შექმნა - რაც არ შესრულებულა, რადგანაც ეს დამოკიდებულია „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებაზე.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამოცანა 3.1 წყლის რესურსების ეფექტიანი სისტემის დანერგვა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 3.1.4: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში წყლის რესურსების სააუზო მართვის სისტემის შექმნა
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2018 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: შექმნილი წყლის რესურსების სააუზო მართვის სისტემა	შესრულებული: წყლის რესურსების სააუზო მართვის სისტემის ჩამოყალიბება ჯერ არ დაწყებულია
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულების შეფასება	რეიტინგი	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
			განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულია	განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს	განხორციელები ს პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია
	სტატუსი	X				

• **ქმედება 3.1.6** სააუზო მართვის გეგმების შემუშავება და დამტკიცება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების წყლის ჩარჩო ღირებულების შესაბამისად წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრინციპების ეროვნულ დონეზე დასაბუთებლად აუცილებელია სააუზო მართვის გეგმების არსებობა ქვეყანაში იდენტიფიცირებული სააუზო უბნებისათვის. საქართველოში იდენტიფიცირებულია სულ ექვსი სააუზო უბანი, რომელთათვისაც ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით 2024 წლამდე უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს სააუზო მართვის გეგმები.

განხორციელებული ღონისძიებები

- ევროკავშირის პროექტის “ევროკავშირის წყლის ინიციატივა +”-ის მხარდაჭერით შემუშავდა სააუზო მართვის გეგმის პროექტი ჭოროხი-აჭარისწყლის სააუზო უბნისთვის და ასევე, დაიწყო ალაზანი-იორის და ხრამი-დებედას სააუზო მართვის გეგმების შემუშავება.

- წყლის რესურსების სააუზო მართვის სრულყოფილი გეგმების შემუშავების უზრუნველყოფის მიზნით 2017-2018 წლებში USAID-ის მხარდაჭერით შემუშავდა სახელმძღვანელო დოკუმენტები:
 - საქართველოში ზედაპირული წყლის ობიექტების იდენტიფიკაციის, რეფერენსული მდგომარეობის და კლასიფიკაციის სისტემის შესახებ;
 - საქართველოს მდინარეების გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასების მეთოდოლოგია;
 - ჩამდინარე წყლების განმენდის/რეციკლირების საუკეთესო პრაქტიკის და ინოვაციური ტექნოლოგიების შესახებ;
 - ზენოლისა და ზემოქმედების ანალიზისა და რისკის შეფასების შესახებ;
 - წყლის ობიექტების ეკოლოგიური სტატუსის და ეკოლოგიური პოტენციალის კლასიფიკაცია;
 - გარემოსდაცვითი მიზნების დადგენისა და გამონაკლისების დაშვების პირობების შესახებ;
 - წყლის რესურსების მართვის მნიშვნელოვანი საკითხებსა და ღონისძიებების პროგრამის შესახებ.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედების ინდიკატორის მიხედვით 2021 წლამდე უნდა მოხდეს სააუზო მართვის გეგმის დამტკიცება სულ მცირე 2 სააუზო უბნისთვის - ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულებულია, რადგანც შემუშავებულია 1 სააუზო უბნის მართვის გეგმის პროექტი და დაიწყო გეგმის შემუშავება 2 სააუზო უბნისთვის.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან - ფინანსდება დონორის გრანტით.

ამოცანა 3.1 წყლის რესურსების ეფექტიანი სისტემის დანერგვა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 3.1.6: სააუზო მართვის გეგმების შემუშავება და დამტკიცება
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2018 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: სააუზო მართვის დამტკიცებული გეგმები სულ მცირე 2 სააუზო უბნისთვის	შესრულებული: შემუშავებულია სააუზო მართვის გეგმის პროექტი 1 სააუზო უბნისთვის
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა		
შესრულების შეფასება	რეიტინგი			X		
		განხორციელებს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებს პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებს პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

• **ქმედება 3.1.7** სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების შექმნა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების წყლის ჩარჩო ღირებულების შესაბამისად წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრინციპების ეროვნულ დონეზე დანერგვისა და სააუზო მართვის გეგმების განსახორციელებლის მიზნით აუცილებელია სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების შექმნა. აღნიშნულმა საბჭოებმა უნდა უზრუნველყონ მდინარეთა სააუზო მართვის გეგმების მომზადებისა და განხორციელების პროცესში კონსულტაციების განწევა, წინადადებებისა და დასკვნების შემუშავება და მხარეთა კოორდინაციის მიზნით დაინტერესებულ მხარეთა აქტიური მონაწილეობა.

განხორციელებული ღონისძიებები

- შემუშავებულია "სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომელიც წარდგენილი იქნება საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად "წყლის რესურსების მართვის შესახებ" კანონის მიღების შემდეგ.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

2018 წელს უნდა მომხდარიყო მთავრობის დადგენილების - „სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების შექმნის შესახებ“ - მიღება. დადგენილების პროექტი შემუშავებულია, მაგრამ მისი მიღება მოხდება მხოლოდ წყლის რესურსების მართვის შესახებ" კანონის მიღების შემდეგ.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამოცანა 3.1 წყლის რესურსების ეფექტიანი სისტემის დანერგვა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 3.1.7: სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების შექმნა
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2018 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: მიღებული მთავრობის დადგენილება - „სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების შექმნის შესახებ“	შესრულებული: დადგენილების პროექტი შემუშავებულია, თუმცა არ არის მიღებული
შექმნილი სულ მცირე 5 სააუზო მართვის საბჭო	არ დაწყებულია
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
--	-----------------	----------------------	---------------------	-------------	--

შესრულებ ის შეფასება	რეიტინგი				X	
		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შენწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

ამოცანა 3.2 წერტილოვანი და დიფუზიური წყაროებიდან წყლის დაბინძურების შემცირება და წყლის რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა

ამოცანა 3.2-ის შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 3 ქმედება - შემუშავებულია „წყლის რესურსების შესახებ“ კანონპროექტი, განხორციელდა მიმდინარეობს მუშაობა საწარმოო და ურბანული ჩამდინარე წყლების ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმირებაზე ევროკავშირის სტანდარტების მიხედვით, განხორციელდა ურბანული ჩამდინარე წყლების შემკრები/გამწმენდი სისტემების რეაბილიტაცია/მშენებლობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში - მათ შორის თბილისი-რუსთავის ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის რაბილიტაცია. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მათ დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების, ასევე შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“-ს მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2017-2018 წლის განმავლობაში:

- ⇒ შემუშავებულია "ჩამდინარე წყლების ჩაშვების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების პირველადი პროექტი
- ⇒ განხორციელდა თბილისი-რუსთავის ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია
- ⇒ მიმდინარეობდა ანაკლიის წყალრინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა
- ⇒ მიმდინარეობდა ურეკის წყალრინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა
- ⇒ დაიწყო ზუგდიდის წყალრინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა
- ⇒ დაიწყო ფოთის წყალრინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა

3.1 ამოცანის განხორციელებისთვის 2017-2018 წლებში სახელმწიფოს მიერ გახარჯულია 13,687,025 ლარი.

- **ქმედება 3.2.1** საწარმოო და ურბანული ჩამდინარე წყლების ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმირება ევროკავშირის კრიტერიუმების მიხედვით

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: საქართველოს ზედაპირული წყლის რესურსებზე ყველაზე ძლიერ ზეწოლას საყოფაცხოვრებო სექტორი, კერძოდ, ზედაპირული წყლის ობიექტებში გაუნმენდავი ურბანული ჩამდინარე წყლების ჩაშვება ახდენს, რისი ძირითადი მიზეზიც ჩამდინარე წყლის შეკრების, განსაკუთრებით კი ჩამდინარე წყლის განმწმენდის გაუმართავი სისტემების არსებობაა.

ზედაპირული წყლის ობიექტებში გაუნმენდავი საწარმოო წყლების ჩაშვება დამატებით ზენოლას ახდენს ზედაპირულ წყალზე.

წყლის ობიექტებში გაუნმენდავი ურბანული და საწარმოო ჩამდინარე წყლების ჩაშვება აქვეითებს წყლის ხარისხს, რაც თავის მხრივ, გრძელვადიან პერსპექტივაში წყლის ობიექტებზე უარყოფით ზემოქმედებას ახდენს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია სათანადო ზომების მიღება დაბინძურებისა და იმ რისკების შესამცირებლად, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ ყველა სახის წყლის ობიექტის მდგომარეობის გაუარესება. მიზანშეწონილია საწარმოო და ურბანული ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვების პირობების განსაზღვრა ურბანული ჩამდინარე წყლის განმენდის შესახებ ევროკავშირის დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად.

განხორციელებული ღონისძიებები

- შემუშავებულია "ჩამდინარე წყლების ჩაშვების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების პირველადი პროექტი. დადგენილების პროექტი წარდგენილი იქნება საქართველოს მთავრობისთვის "წყლის რესურსების მართვის შესახებ" კანონის მიღების შემდეგ.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედების ინდიკატორი ითვალისწინებდა მთავრობის დადგენილება - „ჩამდინარე წყლების ჩაშვების შესახებ“ - მიღებას. დადგენილების პროექტი შემუშავებულია, თუმცა ის წარდგენილი იქნება საქართველოს მთავრობისთვის "წყლის რესურსების მართვის შესახებ" კანონის მიღების შემდეგ. ქმედების შესრულების ვადები 2018-2019 წლებია.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნებებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან - ფინანსდება დონორის გრანტით.

ამოცანა 3.2 წერტილოვანი და დიფუზიური წყაროებიდან წყლის დაბინძურების შემცირება და წყლის რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 3.2.1: საწარმოო და ურბანული ჩამდინარე წყლების ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმირება ევროკავშირის კრიტერიუმების მიხედვით
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2018 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: მიღებული მთავრობის დადგენილება - „ჩამდინარე წყლების ჩაშვების შესახებ“	შესრულებული: დადგენილების პროექტი შემუშავებულია
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
რეიტინგი			X		

შესრულებ ის შეფასება		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
სტატუსი			X			

ქმედება 3.2.3 ურბანული ჩამდინარე წყლების შემკრები/გამწმენდი სისტემების რეაბილიტაცია/მშენებლობა შერჩეულ დასახლებებში

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“

ქმედების მიზანი: აქტივობის მიზანია საქართველოს დასახლებულ პუნქტებში ურბანული ჩამდინარე წყლების შემკრები/გამწმენდი არსებული სისტემების რეაბილიტაცია, ასევე ახალი სისტემების მშენებლობა და გამართვა. 2017-2021 წლებში ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემების რეაბილიტაცია ანაც ახლის მშენებლობა იგეგმება მინიმუმ 10 დასახლებულ პუნქტში.

განხორციელებული ღონისძიებები

- 2018 წელს მიმდინარეობდა ანაკლიის წყალრინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა (1400 ბენეფიციარი). ნაგებობა ექსპლუატაციაში შევა 2019 წლის სექტემბერში;
- 2018 წელს მიმდინარეობდა ურეკის წყალრინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა (1200 ბენეფიციარი). ნაგებობა ექსპლუატაციაში შევა 2019 წლის აგვისტოში;
- 2018 წელს დაიწყო ზუგდიდის წყალრინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა (43 000 ბენეფიციარი) - სავარაუდო დასრულების ვადა არის 2020 წლის იანვარი;
- 2018 წელს დაიწყო ფოთის წყალრინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა (42 000 ბენეფიციარი) - სავარაუდო დასრულების ვადა არის 2020 წლის თებერვალი;

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედების ინდიკატორი ითვალისწინებს 2017-2021 წლებში განხორციელებულ ქმედებებს - ამ პერიოდში ურბანული ჩამდინარე წყლების მოქმედი გამწმენდი ნაგებობები უნდა ფუნქციონირებდეს სულ მცირე 10 დასახლებაში. ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა - თითქმის დასრულებულია წყალრინების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა 2 დასახლებულ პუნქტში და დაწყებულია მშენებლობა კიდევ 2 დასახლებულ პუნქტში.

ქმედების მთლიანი საპროგნოზო ბიუჯეტი შეადგენდა 149 000 000 ლარს. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 13 687 025 ლარი.

ამოცანა 3.2 წერტილოვანი და დიფუზიური წყაროებიდან წყლის დაბინძურების შემცირება და წყლის რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 3.2.3: ურბანული ჩამდინარე წყლების შემკრები/გამწმენდი სისტემების რეაბილიტაცია/მშენებლობა შერჩეულ დასახლებებში
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	

დაგეგმილი: ურბანული ჩამდინარე წყლების მოქმედი გამწმენდი ნაგებობები სულ მცირე 10 დასახლებაში	შესრულებული: გამწმენდი ნაგებობები მოქმედებს 2 დასახლებულ პუნქტში და მშენებლობა დაწყებულია კიდევ 2 დასახლებულ პუნქტში
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 149 000 000	ფაქტობრივი: 13 687 025

	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა		
შესრულებ ის შეფასება	რეიტინგი			X		
		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელე ბის პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

• **ქმედება 3.2.4** თბილისი-რუსთავის ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია

პასუხისმგებელი უწყება: შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“

ქმედების მიზანი: გარდაბნის გამწმენდი ნაგებობა ოპერირებს ქალაქების: თბილისის, რუსთავის და გარდაბნის ჩამდინარე წყლების მიღებისა და განმწმენდისათვის. გამწმენდი ნაგებობის საპროექტო სიმძლავრეა – 1 მლნ.კუბ.მ/დღ. ჩამდინარე წყალი. გამწმენდი ნაგებობის პირველი რიგის მშენებლობა დამთავრდა 1980 წელს (80000 მ³/დღ., მექანიკური განმწმენდა) მეორე რიგის – 1984 წელს (700000 მ³/დღ., მექანიკური და ნაწილობრივ ბიოლოგიური განმწმენდა) და მთლიანად ნაგებობა მიღებული იქნა ექსპლუატაციაში 1986 წელს. ქმედების მიზანი იყო აღნიშნული გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია და თანამედროვე სტანდარტებთან დაახლოება.

განხორციელებული ღონისძიებები

- 2017 წელს GWP-მ დაიწყო გარდაბნის გამწმენდი ნაგებობის ძირითადი სარეაბილიტაციო სამუშაოები. სამუშაოები 2018 წლის აგვისტოში დასრულდა;
- სარეაბილიტაციო პროექტს ზედამხედველობას უწევდა გამოცდილი, გერმანული კომპანია „შლეგელი“. რეაბილიტაციის დაწყებამდე კომპანია შლეგელმა პირველადი კვლევა ჩაატარა, რის საფუძველზეც შეიქმნა პროექტის კონცეფცია
- რეაბილიტაციის პროცესში, გამწმენდი ნაგებობაში არსებული მექანიკური და ელექტრო მოწყობილობები სრულად შეიცვალა Siemens-ის, Endress+Hauser-ის და ginzler-ის უმაღლესი ხარისხის ტექნიკა-დანადგარებით;
- ჩამდინარე წყლის ხარისხის მონიტორინგს მუდმივად ახორციელებს გამწმენდი ნაგებობის ლაბორატორია;
- ჩაუტარდა ტესტირება ახალ, თანამედროვე დანადგარებს, განხორციელდა მონიტორინგი და ჩატარდა ტრენინგები;
- გარდაბნის გამწმენდი ნაგებობის მოდერნიზაციის პროექტს აქვს 2 წლიანი გარანტია პროექტის დასრულების შემდეგ.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ინდიკატორი ითვალისწინებს გამწმენდი ნაგებობის სრულყოფილად ფუნქციონირებას რაც სრულად შესრულდა - ნაგებობას სრული დატვირთვით მუშაობს 2018 წლის აგვისტოდან და აქვს 2 წლიანი გარანტია.

ქმედების მთლიანი საპროგნოზო ბიუჯეტი შეადგენდა 64,590,000 ლარს. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 60,000,000 ლარი. ქმედებას არ დასჭირდა ასიგნირება სახელმწიფო ბიუჯეტიდან - პროექტი ნიდერლანდების განვითარების ბანკისა (FMO) და გერმანიის საინვესტიციო და განვითარების საზოგადოებისგან (DEG) მიღებული გრძელვადიანი და დაბალპროცენტიანი სესხით დაფინანსდა.

ამოცანა 3.2 წერტილოვანი და დიფუზიური წყაროებიდან წყლის დაბინძურების შემცირება და წყლის რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 3.2.4: თბილისი-რუსთავის ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია
პასუხისმგებელი უწყება:	შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: თბილისი-რუსთავის ურბანული ჩამდინარე წყლების მოქმედი გამწმენდი ნაგებობა	შესრულებული: ჩამდინარე წყლების მოქმედი გამწმენდი ნაგებობასრულყოფილად ფუნქციონირებს
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 64,590,000	ფაქტობრივი: 60,000,000

შესრულებ ის შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი	X			
სტატუსი	განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
					X

ამოცანა 3.3 წყლის რესურსების ხარისხისა და რაოდენობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების სრულყოფა

ამოცანა 3.2-ის შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 3 ქმედება - მიმდინარეობს მუშაობა ზედაპირული წყლების ხარისხის ახალი სტანდარტის შემოღებაზე, მიმდინარეობს ზედაპირული (მათ შორის შავი ზღვის) და მიწისქვეშა წყლის მონიტორინგის ქსელის გაფართოება, ამასთანავე გრძელდება მიწისქვეშა წყლების ხარისხისა და რაოდენობის მონიტორინგის სისტემის სრულყოფა. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2017-2018 წლის განმავლობაში:

- ⇒ შემუშავებულია „ზედაპირული წყლის ხარისხის სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი
- ⇒ დღეისთვის, მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი 55 წყალპუნქტზე (49 ჭაბურღილი და 6 წყარო) ხორციელდება
- ⇒ თანამედროვე ჰიდროგეოლოგიური აპარატურა 2017 წელს დამონტაჟდა 11 ჭაბურღილზე, 2018 წელს კი - 4 ჭაბურღილზე

3.1 ამოცანის განხორციელებისთვის 2017-2018 წლებში სახელმწიფოს მიერ გახარჯულია 1,150,339 ლარი.

- **ქმედება 3.3.1** ზედაპირული წყლის ხარისხის ახალი სტანდარტების შემოღება
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: საქართველოს ზედაპირული წყლის ხარისხის გაუმჯობესების და მისი დაბინძურების პრევენციისა და შემცირებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ზედაპირული წყლის ხარისხის სტანდარტების დანერგვას, რომლის საშუალებით გაუმჯობესდება ზედაპირული წყლის ხარისხის კონტროლის, მონიტორინგის და შეფასების არსებული პრაქტიკა.

განხორციელებული ღონისძიებები

- შემუშავებულია „ზედაპირული წყლის ხარისხის სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომელიც წარდგენილი იქნება საქართველოს მთავრობისთვის "წყლის რესურსების მართვის შესახებ" კანონის მიღების შემდეგ.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედების ინდიკატორი ითვალისწინებდა მთავრობის დადგენილება - „ზედაპირული წყლის ხარისხის ეკოლოგიური სტანდარტების შესახებ“ - მიღებას. არ შესრულდა - დადგენილების პროექტი შემუშავებულია, მაგრამ ის წარდგენილი იქნება საქართველოს მთავრობისთვის "წყლის რესურსების მართვის შესახებ" კანონის მიღების შემდეგ.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან - ფინანსდება ღონისძიების გრანტით.

ამოცანა 3.3 წყლის რესურსების ხარისხისა და რაოდენობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების სრულყოფა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 3.3.1: ზედაპირული წყლის ხარისხის ახალი სტანდარტების შემოღება
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2018 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	

დაგეგმილი: მთავრობის მიღებული დადგენილება - „ზედაპირული წყლის ხარისხის ეკოლოგიური სტანდარტების შესახებ“	შესრულებული: დადგენილების პროექტი შემუშავებულია, თუმცა წარდგენილი იქნება საქართველოს მთავრობისთვის "წყლის რესურსების მართვის შესახებ" კანონის მიღების შემდეგ.
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა		
შესრულების შეფასება	რეიტინგი			X		
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

• **ქმედება 3.3.2** ზედაპირული (მათ შორის შავი ზღვის) და მინისქვეშა წყლის ხარისხის მონიტორინგის ქსელის გაფართოება

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
ქმედების მიზანი: ადამიანის ჯანმრთელობისა და წყლის ეკოსისტემებისათვის ზედაპირული და მინისქვეშა წყლის ობიექტების, აგრეთვე სანაპირო წყლების მდგომარეობის კარგი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების უზრუნველყოფა.

განხორციელებული ღონისძიებები
 2017-2018 წლებში ზედაპირული წყლის ხარისხის მონიტორინგის წერტილების რაოდენობა გაიზარდა 135-დან 166-მდე

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება
 ინდიკატორი სრულად სრულდება - 2017 წლამდე საქართველოში 135 ზედაპირული წყლის ხარისხის მონიტორინგის წერტილები იყო. საანგარიშო პერიოდში ეს მაჩვენებელი გაიზარდა 166-მდე.

ქმედების მთლიანი საპროგნოზო ბიუჯეტი შეადგენდა 2,345,800 ლარს. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 916,339 ლარი.

ამოცანა 3.3 წყლის რესურსების ხარისხისა და რაოდენობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების სრულყოფა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 3.3.2: ზედაპირული (მათ შორის შავი ზღვის) და მინისქვეშა წყლის ხარისხის მონიტორინგის ქსელის გაფართოება
პასუხისმგებელი უწყება:	სსიპს გარემოს ეროვნული სააგენტო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: ყოველწლიურად 10%-ით გაფართოებული წყლის ხარისხის მონიტორინგის ქსელი	შესრულებული: მონიტორინგის ქსელი გაიზარდა 31 ერთეულით

ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 2 345 800	ფაქტობრივი: 916 339

შესრულებ ის შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა		
	რეიტინგი	X				
	სტატუსი	განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
			X			

• **ქმედება 3.3.3** მინისქვემა წყლების ხარისხისა და რაოდენობის მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ქმედების მიზანი: აქტივობის მიზანია მინისქვემა წყლების ხარისხისა და რაოდენობის მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება, როგორც მონიტორინგის ქსელის გაზრდით, ისე შერჩეულ ჭაბურღილებზე ახალი აღჭურვილობის დამონტაჟებით - ამან უნდა უზრუნველყოს მინისქვემა წყლების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მახასიათებლების მონიტორინგის გაუმჯობესება.

განხორციელებული ღონისძიებები

- გაიზარდა მინისქვემა მტკნარი სასმელი წყლების არსებული მონიტორინგული სადამკვირვებლო ქსელი. ამჟამად, მინისქვემა მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი 55 წყალპუნქტზე (49 ჭაბურღილი და 6 წყარო) თანამედროვე ჰიდროგეოლოგიური აპარატურით ხორციელდება, რომელიც ონლაინ რეჟიმში იძლევა ინფორმაციას წყლის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შესახებ.
- თანამედროვე ჰიდროგეოლოგიური აპარატურა 2017 წელს დამონტაჟდა 11 ჭაბურღილზე, 2018 წელს კი - 4 ჭაბურღილზე;
- მომზადდა საინფორმაციო ბიულეტენები:
 - „საქართველოს მინისქვემა მტკნარი სასმელი წყლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შესახებ 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით“;
 - „საქართველოს მინისქვემა მტკნარი სასმელი წყლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შესახებ 2017 წლის 10 ივლისის მდგომარეობით“;
 - „საქართველოს მინისქვემა მტკნარი სასმელი წყლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შესახებ 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით“.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედების ინდიკატორების შესრულება 2020 წლამდეა განერილი - საანგარიშო პერიოდში ახალი აღჭურვილობა დამონტაჟდა 15 ჭაბურღილზე და რეგულაულად მზადდებოდა ანგარიშები მინისქვემა წყლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების ცვალებადობის დინამიკის შესახებ.

ქმედების მთლიანი საპროგნოზო ბიუჯეტი შეადგენდა 1,081,700 ლარს. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 240,000 ლარი.

ამოცანა 3.3 წყლის რესურსების ხარისხისა და რაოდენობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების სრულყოფა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 3.3.3: მინისქვეშა წყლების ხარისხისა და რაოდენობის მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება
პასუხისმგებელი უწყება:	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: შესყიდული და შერჩეულ ჭაბურღილებზე დამონტაჟებული ახალი აღჭურვილობა	შესრულებული: ახალი აღჭურვილობა დამონტაჟდა 15 წყალპუნქტზე
ანგარიშები წყლის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების ცვალებადობის დინამიკის შესახებ	მინისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შესახებ მომზადდა 3 ანგარიში
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 1,081,700	ფაქტობრივი: 240,000

	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
შესრულების შეფასება	რეიტინგი		X		
	სტატუსი	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია
			X		

თავი 4: ატმოსფერული ჰაერის დაცვა

თავი 4 - ატმოსფერული ჰაერის დაცვა - მოიცავს 3 ამოცანას და ჯამში 16 ქმედებას. ამოცანები ორიენტირებულია ეკონომიკის სხვადასხვა დარგიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირებაზე, ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის განვითარებასა და გაფრქვევების ინვენტარიზაციის სახელმწიფო სისტემის გაუმჯობესებაზე.

თავის ქმედებების უმეტესობა სრულდება არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დონორ(ებ)ის დახმარებით. მთლიანობაში, 2017-2018 წლებში თავი ქმედებათა შესრულების ჯამურმა დანახარჯებმა შეადგინა 2,042,991 ლარი.

ამოცანა 4.1 ეკონომიკის სხვადასხვა დარგიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირება

ამოცანა 4.1-ის შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 8 ქმედება - მიმდინარეობს საქართველოს ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია, დაწყებულია მუშაობა მსხვილი წვის დანადგარებისათვის გაფრქვევების ზღვრული მნიშვნელობების დანესებაზე, მიმდინარეობს ბენზინის შესანახი და ჩასატვირთი მოწყობილობების ინვენტარიზაცია და მათთვის ტექნიკური მოთხოვნების დანესება აქროლადი ორგანული ნივთიერებების (აონ) გაფრქვევების შესამცირებლად, საწყის ეტაპზეა ლაქებსა და საღებავებში აქროლადი ორგანული ნივთიერებების (აონ) შემცველობის მაქსიმალური (ზღვრული) მნიშვნელობების დადგენა და აღნიშნული პროდუქტების ბაზარზე განთავსების რეგულაციების განსაზღვრა, შემუშავდა და ძალაში შევიდა ზოგიერთ თხევად სანავაში (მძიმე სანავაში, გაზოილი, საზღვაო სანავაში) გოგირდის შემცველობაზე ზღვრული ნორმების შესახებ საკანონმდებლო აქტი, მიმდინარეობს საავტომობილო დიზელის სანავაშის ხარისხის ეტაპობრივი მიახლოება ევროკავშირის სტანდარტებთან, ასევე, განხორციელდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მშენებლობის დარგის ზემოქმედების შემცირებაზე ორიენტირებული რეგულაციის გამკაცრება. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მათ დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2017-2018 წლის განმავლობაში:

- ⇒ მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე
- ⇒ შემუშავებულია „წვის დანადგარების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი
- ⇒ მომზადებულია ანგარიში ბენზინის შესანახი მოწყობილობების (ტერმინალების) ინვენტარიზაციის შესახებ
- ⇒ მომზადებულია საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვარის №60 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე
- ⇒ მომზადებულია საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ნავთობის ბაზების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვარის №65 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
- ⇒ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 მაისის N256 დადგენილებით დამტკიცდა „ზოგიერთ თხევად სანავაში გოგირდის შემცველობის ზღვრული მნიშვნელობების დადგენის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი
- ⇒ თხევად სანავაში გოგირდის შემცველობის დადგენის მიზნით შემუშავდა სინჯების აღების პროცედურის, ანალიტიკური მეთოდებისა და მათი განხორციელების წესის სამუშაო ვერსია

- ⇒ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის №550 დადგენილების საფუძველზე ცვლილებები შევიდა „დიზელის სანავის შემადგენლობის ნორმების, ანალიზის მეთოდებისა და მათი დანერგვის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 დეკემბრის №238 დადგენილებაში, რის შედეგად 2019 წლის 1 იანვრიდან დიზელის სანავაში 2-ჯერ შემცირდა გოგირდის შემცველობა და მისი ხარისხი ევრო 4 სტანდარტს გაუტოლდა
- ⇒ 2017 წლის 12 ივლისს მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის განკარგულება №1457 „ქ. თბილისის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“

3.1 ამოცანის განხორციელებისთვის 2017-2018 წლებში სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

- **ქმედება 4.1.1:** საქართველოს ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ (1999 წ.) ადგენს ატმოსფერული ჰაერის დაცვის ძირითად სამართლებრივ ჩარჩოს. კანონის აღსრულების მიზნით მიღებულია რიგი კანონქვემდებარე აქტები და ტექნიკური რეგლამენტები. არსებული სამართლებრივი ჩარჩო სრულად ვერ აკმაყოფილებს საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ ცვლილებების განხორციელების ძირითად მიზანს სწორედ ატმოსფერული ჰაერის დაცვის თანამედროვე ევროპული პრაქტიკის დანერგვა და ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნების შესრულება წარმოადგენს, რომლის თანახმადაც საქართველო ვალდებულია მოახდინოს ეროვნული კანონმდებლობის ევროპული კანონმდებლობის, კერძოდ ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ევროპაში უფრო სუფთა ჰაერის შესახებ (2008/50/EC) დირექტივისა და ატმოსფერულ ჰაერში დარიბხანის, კადმიუმის, ვერცხლისწყლის, ნიკელის და პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების შემცველობის შესახებ (2004/107/EC) დირექტივის ძირითად მოთხოვნებთან.

განხორციელებული ღონისძიებები

- მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლის წარდგენა საქართველოს პარლამენტისთვის იგეგმება 2019 წლის საგაზაფხულო სესიაზე. კანონპროექტი გულისხმობს კანონში მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანას, რაც უზრუნველყოფს:
 - ა) ქვეყანაში ჰაერის ხარისხის შეფასების თანამედროვე გამართული სისტემის ჩამოყალიბებას;
 - ბ) ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის თანამედროვე ევროპული პრინციპების დანერგვას, რაც ქვეყნის ტერიტორიის ჰაერის ხარისხის მართვის ზონებად და ავლომერაციებად დაყოფას გულისხმობს, ხოლო იმ ზონასა და ავლომერაციაში, სადაც ზღვრული ნორმების გადაჭარბება დაფიქსირდება -

დაბინძურების შემცირების ღონისძიებების მოკლე და გრძელვადიანი გეგმების შემუშავებასა და განხორციელებას;

გ) მოსახლეობის დროულად და უწყვეტ რეჟიმში ინფორმირებას, როგორც ატმოსფერული ჰაერის ხარისხის, ისე მისი გაუმჯობესების გეგმების შესახებ;

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედების ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა - შემუშავდა საქართველოს კანონის პროექტი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამოცანა 4.1 ეკონომიკის სხვადასხვა დარგიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 4.1.1.: საქართველოს ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2018 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: განახლებული კანონმდებლობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში	შესრულებული: შემუშავდა საქართველოს კანონის პროექტი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულება ის შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი			X	
	განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელები ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელები ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელები ის პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
სტატუსი		X			

• **ქმედება 4.1.2: მსხვილი წვის დანადგარებისათვის გაფრქვევების ზღვრული მნიშვნელობების (ELV) დანესება**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ენერგეტიკა ატმოსფერული ჰაერის ერთ-ერთი ძირითად დამაბინძურებელ სექტორს წარმოადგენს. ენერგეტიკის სექტორიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირების მიზნით, მნიშვნელოვანია თბოელექტროსადგურებისთვის თანამედროვე ევროპულ ნორმებსა და მიდგომებზე დაფუძნებული რეგულირების სისტემის დანერგვა,

კერძოდ წვის მსხვილი დანადგარებისთვის საუკეთესო ხელმისაწვდომ ტექნიკაზე დაფუძნებული ემისიის ზღვრული მნიშვნელობების (ELV) დანესება. აღნიშნულ ვალდებულებას, ასევე ითვალისწინებს, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება.

განხორციელებული ღონისძიებები

- ევროკავშირის დაძმობილების პროექტის ფარგლებში („საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება სამრეწველო დაბინძურებისა და საფრთხეების სფეროში ევროკავშირის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან დაახლოებისა და მისი იმპლემენტაციის მიზნით“) შემუშავებულია „წვის დანადგარების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი. ტექნიკური რეგლამენტით დადგინდება სპეციალური წესები და დანესდება ევროპული ნორმების შესაბამისი ემისიის ზღვრული მნიშვნელობები (ELV) წვის მსხვილი დანადგარებისთვის.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედების ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა - შემუშავებულია „წვის დანადგარების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამოცანა 4.1 ეკონომიკის სხვადასხვა დარგიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 4.1.2.: მსხვილი წვის დანადგარებისთვის გაფრქვევების ზღვრული მნიშვნელობების (ELV) დანესება
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2018 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „წვის დანადგარებისთვის გაფრქვევების ზღვრული მნიშვნელობების დანესების შესახებ“	შესრულებული: შემუშავებულია „წვის დანადგარების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი			X	
	განხორციელებს პროცესი ჯერ არ დანწყებულია	განხორციელებს პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებს პროცესი შეჩერებულია	განხორციელებს პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
სტატუსი		X			

- **ქმედება 4.1.3:** ბენზინის შესანახი და ჩასატვირთი მონყობილობების ინვენტარიზაცია და მათთვის ტექნიკური მოთხოვნების დანესება აქროლადი ორგანული ნივთიერებების (აონ) გაფრქვევების შესამცირებლად

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: 2013 წლის მონაცემებით, აქროლადი ორგანული ნაერთების (აონ) გაფრქვევის დაახლოებით 25% სატრანსპორტო სექტორზე მოდის. ბენზინის შესანახი მონყობილობების (ტერმინალების) ინვენტარიზაცია უზრუნველყოფს ინფორმაციის შეგროვებას ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ, რომელიც გამოყენებული იქნება კონკრეტული ქმედებების დასაგეგმად ბენზინის შენახვისა და ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციებიდან აონ-ების გაფრქვევების შემცირებისა და, ასევე, საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნების შესრულების მიზნით.

განხორციელებული ღონისძიებები

- მომზადებულია ანგარიში ბენზინის შესანახი მონყობილობების (ტერმინალების) ინვენტარიზაციის შესახებ;
- მომზადებულია საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვარის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- მომზადებულია საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ნავთობის ბაზების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვარის №65 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. ცვლილებების საფუძველზე ნავთობტერმინალებს, ავტოგასამართ სადგურებსა და მობილურ კონტეინერებს დაუნესდებათ შესაბამისი ტექნიკური მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული ოპერაციებიდან აქროლადი ორგანული ნაერთების გაფრქვევების და მასთან დაკავშირებული ჰაერის დაბინძურების მინიმუმამდე შემცირებას.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედების ინდიკატორები უმეტესწილად შესრულდა - ანგარიში ბენზინის შესანახი მონყობილობების (ტერმინალების) ინვენტარიზაციის შესახებ მომზადებულია და ასევე შემუშავებულია ცვლილებების პროექტები მთავრობების შესაბამის დადგენილებებში.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 4.1 ეკონომიკის სხვადასხვა დარგიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 4.1.3.: ბენზინის შესანახი და ჩასატვირთი მონყობილობების ინვენტარიზაცია და მათთვის ტექნიკური მოთხოვნების დანესება აქროლადი ორგანული ნივთიერებების (აონ) გაფრქვევების შესამცირებლად
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2018 – 31.12.2018

შესრულების ინდიკატორები	
<p>დაგეგმილი:</p> <p>ანგარიში არსებული ობიექტების ინვენტარიზაციის შესახებ</p> <p>განხორციელებული ცვლილებები „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N60 დადგენილებასა და „ნავთობის ბაზების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N65 დადგენილებაში</p> <p>ბენზინის შესანახი და გადასატვირთი ტერმინალებიდან გაფრქვევების რაოდენობის შემცირება, ტ/წელი</p>	<p>შესრულებული:</p> <p>შესრულდა</p> <p>ნაწილობრივ შესრულდა</p> <p>ამ ეტაპზე არ არის მონაცემები</p>
ბიუჯეტი	
საპროგრამო: -	ფაქტობრივი: -

შესრულების შეფასება	რეიტინგი	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
			განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს	განხორციელები ს პროცესი შეჩერებულია	განხორციელები ს პროცესი შეწყვეტილია
	სტატუსი		X			

- ქმედება 4.1.4:** ლაქებსა და საღებავებში აქროლადი ორგანული ნივთიერებების (აონ) შემცველობის მაქსიმალური (ზღვრული) მნიშვნელობების დადგენა და აღნიშნული პროდუქტების ბაზარზე განთავსების რეგულაციების განსაზღვრა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ვალდებულებების შესაბამისად, აონ-ების გაფრქვევების შემცირების მიზნით დადგინდება აქროლადი ორგანული ნივთიერებების (აონ) შემცველობის მაქსიმალური (ზღვრული) მნიშვნელობები ლაქებში, საღებავებში და ზედაპირების დაფარვის სხვა საშუალებებში და განისაზღვრება მათი ბაზარზე განთავსების რეგულაციები.

განხორციელებული ღონისძიებები

- მიმდინარეობს მუშაობა „ლაქებსა და საღებავებში აქროლადი ორგანული ნივთიერებების (აონ) შემცველობის ზღვრული მნიშვნელობების, ანალიტიკური მეთოდებისა და კონტროლის სისტემის, მათ შორის პროდუქციის სავალდებულო

ექიკეტირების შემოღების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის შემუშავებაზე;

- ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ქვეყანაში წარმოებულ და იმპორტირებულ ლაქებსა და საღებავებში აქროლადი ორგანული ნივთიერებების (აონ) შემცველობის კუთხით არსებული მდგომარეობის შეფასება. მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება აონ-ების ზღვრული შემცველობის განსაზღვრის პროცესში. ასევე აღნიშნულ პროექტით გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის იმ ინსპექტორთა შესაძლებლობის გაუმჯობესება, რომლებმაც უნდა გააკონტროლონ ბაზარზე განთავსებულ პროდუქტში აონ-ების შემცველობის კონტროლი.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედების შესრულების ვადა 2018-2021 წლებია - საანგარიშო პერიოდში ინდიკატორების შესრულება ახალი დანაშაულებია.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნებებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 4.1 ეკონომიკის სხვადასხვა დარგიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 4.1.4.: ლაქებსა და საღებავებში აქროლადი ორგანული ნივთიერებების (VOC) შემცველობის მაქსიმალური (ზღვრული) მნიშვნელობების დადგენა და აღნიშნული პროდუქტების ბაზარზე განთავსების რეგულაციების განსაზღვრა
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2018 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
<p>დაგეგმილი:</p> <p>მიღებული საქართველოს მთავრობის დადგენილება "ლაქებსა და საღებავებში აქროლადი ორგანული ნივთიერებების (აონ) შემცველობის ზღვრული მნიშვნელობების, ანალიტიკური მეთოდებისა და კონტროლის სისტემის, მათ შორის პროდუქციის სავალდებულო ეტიკეტირების შემოღების შესახებ";</p> <p>საღებავებიდან და ლაქებიდან აქროლადი ორგანული ნივთიერებების (აონ) გაფრქვევების რაოდენობის შემცირება, ტ/წელი</p>	<p>შესრულებული:</p> <p>დადგენილება არ არის მიღებული</p> <p>ამ ეტაპზე მონცამების არ არსებობს</p>
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულებ ის შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი				X	
		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

• **ქმედება 4.1.5:** ზოგიერთ თხევად საწვავში (მძიმე საწვავი, გაზოილი, საზღვაო საწვავი) გოგირდის შემცველობაზე ზღვრული ნორმების ამოქმედება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: 2016 წლის მდგომარეობით საქართველოს კანონმდებლობით არ იყო დადგენილი გოგირდის დიოქსიდის შემცველობის ზღვრული მნიშვნელობები ზოგიერთ თხევად საწვავში (საზღვაო საწვავი, მძიმე საწვავი და გაზოილი). საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში, საქართველომ აიღო ვალდებულება, დაუახლოვდეს ზოგიერთ თხევად საწვავში გოგირდის შემცველობის შემცირების შესახებ დირექტივის (1999/32/EC) მოთხოვნებს და შეამციროს ზოგიერთი თხევადი საწვავის წვის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გოგირდის ოქსიდების გაფრქვევა მასში გოგირდის შემცველობის მაქსიმალური ზღვრული მნიშვნელობების დანესებით, რომლის მიზანია ატმოსფერული ჰაერის, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების და გარემოს დაცვა მოსალოდნელი ზიანისგან.

განხორციელებული ღონისძიებები

- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 მაისის N256 დადგენილებით დამტკიცდა „ზოგიერთ თხევად საწვავში გოგირდის შემცველობის ზღვრული მნიშვნელობების დადგენის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი. აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტი ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მოხმარებულ ზოგიერთ თხევად საწვავში (საზღვაო საწვავი, მძიმე საწვავი და გაზოილი) გოგირდის შემცველობის ზღვრებს, ასევე მათი ანალიზის მეთოდების შესახებ მოთხოვნებს. ტექნიკური რეგლამენტი არეგულირებს თხევადი საწვავის მიმართ მოთხოვნებს საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტის, წარმოების, მოხმარებისა და მიწოდებისას;
- ტექნიკური რეგლამენტის ძირითადი ნაწილი ამოქმედდება 2021 წლის 1 იანვრიდან, როგორც ეს საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნებით არის გათვალისწინებული;
- ენერგეტიკული გაერთიანების (Energy Community) მზარდაჭერით შემუშავდა სინჯების აღების პროცედურის, ანალიტიკური მეთოდებისა და მათი განხორციელების წესის სამუშაო ვერსია. აღნიშნული წესის შესაბამისად დაგეგმილია ცვლილების შეტანა „ზოგიერთ თხევად საწვავში გოგირდის შემცველობის ზღვრული მნიშვნელობების დადგენის შესახებ“ ტექნიკურ რეგლამენტში.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედების ინდიკატორები ნაწილობრივ შესრულდა - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 მაისის N256 დადგენილებით დამტკიცდა „ზოგიერთ თხევად საწვავში გოგირდის შემცველობის ზღვრული მნიშვნელობების დადგენის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი. შემუშავდა სინჯების აღების პროცედურის, ანალიტიკური მეთოდებისა და მათი განხორციელების წესის სამუშაო ვერსია.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 4.1 ეკონომიკის სხვადასხვა დარგიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 4.1.5.: ზოგიერთ თხევად სანვაავში (მძიმე სანვაავი, გაზოილი, საზღვაო სანვაავი) გოგირდის შემცველობაზე ზღვრული ნორმების ამოქმედება
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2018 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: მიღებული საკანონმდებლო აქტი „ზოგიერთი თხევადი სანვაავის ხარისხის სტანდარტების შესახებ“ (რომელიც ასევე აღგენს სინჯების აღების პროცედურას, ანალიტიკურ მეთოდებსა და მათი განხორციელების წესს) თხევადი სანვაავის მოხმარებისას გაფრქვეული გოგირდის დიოქსიდის (SO ₂) რაოდენობის შემცირება, ტ/წელი	შესრულებული: საკანონმდებლო აქტი მიღებულია მონაცემები ამ ეტაპზე არ არსებობს
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი			X	
სტატუსი	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულია	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია

• **ქმედება 4.1.6:** საავტომობილო ღიზელის სანვაავის ხარისხის ეტაპობრივი მიახლოება ევროკავშირის სტანდარტებთან

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: თბილისსა და საქართველოს სხვა დიდ ურბანულ დასახლებებში ჰაერის დაბინძურების მთავარი წყარო არის ავტოსატრანსპორტო სექტორი, რისი გამომომწვევი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია საავტომობილო სანვაავის, კერძოდ ღიზელის არასათანადო ხარისხი. ქმედების მიზანია ღიზელის სანვაავის ხარისხის გაუმჯობესების გზით ატმოსფერული ჰაერის დამბინძურებლების, განსაკუთრებით გოგირდის ორჟანგის გაფრქვევების შემცირება.

განხორციელებული ღონისძიებები

- ეტაპობრივად მიმდინარეობს ღიზელის სანვაავის ხარისხის გაუმჯობესება. კერძოდ, „ღიზელის სანვაავის შემადგენლობის ნორმების, ანალიზის მეთოდებისა და მათი დანერგვის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 28

დეკემბრის N238 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით 2019 წლის 1 იანვრიდან დიზელის სანვაში გოგირდის შემცველობა 2-ჯერ შემცირდა და ე.წ. ევრო 4-ის სტანდარტს გაუტოლდა, ხოლო 2020 წლის 1 იანვრიდან დიზელის სანვას დადგენილებით განსაზღვრული ყველა კომპონენტი ევრო 5 ნორმას გაუტოლდება;

- სანვას ხარისხის ეროვნულ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით სამინისტროს ინიციატივით მიმდინარეობს ქვეყანაში სანვას ხარისხის სახელმწიფო კონტროლი, რომლის ფარგლებში 2017-2018 წლებში დიზელში გოგირდის შემცველობაზე სინჯები აღებულ იქნა 29 ავტოგასამართ სადგურზე.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედების ინდიკატორები სრულად შესრულდა - დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის №550 დადგენილება „დიზელის სანვას შემადგენლობის ნორმების, ანალიზის მეთოდებისა და მათი დანერგვის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 დეკემბრის №238 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. დიზელის სანვაში გოგირდის შემცველობა 2-ჯერ შემცირდა. დიზელში გოგირდის შემცველობაზე სინჯები აღებულ იქნა 29 ავტოგასამართ სადგურზე.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამოცანა 4.1 ეკონომიკის სხვადასხვა დარგიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირება	
ქმედებისნომერი და სახელწოდება	ქმედება 4.1.6.: საავტომობილო დიზელის სანვას ხარისხის ეტაპობრივი მიახლოება ევროკავშირის სტანდარტებთან
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: განხორციელებული ცვლილებები; გოგირდის შემცველობაზე აღებული სინჯების რაოდენობა; დიზელის სანვაზე მომუშავე ავტომობილებიდან გოგირდის დიოქსიდის (SO ₂) გაფრქვევების მოცულობა შემცირებულია 33%-ით	შესრულებული: ცვლილებები განხორციელდა სინჯები აღებულია 29 გასამართ სადგურზე დიზელის სანვაში გოგირდის შემცველობა 2-ჯერ შემცირდა.
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
რეიტინგი	X				

შესრულებ ის შეფასება		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი					X

• **ქმედება 4.1.7:** რეგულაციის გამკაცრება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მშენებლობის დარგის ზემოქმედების შესამცირებლად

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ქმედების მიზანი: ქმედების მიზანი იყო ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მშენებლობის დარგის ზემოქმედების შემცირება, რაც შესაბამისი რეგულაციის თანამედროვე სტანდარტებთან მოყვანას მოითხოვდა.

განხორციელებული ღონისძიებები

- 2017 წლის 12 ივლისს მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის განკარგულება №1457 „ქ. თბილისის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“;
- 2018 წლის 26 აპრილის №917 საქართველოს მთავრობის განკარგულებით კი ცვლილებები შევიდა აღნიშნულ განკარგულებაში და სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების საერთო კოორდინაციის უზრუნველყოფა დაევალა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედების ინდიკატორები სრულად შესრულდა - მიღებულია რეგულაცია მშენებლობის პროცესში უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ზომების შესახებ.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამოცანა 4.1 ეკონომიკის სხვადასხვა დარგიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 4.1.7.: რეგულაციის გამკაცრება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მშენებლობის დარგის ზემოქმედების შესამცირებლად
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2018 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: მიღებული რეგულაცია მშენებლობის პროცესში უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ზომების შესახებ	შესრულებული: რეგულაცია მიღებულია
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
რეიტინგი	X				

შესრულებ ის შეფასება		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შენწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი					X

- **ქმედება 4.1.9:** ავტოპარკის მოდერნიზაციისა და ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილების გამოყენების ხელშეწყობა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ქმედების მიზანი: ქმედების მიზანია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ტრანსპოსრტის სექტორის ზეწოლის შემცირება ავტოპარკის მოდერნიზაციისა და ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილების ავტოპარკის თანდათანობითი ზრდით.

განხორციელებული ღონისძიებები

ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნულ საკითხზე

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

აქტივობის შესრულება არ დაწყებულა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამოცანა 4.1 ეკონომიკის სხვადასხვა დარგიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 4.1.9.: ავტოპარკის მოდერნიზაციისა და ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილების გამოყენების ხელშეწყობა
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2018 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილების გაზრდილი რაოდენობა	შესრულებული: არ შესრულდა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულებ ის შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი				X	
		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შენწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
სტატუსი		X				

ამოცანა 4.2 ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის განვითარება

ამოცანა 4.2-ის შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 4 ქმედება - მიმდინარეობს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის

ავტომატიზაცია და გაფართოება, ხდება ავტომატური სადგურების მონაცემთა ერთიანი სისტემის შექმნა და მონიტორინგის მონაცემების რეალურ დროში ვებ-გვერდზე განთავსება, საქართველოს ქალაქებში ყოველკვარტალურად ტარდება ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვები და დაინყო ჰაერის ხარისხის შეფასების რეჟიმის დადგენა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2017-2018 წლის განმავლობაში:

- ⇒ 2017 წელს ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელს დაემატა 2 ერთეული ავტომატიზებული სადგური (ქ. ბათუმი, ქ. ქუთაისი)
- ⇒ 2018 წელს ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელს დაემატა 1 ერთეული ავტომატიზებული სადგური (ქ. რუსთავი) და 1 მობილური სადგური.
- ⇒ 2017 წლიდან გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ გვერდზე თავსდება რეალურ დროსთან მიახლოებული (ბოლი 24 საათის მონაცემები) ატმოსფეროს ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის ავტომატური სადგურების მონაცემები
- ⇒ 2017 წელს საქართველოს 20 ქალაქში ჩატარდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების 523 ინდიკატორული გაზომვა
- ⇒ 2018 წელს საქართველოს 25 ქალაქში ჩატარდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების 554 ინდიკატორული გაზომვა. ინდიკატორული გაზომვების მონაცემების განთავსებულია ჰაერის ვებ პორტალზე (air.gov.ge)
- ⇒ ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების რეჟიმის დადგენის მიზნით შემუშავდა და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის N383 დადგენილებით დამტკიცდა “ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დადგენის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი”

3.1 ამოცანის განხორციელებისთვის 2017-2018 წლებში სახელმწიფოს მიერ გახარჯულია 1,901,991 ლარი.

- **ქმედება 4.2.1:** მონიტორინგის ქსელის სრული ავტომატიზაცია და შემდგომი გაფართოება

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ქმედების მიზანი: აქტივობის მიზანია ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის არსებული ქსელის თანდათანობითი გაფართოება და ავტომატიზაცია.

განხორციელებული ღონისძიებები

- 2017 წელს მონიტორინგის ქსელს დაემატა 2 ერთეული ავტომატიზებული სადგური (ქ. ბათუმი, ქ. ქუთაისი);
- 2018 წელს მონიტორინგის ქსელს დაემატა 1 ერთეული ავტომატიზებული სადგური (ქ. რუსთავი) და 1 მობილური სადგური.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედების ინდიკატორები სრულად შესრულდა - საანგარიშო პერიოდში ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის ქსელს დაემატა 3 ავტომატიზირებული (სტაციონალური) და 1 მობილური სადგური.

ქმედების მთლიანი საპროგნოზო ბიუჯეტი შეადგენდა 3,371,875 ლარს. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 1,780,122 ლარი.

ამოცანა 4.2 ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის განვითარება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 4.2.1.: მონიტორინგის ქსელის სრული ავტომატიზაცია და შემდგომი გაფართოება
პასუხისმგებელი უწყება:	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი:	შესრულებული:
მონიტორინგის ქსელს დამატებული სულ მცირე 3 ახალი ავტომატიზირებული სადგური და 1 მობილური სადგური	სრულად შესრულდა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 3,371,875	ფაქტობრივი: 1,780,122

შესრულების შეფასება	რეიტინგი	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
		X				
		განხორციელებული პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებული პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებული პროცესი შეჩერებულია	განხორციელებული პროცესი შეწყვეტილია	განხორციელებული პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

• **ქმედება 4.2.2:** ავტომატური სადგურების მონაცემთა მართვის ერთიანი სისტემის შექმნა და მონიტორინგის მონაცემების რეალურ დროში ვებ-გვერდზე განთავსება
პასუხისმგებელი უწყება: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ქმედების მიზანი: აქტივობას მიზანია ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

განხორციელებული ღონისძიებები

- 2017 წლიდან გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ გვერდზე თავსდება რეალურ დროსთან მიახლოებული (ბოლო 24 საათის მონაცემები) ატმოსფეროს ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის ავტომატური სადგურების მონაცემები;
- გარემოსდაცვითი განათლებისა და ინფორმაციის ცენტრთან თანამშრომლობით დასრულდა მუშაობა ჰაერის ვებ პორტალზე (air.gov.ge), სადაც ყველა მონაცემი ასახულია რეალურ დროში.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედების ინდიკატორი სრულად შესრულდა - ფუნქციონირებს ჰაერის ვებ-პორტალი, სადაც ყველა მონაცემი ასახულია რეალურ დროში.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამოცანა 4.2 ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის განვითარება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 4.2.2.: ავტომატური სადგურების მონაცემთა მართვის ერთიანი სისტემის შექმნა და მონიტორინგის მონაცემების რეალურ დროში ვებ-გვერდზე განთავსება
პასუხისმგებელი უწყება:	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი:	შესრულებული:
ვებ-გვერდზე რეალურ დროში განთავსებული მონიტორინგის მონაცემები	სრულად შესრულდა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულებ ის შეფასება	რეიტინგი	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
		X	განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შენწყვეტილია
	სტატუსი					X

- **ქმედება 4.2.4:** ყოველკვარტალურად ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვების ჩატარება საქართველოს სხვადასხვა ქალაქში

პასუხისმგებელი უწყება: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

აქტივობის მიზანი: აქტივობის მიზანია საქართველოს ქალაქებში ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვების რეგულარული ჩატარება და მიღებული ყველა დაინტერესებული მხარისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

განხორციელებული ღონისძიებები

- 2017 წელს საქართველოს 20 ქალაქში ჩატარდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების 523 ინდიკატორული გაზომვა;
- 2018 წელს საქართველოს 25 ქალაქში ჩატარდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების 554 ინდიკატორული გაზომვა;
- ინდიკატორული გაზომვების მონაცემების განთავსებულია ჰაერის ვებ პორტალზე (air.gov.ge).

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედების ინდიკატორი სრულად შესრულდა - მიმდინარეობს ჰაერის ხარისხის რეგულარული ინდიკატორული გაზომვები, რომლის შედეგებიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

ქმედების მთლიანი საპროგნოზო ბიუჯეტი შეადგინდა 399,897 ლარს. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 121,869 ლარი.

ამოცანა 4.2 ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის განვითარება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 4.2.4.: ყოველკვარტალურად ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვების ჩატარება საქართველოს სხვადასხვა ქალაქში
პასუხისმგებელი უწყება:	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: გამოქვეყნებული კვარტალური ანგარიშები ჰაერის ხარისხის შესახებ კონკრეტული დამაბინძურებლების კუთხით	შესრულებული: ანგარიშები გამოქვეყნებულია
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 399,897	ფაქტობრივი: 121,869

შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი	X			
	განხორციელებული პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებული პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებული პროცესი შეჩერებულია	განხორციელებული პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
სტატუსი		X			

• **ქმედება 4.2.5:** ჰაერის ხარისხის შეფასების რეჟიმისა და კრიტერიუმების დადგენა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების და მისი დაბინძურების პრევენციისა და შემცირებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების ევროპული სტანდარტების დანერგვას, რომლის საშუალებით, ევროპული კრიტერიუმების შესაბამისად, გაუმჯობესდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის კონტროლის, მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა.

განხორციელებული ღონისძიებები

- ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასების რეჟიმის დადგენის მიზნით შემუშავდა და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის N383 დადგენილებით დამტკიცდა “ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დადგენის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი”. შედეგად, 2018 წლის 1 აგვისტოდან ქვეყანაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასება თანამედროვე ევროპული სტანდარტების საფუძველზე ხორციელდება.
- მიმდინარეობს „ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/50/EC და 2004/107/EC დირექტივების შესაბამისად საქართველოში ატმოსფერული ჰაერის მაგნი ნივთიერებებით დაბინძურების დონეზე დაკვირვების პუნქტების/სადგურების მინიმალური სტანდარტული რაოდენობის, განლაგებისა და ფუნქციონირების წესების, აგრეთვე დაბინძურების დონის გაზომვის სტანდარტული მეთოდების ჩამონათვალის

ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის მომზადება.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედების ინდიკატორები უმეტესწილად შესრულდა - მიღებულია კანონქვემდებარე აქტი „ჰაერის ხარისხის სტანდარტების შესახებ“, ხოლო ჰაერის ხარისხის შეფასების მოთხოვნებთან დაკავშირებით კანონქვემდებარე აქტს შემუშავების პროცესშია.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამოცანა 4.2 ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის განვითარება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 4.2.5.: ჰაერის ხარისხის შეფასების რეჟიმისა და კრიტერიუმების დადგენა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: მიღებული კანონქვემდებარე აქტი „ჰაერის ხარისხის სტანდარტების შესახებ“; მიღებული კანონქვემდებარე აქტი ჰაერის ხარისხის შეფასების მოთხოვნებთან დაკავშირებით;	შესრულებული: სრულად შესრულდა ნაწილობრივ შესრულდა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულების შეფასება	რეიტინგი	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
				X		
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

ამოცანა 4.3 გაფრქვევების ინვენტარიზაციის სახელმწიფო სისტემის გაუმჯობესება და გაფრქვევების პროგნოზირების სისტემის დანერგვა

ამოცანა 4.3-ის შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 2 ქმედება - შეიქმნა სტაციონალური წყაროებისა და მათი წლიური გაფრქვევების აღრიცხვის ელექტრონული სისტემა და თანდათანობით უმჯობესდება ეკონომიკის სხვადასხვა დარგებიდან გაფრქვევების ინვენტარიზაცია. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2017-2018 წლის განმავლობაში:

- ⇒ დაინერგა სტაციონარული წყაროებისა და მათი წლიური გაფრქვევების აღრიცხვის ელექტრონული სისტემა (emoe.gov.ge)
- ⇒ მომზადდა 2007-2017 წლების ეროვნული ანგარიში წლიური გაფრქვევების შესახებ (სექტორების მიხედვით)

3.1 ამოცანის განხორციელებისთვის 2017-2018 წლებში სახელმწიფოს მიერ გახარჯულია 141,000 ლარი.

- **ქმედება 4.3.1:** სტაციონალური წყაროებისა და მათი წლიური გაფრქვევების აღრიცხვის ელექტრონული ონლაინ სისტემის დანერგვა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ჰაერის დაბინძურებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სამრეწველო სექტორსაც. ჩვეულებრივ, ჰაერში არსებული მყარი ნაწილაკების 64% სამრეწველო სექტორზე მოდის. ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების ეფექტიანი ღონისძიებების დაგეგმვის ერთ-ერთ ხელშემშლელ ფაქტორს სამრეწველო სექტორიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების ანგარიშგების მოძველებული სისტემის არსებობა წარმოადგენდა. აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად საჭირო იყო მონაცემების შეგროვებისა და ანგარიშგების ელექტრონული სისტემის შექმნა, რითაც გაიზარდებოდა გაფრქვევების აღრიცხვის ხარისხი და გამართივდებოდა აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესი.

განხორციელებული ღონისძიებები

- სამრეწველო სექტორიდან გაფრქვევების აღრიცხვის ხარისხის გაზრდისა და ანგარიშგება-აღრიცხვის პროცესის გამართივების მიზნით დაინერგა სტაციონარული წყაროებისა და მათი წლიური გაფრქვევების აღრიცხვის ელექტრონული სისტემა (emoe.gov.ge). სისტემის საშუალებით 2017 წლიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს მფლობელები წლიურ ანგარიშგებას გაცილებით უფრო მარტივად - ელექტრონულად ახორციელებენ;
- საზოგადოების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, მიღებული ინფორმაცია პორტალზე ქვეყნდება (ინტერაქტიული ვებ-რუკა): map.emoe.gov.ge

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება სრულად შესრულდა - შეიქმნა სტაციონარული წყაროებიდან გაფრქვევების აღრიცხვის მოქმედი ელექტრონული ონლაინ სისტემა (emoe.gov.ge), სტაციონარული წყაროებისა და მათი წლიური გაფრქვევების საძიებო სისტემა და ინტერაქტიული რუკა (map.emoe.gov.ge)

ქმედების მთლიანი საპროგნოზო ბიუჯეტი შეადგენდა 141,000 ლარს. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 141,000 ლარი.

ამოცანა 4.3 გაფრქვევების ინვენტარიზაციის სახელმწიფო სისტემის გაუმჯობესება და გაფრქვევების პროგნოზირების სისტემის დანერგვა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 4.3.1.: სტაციონალური წყაროებისა და მათი წლიური გაფრქვევების აღრიცხვის ელექტრონული ონლაინ სისტემის დანერგვა

პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2017
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: სტაციონარული წყაროებიდან გაფრქვევების აღრიცხვის მოქმედი ელექტრონული ონლაინ სისტემა სტაციონარული წყაროებისა და მათი წლიური გაფრქვევების საძიებო სისტემა და ინტერაქტიული რუკა	შესრულებული: ონლაინ-სისტემა ფუნქციონირებს ინტერაქტიული რუკა შემუშავებულია
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 141,000	ფაქტობრივი: 141,000

შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი	X			
	განხორციელებული პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებული პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებული პროცესი შეჩერებულია	განხორციელებული პროცესი შეწყვეტილია	განხორციელებული პროცესი დასრულებულია
სტატუსი					X

• **ქმედება 4.3.2:** ეკონომიკის სხვადასხვა დარგებიდან გაფრქვევების ინვენტარიზაციის შემდგომი განვითარება და პროგნოზირების სისტემის დანერგვა
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყაროების იდენტიფიცირებისა და მათგან გაფრქვევების შემცირების ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების აღრიცხვის გაუმჯობესება და გაფრქვევათა პროგნოზირების სისტემის შექმნა, რასაც სწორედ აღნიშნული ქმედება ისახავს მიზნად.

განხორციელებული ღონისძიებები

- ყოველწლიურად წარმოებს და ეტაპობრივად უმჯობესდება ეკონომიკის სხვადასხვა დარგებიდან გაფრქვევების ინვენტარიზაცია;
- მომზადდა 2007-2017 წლების ეროვნული ანგარიში წლიური გაფრქვევების შესახებ (სექტორების მიხედვით);
- დაიწყო მუშაობა გაფრქვევების პროგნოზირების სისტემის დანერგვაზე.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება უმეტესწილად შესრულდა - მომზადდა 2007-2017 წლების ეროვნული ანგარიში წლიური გაფრქვევების შესახებ. გაიზარდა გაფრქვევების ინვენტარიზაციის მასშტაბი და გაუმჯობესდა ხარისხი.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამოცანა 4.3 გაფრქვევების ინვენტარიზაციის სახელმწიფო სისტემის გაუმჯობესება და გაფრქვევების პროგნოზირების სისტემის დანერგვა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 4.3.2.: ეკონომიკის სხვადასხვა დარგებიდან გაფრქვევების ინვენტარიზაციის შემდგომი განვითარება და პროგნოზირების სისტემის დანერგვა
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: ეროვნული ანგარიში წლიური გაფრქვევების შესახებ გაფრქვევების ინვენტარიზაციის მასშტაბის გაზრდა და ხარისხის გაუმჯობესება მიმდინარეობს გაფრქვევების პროგნოზირება	შესრულებული: ეროვნული ანგარიში მომზადებულია და ეტაპობრივად უმჯობესდება ეკონომიკის სხვადასხვა დარგებიდან გაფრქვევების ინვენტარიზაცია ამ ეტაპზე პროგნოზირება არ კეთდება
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი		X		
	განხორციელებული პროცესი ჯერ არ დაწყებულია	განხორციელებული პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებული პროცესი შეჩერებულია	განხორციელებული პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
სტატუსი		X			

თავი 5: ნარჩენების მართვა

თავი 5 - ნარჩენების მართვა - მოიცავს 3 ამოცანას და ჯამში 16 ქმედებას. ამოცანები ორიენტირებულია ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებაზე, ნარჩენების გადამუშავებისა და უსაფრთხო განთავსების ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, ასევე, „დამბინრძურებელი იხდის“ პრინციპისა და მწარმოებელის გაფართოებული ვალდებულების განხორციელებაზე.

თავის ქმედებების უმეტესობა სრულდება არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დონორ(ებ)ის დახმარებით. მთლიანობაში, 2017-2018 წლებში თავი ქმედებათა შესრულების ჯამურმა დანახარჯებმა შეადგინა 13,602,867 ლარი.

ამოცანა 5.1 ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება

ამოცანა 5.1-ის შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 8 ქმედება - მიმდინარეობს ნარჩენების მართვის კანონმდებლობის ევროკავშირის მოთხოვნებთან ჰარმონიზაცია, ხდება საქართველოს კონვენციების ვალდებულებების ნარჩენების მართვის ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოტანა, შემუშავდა ნარჩენების მართვის გეგმები საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტისთვის, მიმდინარეობს კომპანიების ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავება და მათი განხორციელების მონიტორინგი, შეიქმნა ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების სისტემა, დაწყებულია სახიფათო ნარჩენების მართვის სისტემის ჩამოყალიბება, დაწყებულია მწარმოებლისთვის კონკრეტული ვალდებულებების განსაზღვრა ნარჩენების თითოეული ნაკადისთვის და იგეგმება ნარჩენების შეგროვების მინიმალური მაჩვენებლის მიღწევა. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს მუნიციპალიტეტების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2017-2018 წლის განმავლობაში:

- ⇒ მიღებული იქნა მთავრობის 4 დადგენილება ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით
- ⇒ შემუშავებულია ახალი კანონპროექტი „ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის შესახებ“, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ბაზელის კონვენციის მოთხოვნებთან
- ⇒ ყველა მუნიციპალიტეტს (გარდა ქ. თბილისისა) შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა
- ⇒ შეთანხმებულია 1500-მდე კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა
- ⇒ 4000-მდე კომპანიას დანიშნული ჰყავს გარემოსდაცვითი მმართველი და მათი ვინაობის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია სამინისტროში
- ⇒ შემუშავებულია და 2018 წლის 1 იანვრიდან ფუქციონირებს ნარჩენების მართვის ელექტრონული სისტემა (waste.moe.gov.ge)
- ⇒ 2017 წლის პირველი იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირდა 650 ორგანიზაცია და წარმოდგენილი იქნა ნარჩენების ტრანსპორტირების 30 000-მდე ფორმა
- ⇒ ნარჩენების თითოეული ნაკადისათვის შემუშავდა საკანონმდებლო აქტების პროექტები

5.1 ამოცანის განხორციელებისთვის 2017-2018 წლებში სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

- **ქმედება 5.1.1:** ნარჩენების მართვის კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროკავშირის მოთხოვნებთან
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
ქმედების მიზანი: ქმედების მიზანს ნარჩენების მართვის სფეროში თანამედროვე ევროპული პრაქტიკის დანერგვა და ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნების შესრულება

წარმოადგენს, რომლის თანახმადაც საქართველო ვალდებულია მოახდინოს ეროვნული კანონმდებლობის ევროპული კანონმდებლობას დაახლოება.

განხორციელებული ღონისძიებები

მიღებული იქნა მთავრობის დადგენილებები:

- „სამედიცინო ნარჩენების მართვა“ დამტკიცების შესახებ“;
- „ნარჩენების ინსინერაციისა და თანაინსინერაციის პირობების დამტკიცების თაობაზე“
- „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის, ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების“ დამტკიცების შესახებ;
- „პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედების ინდიკატორი უმეტესწილად შესრულებულია - მიღებულია 4 ახალი საკანონმდებლო აქტი.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 5.1 ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 5.1.1.: ნარჩენების მართვის კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროკავშირის მოთხოვნებთან
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: ნარჩენების მართვის ეროვნული კანონმდებლობა დირექტივებთან/რეგულაციებთან შესაბამისობაშია	შესრულებული: მიღებულია 4 საკანონმდებლო აქტი
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი		X		
	განხორციელებული პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებული პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებული პროცესი შეჩერებულია	განხორციელებული პროცესი შეწყვეტილია	განხორციელებული პროცესი დასრულებულია
სტატუსი		X			

- **ქმედება 5.1.2:** ნარჩენების მართვის ეროვნულ კანონმდებლობაში საერთაშორისო კონვენციების ვალდებულებების განხორციელება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: საქართველოს და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების გარდა საქართველოს სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული ვალდებულებებიც გააჩნია - ერთ-ერთი მათგანია ბაზელის კონვენცია (სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ). აღნიშნული ქმედება ეროვნული კანონმდებლობის ბაზელის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანას ეხება.

განხორციელებული ღონისძიებები

- შემუშავებულია ახალი კანონპროექტი „ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის შესახებ“, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ბაზელის კონვენციის მოთხოვნებთან. კანონის პროექტი უახლოეს მომავალში წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა - ახალი კანონპროექტი „ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის შესახებ“ შემუშავებულია, თუმცა ჯერ არ დამტკიცებულა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 5.1 ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 5.1.2.: ნარჩენების მართვის ეროვნულ კანონმდებლობაში საერთაშორისო კონვენციების ვალდებულებების განხორციელება
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: განახლებული კანონმდებლობა (საქართველოს კანონი „ნარჩენების იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტის შესახებ“), ბაზელის კონვენციასთან შესაბამისობაშია	შესრულებული: კანონპროექტი შემუშავებულია, თუმცა ჯერ არ დამტკიცებულა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი			X	
	განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს	განხორციელები ს პროცესი შეჩერებულია	განხორციელები ს პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
სტატუსი		X			

- **ქმედება 5.1.3:** პირველი მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების (5-წლიანი) შემუშავება და მიღება

პასუხისმგებელი უწყება: მუნიციპალიტეტები

ქმედების მიზანი: ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად თითოეული მუნიციპალიტეტმა უნდა შეიმუშაოს და დამტკიცოს მის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმა. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა უნდა შეესაბამებოდეს ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიას და ნარჩენების მართვის ეროვნულ სამოქმედო გეგმას. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო მონაწილეობს აღნიშნული სამოქმედო გეგმების შემუშავებაში.

განხორციელებული ღონისძიებები

- დღეისათვის ყველა მუნიციპალიტეტს (გარდა ქ. თბილისისა) შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა;
- ქ. თბილისისათვის, USAID-ის დახმარებით, მიმდინარეობს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედების ინდიკატორი უმეტესწილად შესრულებულია - გარდა ქ. თბილისისა, ყველა მუნიციპალიტეტს დამტკიცებული აქვს ნარჩენების მართვის გეგმები.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამოცანა 5.1 ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 5.1.3.: პირველი მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების (5-წლიანი) შემუშავება და მიღება
პასუხისმგებელი უწყება:	მუნიციპალიტეტები
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: დამტკიცებული ნარჩენების მართვის გეგმები ყველა მუნიციპალიტეტისთვის	შესრულებული: ქ. თბილისის გარდა ყველა მუნიციპალიტეტს დამტკიცებული აქვს ნარჩენების მართვის გეგმები
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულებ ის შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი		X		
სტატუსი	განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შენწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია

- **ქმედება 5.1.4:** კომპანიების ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავების/განხორციელების მონიტორინგი და კონტროლი

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად საქართველოში მოქმედ კომპანიებს აქვთ ვალდებულება შეიმუშაონ და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმონ კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმები.

განხორციელებული ღონისძიებები

- სამინისტროს მიერ შეთანხმებულია 1500-მდე კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა;
- 4000-მდე კომპანიას დანიშნული ჰყავს გარემოსდაცვითი მმართველი და მათი ვინაობის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია სამინისტროში.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედების ინდიკატორი უმეტესწილად შესრულებულია - შეთანხმებულია 1500-მდე კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა. თუმცა პროცესი ამ ეტაპზე არ ჩერდება და გაგრძელდება მომდევნო წლებშიც.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამოცანა 5.1 ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 5.1.4.: კომპანიების ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავების/განხორციელების მონიტორინგი და კონტროლი
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული კომპანიების ნარჩენების მართვის გეგმების რაოდენობა	შესრულებული: შეთანხმებულია 1500-მდე კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულების შეფასება	რეიტინგი	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
				X		
		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს	განხორციელები ს პროცესი შეჩერებულია	განხორციელები ს პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

• **ქმედება 5.1.5:** ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების სისტემის შექმნა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ქმედება ითვალისწინებდა ელექტრონული სისტემის შექმნას, სადაც შეიქმნებოდა ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ოპერატორების რეესტრი -

აღნიშნულ სისტემას ასევე უნდა გაეადვილებოდა ოპერატორებისთვის მართვის გეგმების წარდგენა და ნარჩენების აღრიცხვა-ანგარიშგების წლიური ფორმების წარდგენა.

განხორციელებული ღონისძიებები

- შემუშავებულია და 2018 წლის 1 იანვრიდან ფუქციონირებს ნარჩენების მართვის ელექტრონული სისტემა (waste.moe.gov.ge).
ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში მიმდინარეობს:
 - სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ფორმების შევსება/წარდგენა;
 - კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმების წარდგენა;
 - რეგისტრაციას დაქვემდებარებული საქმიანობის შესახებ განაცხადების წარდგენა და შეთანხმება;
 - ნარჩენების აღრიცხვა-ანგარიშგების წლიური ფორმების წარდგენა (მათ შორის წლიურ ანგარიშები წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის, ნაგავსაყრელზე ნარჩენების განთავსების, ნარჩენების შეგროვების და დამუშავების შესახებ).
- 2017 წლის პირველი იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირდა 650 ორგანიზაცია და წარმოდგენილი იქნა ნარჩენების ტრანსპორტირების 30 000-მდე ფორმა.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედების ინდიკატორი შესრულებულია - ფუქციონირებს ნარჩენების მართვის ელექტრონული სისტემა (waste.moe.gov.ge), რომელშიც დარეგისტრირებულია 650 ორგანიზაცია.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამოცანა 5.1 ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 5.1.5.: ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების სისტემის შექმნა
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ოპერატორების რეგისტრირების/სერტიფიცირების შექმნილი და დამტკიცებული სისტემა	შესრულებული: სისტემა ფუქციონირებს
რეგისტრირებული/სერტიფიცირებული ოპერატორების რაოდენობა	სისტემაში დარეგისტრირებულია 650 ორგანიზაცია
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულებ ის შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი	X				
		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შენწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

• **ქმედება 5.1.6:** სახიფათო ნარჩენების მართვის ეროვნული სისტემის შექმნა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ქმედება ითვალისწინებს საქართველოში სახიფათო ნარჩენების მართვის მოქმედი წესების შეფასებას და სახიფათო ნარჩენების ინვენტარიზაციას, რის შემდეგაც უნდა ჩამოყალიბდეს თანამედროვე პრინციპებზე დაფუძნებული სახიფათო ნარჩენების მართვის სისტემის კონცეფცია და დაიწყოს აღნიშნული სისტემის შექმნა.

განხორციელებული ღონისძიებები

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ დაფინანსებულ პროექტის და ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში, ჩატარდა სახიფათო ნარჩენების მართვის შეფასება, ტექნიკური ეკონომიკური კვლევა, ინვენტარიზაცია.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულია - ჩატარდა სახიფათო ნარჩენების მართვის შეფასება, ტექნიკური ეკონომიკური კვლევა და ინვენტარიზაცია.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 5.1 ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 5.1.6.: სახიფათო ნარჩენების მართვის ეროვნული სისტემის შექმნა
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2018 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: სახიფათო ნარჩენების განცალკევებული შეგროვების შექმნილი სისტემა რეგისტრირებული/სერტიფიცირებული ოპერატორების რაოდენობა	შესრულებული: პროცესი მხოლოდ საწყის ეტაპზე არ დაწყებულა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი			X		

შესრულებ ის შეფასება		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შენწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

• **ქმედება 5.1.7:** კონკრეტული ვალდებულებების განსაზღვრა მწარმოებლებისთვის პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად, 2019 წლის 1 დეკემბრიდან უნდა ამოქმედდეს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების პრინციპი. ამისთვის აუცილებელია ნორმატიული აქტებით კონკრეტულად განისაზღვროს რა ვალდებულებები აქვთ სხვადასხვა მწარმოებლებს.

განხორციელებული ღონისძიებები

ნარჩენების თითოეული ნაკადისათვის შემუშავებულია საკანონმდებლო აქტების პროექტები:

- „შეფუთვისა და შესაფუთი მასალის ნარჩენების მართვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“
- „ბატარებისა და აკუმულატორების ნარჩენების მართვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“
- „ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებების მართვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“
- „გამოყენებული საბურავების მართვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“
- „ნარჩენი ზეთების მართვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“
- „ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების მართვის შესახებ“

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედების ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულებულია - შემუშავებულია საკანონმდებლო აქტები ნარჩენების თითოეული ნაკადისათვის, თუმცა ჯერ არ არის დამტკიცებული.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 5.1 ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 5.1.7.: კონკრეტული ვალდებულებების განსაზღვრა მწარმოებლებისთვის
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: კანონმდებლობა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) შესახებ ძალაშია	შესრულებული: შემუშავებულია საკანონმდებლო აქტები ნარჩენების თითოეული ნაკადისათვის, თუმცა ჯერ არ არის დამტკიცებული
ბიუჯეტი	

საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -
---------------	---------------

	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
რეიტინგი			X		
შესრულებ ის შეფასება	განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს	განხორციელები ს პროცესი შეჩერებულია	განხორციელები ს პროცესი შეწყვეტილია	განხორციელები ს პროცესი დასრულებულია
სტატუსი		X			

• **ქმედება 5.1.8:** ნარჩენების შეგროვების მინიმალური მაჩვენებლის მიღწევა პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ნარჩენების მართვის კოდექსში განსაზღვრულია 2020 წლისთვის შესაგროვებელი ნარჩენების სამიზნე მაჩვენებლები - მუნიციპალური ნარჩენების 90% და სახიფათო ნარჩენების 50%.

განხორციელებული ღონისძიებები

- თითოეულ მუნიციპალიტეტს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა, სადაც 2020 წლისათვის განსაზღვრული აქვთ შესაბამისი მაჩვენებლის მიღწევა;
- სახიფათო ნარჩენების ახალი სისტემის შექმნა მხოლოდ სანყის ეტაპზეა. თუმცა არსებული წესებიდან გამომდინარე, კომპანიების მიერ წარმოდგენილი გეგმების მიხედვით, სახიფათო ნარჩენები გადაეცემა შესაბამისი ნებართვის (მყარი ნარჩენების მართვის) მქონე კომპანიებს (გარდა ზოგიერთი კატეგორიის ნარჩენებისა მაგ: წილა, ნაცარი და სხვა.).

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ნაწილობრივ შესრულებულია - მუნიციპალიტეტებს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა, სადაც 2020 წლისათვის განსაზღვრული აქვთ შესაბამისი მაჩვენებლის მიღწევა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამოცანა 5.1 ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 5.1.8.: ნარჩენების შეგროვების მინიმალური მაჩვენებლის მიღწევა
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: შეგროვებულია: მუნიციპალური ნარჩენები - 90% სახიფათო ნარჩენები - 50%	შესრულებული: მუნიციპალიტეტებს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა, სადაც 2020 წლისათვის

	განსაზღვრული აქვთ შესაბამისი მაჩვენებლის მიღწევა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულებ ის შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა		
	რეიტინგი			X			
		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია	
	სტატუსი		X				

ამოცანა 5.2 ნარჩენების გადამუშავებისა და უსაფრთხო განთავსების ინფრასტრუქტურის განვითარება

ამოცანა 5.2-ის შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 4 ქმედება - მიმდინარეობდა არსებული ოფიციალური ნაგავსაყრელების დახურვა და გარდამავალ პერიოდში მათი მართვის გაუმჯობესება, იგეგმება სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა, დაიწყო რეგიონული ნაგავსაყრელების მოწყობა და საწყის ეტაპზე სახიფათო ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის განვითარება. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებისა და საქართველოს მუნიციპალიტეტების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2017-2018 წლის განმავლობაში:

- ⇒ 2017-2018 წლებში კეთილმოეწყო 2 ნაგავსაყრელი
- ⇒ 2017-2018 წლებში დაიხურა 5 ნაგავსაყრელი
- ⇒ ყველა მუნიციპალიტეტს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმები, სადაც 2020 წლისათვის განერილია სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაციის ღონისძიებები
- ⇒ დაიწყო ქუთაისი რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობა
- ⇒ იმართება 5 ნარჩენების გადამტვირთ სადგური
- ⇒ სახიფათო ნარჩენების დამუშავების გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაიცა 67 კომპანიაზე
- ⇒ სახიფათო ნარჩენების შეგროვება ტრანსპორტირებაზე რეგისტრირებულია 100-ზე მეტი კომპანია

5.2 ამოცანის განხორციელებისთვის 2017-2018 წლებში სახელმწიფოს მიერ გახარჯულია 13,602,867 ლარი.

- **ქმედება 5.2.1:** არსებული ოფიციალური ნაგავსაყრელების დახურვა და გარდამავალ პერიოდში მათი მართვის და ოპერირების გაუმჯობესება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანია“

ქმედების მიზანი: შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანია“ ამჟამად მართავს 54 (31 განახლებული და 23 დახურული) მუნიციპალურ ნაგავსაყრელს - კომპანიის მიზანია არსებული ნაგავსაყრელების მართვა, კეთილმოწყობა, ეტაპობრივი დახურვა, გარდამავალ პერიოდში მათი ოპერირების გაუმჯობესება და ახალი ევროსტანდარტების შესაბამისი რეგიონული ნაგავსაყრელების მშენებლობა.

განხორციელებული ღონისძიებები

- კეთილმოწყობილია 2 ნაგავსაყრელი;
- დახურულია 5 ნაგავსაყრელი.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ნაწილობრივ შესრულებულია - საანგარიშო პერიოდში კეთილმოწყობა 2 და დახურვა 5 ნაგავსაყრელი. თუმცა ქმედება 2020 წლამდე გრძელდება.

ქმედების მთლიანი ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 18,000,000 ლარის ოდენობით. თუმცა საანგარიშო პერიოდის საპროგნოზო ბიუჯეტი შეადგენდა 1,459,625 ლარს, ხოლო ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 1,238,850 ლარი.

ამოცანა 5.2 ნარჩენების გადამუშავებისა და უსაფრთხო განთავსების ინფრასტრუქტურის განვითარება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 5.2.1.: არსებული ოფიციალური ნაგავსაყრელების დახურვა და გარდამავალ პერიოდში მათი მართვის და ოპერირების გაუმჯობესება
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანია“
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: განახლებული ნაგავსაყრელების რაოდენობა დახურული ნაგავსაყრელების რაოდენობა	შესრულებული: 2 ნაგავსაყრელი 5 ნაგავსაყრელი
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 1,459,625	ფაქტობრივი: 1,238,850

შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი			X	
	განხორციელებული პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებული პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებული პროცესი შეჩერებულია	განხორციელებული პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
სტატუსი		X			

• **ქმედება 5.2.2:** სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა

პასუხისმგებელი უწყება: მუნიციპალიტეტები

ქმედების მიზანი: ქმედების მიზანია საქართველოში არსებული არაოფიციალური, სტიქიური ნაგავსაყრელების თანდათანობითი ლიკვიდაცია.

განხორციელებული ღონისძიებები

- თითოეულ მუნიციპალიტეტს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა, სადაც 2020 წლისათვის განწერილი აქვთ სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაციის ღონისძიებები.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება არ შესრულდა - მუნიციპალიტეტების მიერ დამტკიცებული ნარჩენების მართვის გეგმები ითვლისწინებს სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაცია, თუმცა საანგარიშო პერიოდში ამ კუთხით ჯერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ მონაცემები არ არის.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამოცანა 5.2 ნარჩენების გადამუშავებისა და უსაფრთხო განთავსების ინფრასტრუქტურის განვითარება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 5.2.2.: სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა
პასუხისმგებელი უწყება:	მუნიციპალიტეტები
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: დახურული ნაგავსაყრელების რაოდენობა	შესრულებული: ამ ეტაპზე არ შესრულდა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულებ ის შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა		
	რეიტინგი				X		
		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია	
	სტატუსი		X				

• **ქმედება 5.2.3:** თანამედროვე რეგიონული ნაგავსაყრელებისა და ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მონყობა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანია“

ქმედების მიზანი: შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანია“ მიზნად ისახავს მუნიციპალური ნაგავსაყრელების დახურვას, ახალი ევროსტანდარტების შესაბამისი

რეგიონული ნაგავსაყრელების მშენებლობასა და ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობას.

განხორციელებული ღონისძიებები

- ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტის ფარგლებში განხორციელდა ქუთაისის რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობის საერთაშორისო ტენდერი და შერჩეულ კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულება;
- ცვლილება შევიდა ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების მართვის პროექტში და 2019 წლიდან დაიწყო რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობისთვის საჭირო საპროექტო სამუშაოები;
- კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს განმახორციელებელი და დამხმარე ღონისძიებების საკონსულტაციო კომპანიების შერჩევის პროცედურები და 2019 წლიდან განხორციელდება საპროექტო სამუშაოები;
- ცენტრალური საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს საკონსულტაციო კომპანიის შერჩევა მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის განსახორციელებლად;
- შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანია“ მართავს 5 ნარჩენების გადამტვირთ სადგურს.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ნაწილობრივ შესრულებულია - დაწყებულია 1 რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობა და მიმდინარეობს 3 რეგიონული ნაგავსაყრელი საპროექტო სამუშაოები. იმართება 5 ნარჩენების გადამტვირთ სადგური.

ქმედების მთლიანი ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 324,000,000 ლარის ოდენობით. თუმცა საანგარიშო პერიოდის საპროგნოზო ბიუჯეტი შეადგენდა 15,300,000 ლარს, ხოლო ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 12,364,017 ლარი.

ამოცანა 5.2 ნარჩენების გადამუშავებისა და უსაფრთხო განთავსების ინფრასტრუქტურის განვითარება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 5.2.3.: თანამედროვე რეგიონული ნაგავსაყრელებისა და ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანია“
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: თანამედროვე რეგიონული ნაგავსაყრელების და გადამტვირთავი სადგურების რაოდენობა	შესრულებული: დაწყებულია 1 რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობა და მიმდინარეობს 3 რეგიონული ნაგავსაყრელი საპროექტო სამუშაოები. იმართება 5 ნარჩენების გადამტვირთ სადგური.
ბიუჯეტი	

საპროგნოზო: 15,300,000	ფაქტობრივი: 12,364,017
------------------------	------------------------

შესრულება ის შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა		
	რეიტინგი			X			
		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შენწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია	
	სტატუსი		X				

• **ქმედება 5.2.4:** სახიფათო ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის განვითარება
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

ქმედების მიზანი: სახიფათო ნარჩენების გადაზიდვა/ტრანსპორტირება, დამუშავება,
უსაფრთხოდ განლაგება და შენახვა შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას მოითხოვს -
რის შესრულებასაც ემსახურება აღნიშნული ქმედება.

განხორციელებული ღონისძიებები

- სახიფათო ნარჩენების დამუშავების გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია 67 კომპანიაზე;
- სახიფათო ნარჩენების შეგროვება ტრანსპორტირებაზე რეგისტრირებულია 100-ზე მეტი კომპანია;
- დაგეგმილია სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის და სხვა წინასწარი დამუშავების ობიექტების მონაცხობა.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება არ შესრულდა - სახიფათო ნარჩენების მართვისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მონაცხობა ჯერ არ დაწყებულა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამოცანა 5.2 ნარჩენების გადამუშავებისა და უსაფრთხო განთავსების ინფრასტრუქტურის განვითარება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 5.2.4.: სახიფათო ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის განვითარება
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: სახიფათო ნარჩენების მართვისთვის მონაცხობილი ინფრასტრუქტურის რაოდენობა	შესრულებული: არ შესრულდა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულებ ის შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი				X	
		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

ამოცანა 5.3 „დამბინძურებელი იხდის პრინციპისა“ და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების განხორციელება

ამოცანა 5.3-ის შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 3 ქმედება (1 ქმედების შესრულება შეწყდა) - საწყის ეტაპზე ნარჩენების მართვის სფეროში კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობის ფორმების განსაზღვრა, იგეგმება ცალკეული ზომების მიღები ნარჩენების სპეციფიკური ნაკადების მართვისთვის, ასევე მიზნად არის დასახული მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების წახალისების მექანიზმების შემუშავება. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2017-2018 წლის განმავლობაში:

- ⇒ მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესახებ ნორმატიული აქტების პროექტებში გაიწერა კერძო და საჯარო სექტორს (ცენტრალური ხელისუფლება, მუნიციპალიტეტები) შორის თანამშრომლობის ფორმები და მიდგომები

5.2 ამოცანის განხორციელებისთვის 2017-2018 წლებში სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

- **ქმედება 5.3.1:** ხარჯების ანაზღაურების სისტემის შემუშავება კერძო სექტორისა და მუნიციპალიტეტებისთვის

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ქმედების მიზანია ნარჩენების მართვის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ჩამოყალიბება როგორც კერძო სექტორის, ისე მუნიციპალიტეტებისთვის. მნიშვნელოვანია დანახარჯების ანაზღაურების ისეთი სისტემის შემოთავაზება, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალურ დონეზე მყარი ნარჩენების მართვის სისტემების მდგრადობას

განხორციელებული ღონისძიებები

- USAID-ის დახმარებით შემუშავებულ იქნა „საქართველოში ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფებისა და დანახარჯების ანაზღაურების სისტემის შემუშავების ზოგადი მეთოდოლოგია“. აღნიშნულ მეთოდოლოგიის გამოყენება ნარჩენების

მართვის მომსახურების ტარიფების დადგენისთვის იგეგმება რამდენიმე მუნიციპალიტეტის მიერ.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედების ინდიკატორების შესრულება ახალი დანაშეულობა - ამ ეტაპზე მხოლოდ ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფების დადგენის საპილოტე მეთოდოლოგია არსებობს და მხოლოდ მისი გამოყენების შემდეგ იქნება შესაძლებელი მის ეფექტიანობაზე (ან პირიქით) საბარი. ამ ეტაპზე პირველი ნაბიჯები იდგმება მუნიციპალურ დონეზე ნარჩენების მართვის მომსახურების ანაზღაურების სისტემის შემუშავების კუთხით.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამოცანა 5.3 „დამბინძურებელი იხდის პრინციპისა“ და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების განხორციელება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 5.3.1.: ხარჯების ანაზღაურების სისტემის შემუშავება კერძო სექტორისა და მუნიციპალიტეტებისთვის
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: მუნიციპალიტეტებში დანერგილი ნარჩენების მოსაკრებელის ამოღების ეფექტიანი სისტემა და დადგენილი ნაგავსაყრელებზე ნარჩენების მიღების(ჭიშკრის) საფასური კომპანიებისთვის განახლებული სატარიფო სისტემა	შესრულებული: ნარჩენების მოსაკრებელის ამოღების სისტემის შექმნა ახალი დანაშეულობა კომპანიებისთვის სატარიფო სისტემა ჯერ არ განახლებულა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა		
შესრულების შეფასება	რეიტინგი			X		
		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

- **ქმედება 5.3.2:** ნარჩენების მართვაში კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობის ფორმების განსაზღვრა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ქმედების მიზანია ცალკე პოლიტიკური დოკუმენტის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს ნარჩენების მართვის სფეროში კერძო და საჯარო სექტორებს შორის თანამშრომლობის ფორმებს.

განხორციელებული ღონისძიებები

ქმედების შესრულება შეწყდა - ცალკე პოლიტიკური დოკუმენტის შემუშავება, რომელშიც განისაზღვრება ნარჩენების მართვის სფეროში კერძო და საჯარო სექტორებს შორის თანამშრომლობის ფორმები, აღარ იქნა მიჩნეული მიზანშეწონილად.

სამაგიეროდ, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესახებ ნორმატიული აქტები („შეფუთვისა და შესაფუთი მასალის ნარჩენების მართვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“; „ბატარებისა და აკუმულატორების ნარჩენების მართვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“; „ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებების მართვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“, „გამოყენებული საბურავების მართვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“, „ნარჩენი ზეთების მართვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“, „ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების მართვის შესახებ“) განსაზღვრავენ კერძო და საჯარო სექტორს (ცენტრალური ხელისუფლება, მუნიციპალიტეტები) შორის თანამშრომლობის ფორმებსა და მიდგომებს.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება შესრულება შეწყდა - ცალკე პოლიტიკური დოკუმენტის შემუშავება, რომელშიც განისაზღვრება ნარჩენების მართვის სფეროში კერძო და საჯარო სექტორებს შორის თანამშრომლობის ფორმები, არ შესრულდება.

ამოცანა 5.3 „დამბინძურებელი იხდის პრინციპისა“ და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების განხორციელება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 5.3.2.: ნარჩენების მართვაში კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობის ფორმების განსაზღვრა
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: შემუშავებული პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს თანამშრომლობის ფორმებს ნარჩენების მართვაში კერძო და საჯარო სექტორებს შორის	შესრულებული: ქმედების შესრულება შეწყდა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
რეიტინგი				X	

შესრულებ ის შეფასება		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შენწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
სტატუსი					X	

• **ქმედება 5.3.3:** ზომების მიღება ნარჩენების სხვადასხვა სპეციფიკური ნაკადების მართვისთვის

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ნარჩენების მართვის კოდექსის მიხედვით აუცილებელია სხვადასხვა ტიპის ნარჩენების თანამედროვე სტანდარტებით მართვა - მოცემულია 2020 წლისთვის მისაღწევი სამიზნე მაჩვენებლები სპეციფიკური ნარჩენებისთვის.

განხორციელებული ღონისძიებები

მოცემული მაჩვენებლები 2020 წლისათვის მიიღწევა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სისტემის შექმნისა და დანერგვის გზით:

- ნორმატიული აქტების შემუშავება და მიღება;
- მუნიციპალიტეტებისა და კერძო სექტორის შესაძლებლობების გაძლიერება;
- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება;
- მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების განმახორციელებელი ორგანიზაციების შექმნა, შესაძლებლობების გაძლიერება და სხვა.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება არ შესრულდა - სპეციფიკური ნარჩენების მართვის სამიზნე მაჩვენებლების მისაღწევად ღონისძიებები არ განხორციელებულა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 5.3 „დამბინძურებელი იხდის პრინციპისა“ და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების განხორციელება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 5.3.3.: ზომების მიღება ნარჩენების სხვადასხვა სპეციფიკური ნაკადების მართვისთვის
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: სათანადოდ მართული: ბატარეები - 20% ნარჩენი ზეთები -50% შეფუთვის ნარჩენები - 40% ნემ - 20% საბურავები - 50% აკუმულატორები - 60% ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებები - 20%	შესრულებული: არ შესრულდა

ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულებ ის შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა		
	რეიტინგი				X		
		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შენწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია	
	სტატუსი		X				

• **ქმედება 5.3.4: მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების წახალისების მექანიზმების განხორციელება**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ქმედება მიზნად ისახავს მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებასთან ერთად პეტის ბოთლების შეგროვების დეპოზიტური სისტემის შექმნასა და დანერგვას. (მოსახლეობის მოტივაცია, დაინტერესება ბოთლების შეგროვება/ჩაბარებაზე კომპანიების გაზრდილი ინტერესი რეციკლირებაზე.). ასევე, ქალაქისა და ბიოდეგრადირებადი პარკების წარმოებისა და იმპორტის სტიმულირებას.

განხორციელებული ღონისძიებები

არ განხორციელებულა

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება არ შესრულდა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამოცანა 5.3 „დამბინძურებელი იხდის პრინციპისა“ და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების განხორციელება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 5.3.4.: მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების წახალისების მექანიზმების განხორციელება
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: შემცირებული ნარჩენების და გაზრდილი რეციკლირებული სპეციფიკური ნარჩენების ნაკადის რაოდენობა	შესრულებული: არ შესრულდა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულებ ის შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი				X	
		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შენწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

თავი 6: ქიმიური ნივთიერებების მართვა

თავი 6 - ქიმიური ნივთიერებების მართვა - მოიცავს 3 ამოცანას და ჯამში 18 ქმედებას. ამოცანები ორიენტირებული ქიმიური ნივთიერებების მართვის სისტემის გაუმჯობესებაზე, სხვადასხვა სახითათო ქიმიური ნივთიერებების, მაგალითად, მდგრადი ორგანული დამბინძურებლები, ოზონდამშლელი ნივთიერებები, ვერცხლისწალი და ვერცხლისწყლის ნაერთები, ეროვნულ დონეზე მართვის გაუმჯობესებაზე და სახითათო სამრეწველო ობიექტების შემონახვის ინტეგრირებული მართვის სისტემის დანერგვაზე.

თავის ქმედებების უმეტესობა სრულდება არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დონორ(ებ)ის დახმარებით.

ამოცანა 6.1 ქიმიური ნივთიერებების მართვის სისტემის გაუმჯობესება

ამოცანა 6.1-ის შესრულების მიზნით საანგარიშო პერიოდში დაიწყო 4 ქმედების განხორციელება - მიმდინარეობს „ქიმიური ნივთიერებების მართვის შესახებ“ კანონის შემუშავება, დაწყებულია სახითათი ქიმიური ნივთიერებების ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შექმნა, იგეგმება ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურებული ობიექტების იდენტიფიცირების ერთიანი მექანიზმის შექმნა და საერთაშორისო პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა „ნივთიერებების და ნარევების კლასიფიკაციის, ეტიკეტირების და შეფუთვის შესახებ“ კანონქვემდებარე აქტის პროექტზე. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2017-2018 წლის განმავლობაში:

- ⇒ მიმდინარეობს „ქიმიური ნივთიერებების მართვის შესახებ“ კანონის პროექტის შემუშავება
- ⇒ დაწყებულია მუშაობა „ნივთიერებების და ნარევების კლასიფიკაციის, ეტიკეტირების და შეფუთვის შესახებ“ კანონქვემდებარე აქტის პროექტზე

6.1 ამოცანის განხორციელებისთვის 2017-2018 წლებში სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

- **ქმედება 6.1.1:** „ქიმიური ნივთიერებების მართვის შესახებ“ კანონის შემუშავება და მიღება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ქმედება ითვალისწინებს ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში თანამედროვე საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბებას.

განხორციელებული ღონისძიებები

- ჩეხეთის განვითარების სააგენტოს (CzDA) მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის - "ქიმიური ნივთიერებების მდგრადი მართვის შესაძლებლობების გაძლიერება" - ფარგლებში მიმდინარეობს „ქიმიური ნივთიერებების მართვის შესახებ“ კანონის პროექტის შემუშავება.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება არ შესრულდა - მიმდინარეობს „ქიმიური ნივთიერებების მართვის შესახებ“ კანონპროექტის შემუშავება.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 6.1 ქიმიური ნივთიერებების მართვის სისტემის გაუმჯობესება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 6.1.1.: „ქიმიური ნივთიერებების მართვის შესახებ“ კანონის შემუშავება და მიღება
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: შემუშავებული რეკომენდაციები სასწავლო პროგრამების/კურიკულუმების გაუმჯობესებათსან დაკავშირებით სკოლებში, სკოლამდელ დაწესებულებებში, პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში ამოქმედებული სატყეო დარგში სასწავლო მოდულები/კურიკულუმები	შესრულებული: რეკომენდაციები არ არის შემუშავებული სატყეო სასწავლო პროგრამა დანერგულია საქართველოს 4 კოლეჯში
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულებ ის შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი			X		
		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შენწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

ქმედება 8.5.3: სატყეო დარგში სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გაძლიერება და კვლევების ორგანიზება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ქმედების მიზანია ქვეყანაში არსებულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაძლიერება და საერთო პროექტების ორგანიზება.

განხორციელებული ღონისძიებები

- მიმდინარეობს მსჯელობა სატყეო კვლევითი მიმართულების შექმნაზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში;
- ახმეტის მუნიციპალიტეტში ტყის ეროვნული აღრიცხვის შედეგად მოპოვებული ხის ნაბურღები გააანალიზეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა. პროცესის ფარგლებში მათ დაადგინეს ხეების ასაკი და დიამეტრის შემატება. აღსანიშნავია, რომ ორმა სტუდენტმა საკითხთან დაკავშირებით გაიარა გადამზადება შვედეთში.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება არ შესრულდა - საანგარიშო პერიოდში არ მომხდარა მემორანდუმების გაფორმება სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან და არც რაიმეს სახის საერთო პროექტები დაწყებულა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 8.5 სატყეო განათლების განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 8.5.3.: სატყეო დარგში სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გაძლიერება და კვლევების ორგანიზება
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018

შესრულების ინდიკატორები

დაგეგმილი: გაფორმებული მემორანდუმები დაწესებულებებთან თანამშრომლობის სამეცნიერო-კვლევით	შესრულებული: მემორანდუმები არ არის გაფორმებული
---	--

დანყებულის/განხორციელებული ერთობლივი სამეცნიერო პროექტები/კვლევები	განხორციელდა პროექტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
შესრულებ			X		
ის	განხორციელები	განხორციელები	განხორციელები	განხორციელები	განხორციელების
შეფასება	ს პროცესი ჯერ არ დანყებულია	ის პროცესი მიმდინარეობს	ის პროცესი შეჩერებულია	ის პროცესი შეწყვეტილია	პროცესი დასრულებულია
სტატუსი		X			

ქმედება 8.5.4: ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიის გაზრდა დაინტერესებული ჯგუფებისთვის ტყის ფუნქციების მნიშვნელობის შესახებ

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ქმედების მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საქართველოს სატყეო სექტორში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების, ასევე მათ გადასაჭრელად სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი/განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

განხორციელებული ღონისძიებები

- 2018 წელს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტისა და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ინიციატივით დაიწყო მუშაობა სატყეო სექტორის კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შექმნაზე. სამოქმედო გეგმაში გაიწერება ტყის მართვის ყველა ორგანოსა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განსახორციელებელი აქტივობები საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმირების მიზნით.
- CENN-ის მხარდაჭერით შეიქმნა სოციალური რეკლამა ტყის კოდექსთან დაკავშირებით. მთავრობის მიერ ტყის კოდექსის პარლამენტში გაგზავნის შემდეგ, რეკლამა გავრცელდება საზოგადოებრივი მაუწყებლის მეშვეობით.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება არ შესრულდა - საზოგადოებისთვის სატყეო სექტორში მიმდინარე პროცესებზე ინფორმაციის მიწოდების მექანიზმების შემუშავება საწყის ეტაპზეა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 8.5 სატყეო განათლების განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 8.5.4.: ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიის გაზრდა დაინტერესებული ჯგუფებისთვის ტყის ფუნქციების მნიშვნელობის შესახებ

პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: შემუშავებული და დანერგილი საზოგადოებისთვის ინფორმაციის მინოდების ეფექტური მექანიზმები	შესრულებული: არ შესრულდა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულების შეფასება	რეიტინგი	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
			განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია
	სტატუსი		X			

თავი 9: ნიადაგის დაცვა

თავი 9 - ნიადაგის დაცვა - მოიცავს 2 ამოცანას და ჯამში 8 ქმედებას. ამოცანები მიზნად ისახავენ მიწის დეგრადაციის/გაუდაბნოების შემცირებასა და დეგრადირებული ტერიტორიების აღდგენას, ასევე დეგრადირებული და დაბინძურებული ნიადაგების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბებას.

თავის ქმედებების უმეტესობა სრულდება არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დონორ(ებ)ის დახმარებით.

ამოცანა 9.1 მიწის დეგრადაციის/გაუდაბნოების შემცირება და დეგრადირებული ტერიტორიის აღდგენა

ამოცანა 9.1-ის შესრულების მიზნით განხორციელდა 4 ქმედება - შემუშავებულია „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სამუშაო ვერსია, გადაიდგა ნაბიჯები მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის უზრუნველსაყოფად, ასევე შემუშავდა დამლაშებული ნიადაგების აღდგენის მეთოდოლოგია. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2017-2018 წლის განმავლობაში:

- ⇒ მომზადებულია „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის პირველადი ვერსია

- ⇒ კანონის პროექტის მიხედვით, სამენარმეო ან და სხვა საქმიანობის განხორციელებისას მკაცრდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენების მართვის მექანიზმები და რეგულირდება ნიადაგის ექსპორტთან დაკავშირებული საკითხები
- ⇒ მიმდინარეობს „ნიადაგის დაცვის შესახებ“ კანონის პროექტისთვის რეგულირების ზემოქმედების შეფასების (RIA) მომზადება
- ⇒ გაეროს გაუდაბნობასთან ბრძოლის კონვენციის სამდივნოს მიერ მონოღებული იქნა ინფორმაცია მიწის დაფარულობის, მიწის პროდუქტიულობის და მიწისზედა და მიწისქვეშა ნახშირბადის მოცულობების შესახებ (საზომი ერთეული: ნიადაგის ორგანული ნახშირბადი SOC) 2000-2015 წლების მონაცემებით
- ⇒ გამოვლინდა მიწის დეგრადაციის ცხელი წერტილები და გამომწვევი მიზეზები ქვეყნის მასშტაბით
- ⇒ შემუშავდა მიწის დეგრადაციის ეროვნული მიზნები
- ⇒ შემუშავდა დამლაშებული ტერიტორიების აღდგენის მეთოდოლოგია

9.1 ამოცანის განხორციელებისთვის 2017-2018 წლებში სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

- **ქმედება 9.1.1:** „ნიადაგის დაცვის შესახებ“ კანონის პროექტის დასრულება/დასამტკიცებლად წარდგენა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მარეგულირებელი რამდენიმე სამართლებრივი აქტის არსებობის მიუხედავად, ნიადაგების მართვის კანონმდებლობა არასრულყოფილია. კერძოდ, კანონმდებლობაში სათანადოდ არ არის ასახული გაუდაბნობასა ან/და ნიადაგის დეგრადაციასთან დაკავშირებული საკითხები. მაგალითად, არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი, რომლის საშუალებითაც ჩატარდება ისეთი კერძო სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების მონიტორინგი, რომლებიც შესაძლოა დაბინძურებული იყოს; ასევე არ არსებობს სამართლებრივი აქტი, რომელიც სრულფასოვნად უზრუნველყოფს ნიადაგის დაცვას დაბინძურებისაგან. გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში სათანადოდ არ არის გათვალისწინებული ნიადაგის დაცვის ღონისძიებები. ნიადაგების მართვის სფეროს მთავარი სამართლებრივი აქტები - 1994 წლის კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“ და 2003 წლის კანონი “ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ” - შემუშავდა განსხვავებული პოლიტიკური, ფინანსური და ინსტიტუციური გარემოს გათვალისწინებით, შესაბამისად, ისინი მოქმედებულია და სათანადოდ ვერ ასახავს არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ სიტუაციას. აქედან გამომდინარე, ხარვეზების გამოსასწორებლად და არსებული თუ სამომავლო გამოწვევების საპასუხოდ აუცილებელია საერთაშორისო მოთხოვნებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი კანონმდებლობის მიღება, რა მიზნითაც დაიგეგმა "ნიადაგის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის შემუშავება.

განხორციელებული ღონისძიებები

- მომზადებულია „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის პირველადი ვერსია. კანონის პროექტი აერთიანებს „ნიადაგის დაცვის შესახებ“ და „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“

საქართველოს კანონებს. გასწორდა კანონებში არსებული ტერმინები. აღნიშნული კანონის პროექტის მიღებით სახელმწიფო დაწესებულებებსა და მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს/მფლობელს შორის მკაფიოდ გაიმიჯნება ნიადაგის დაცვის სფეროში უფლება-მოვალეობები;

- პედოსფეროს (ნიადაგური საფარი) დაცვის მიზნით, კანონის პროექტის ითვალისწინებს მონიტორინგის სისტემის შემუშავებას, როგორც ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლებზე, ასევე ნიადაგის დაბინძურებაზე. კანონის პროექტის მიხედვით, სამეწარმეო ან და სხვა საქმიანობის განხორციელებისას მკაცრდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენების მართვის მექანიზმები და რეგულირდება ნიადაგის ექსპორტთან დაკავშირებული საკითხები;
- კანონის პროექტის წარდგენა საქართველოს პარლამენტში დაგეგმილია 2019 წლის საშემოდგომო სესიაზე. დღეისათვის მიმდინარეობს „ნიადაგის დაცვის შესახებ“ კანონის პროექტისთვის რეგულირების ზემოქმედების შეფასების (RIA) მომზადება.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა - მომზადებულია „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის პირველადი ვერსია, რომელიც დასამტკიცებლად პარლამენტს წარედგინება 2019 წელს.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 9.1 მიწის დეგრადაციის/გაუდაბნოების შემცირება და დეგრადირებული ტერიტორიის აღდგენა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 9.1.1.: „ნიადაგის დაცვის შესახებ“ კანონის პროექტის დასრულება/დასამტკიცებლად წარდგენა
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: დამტკიცებული კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“	შესრულებული: მომზადებულია „ნიადაგის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის პირველადი ვერსია
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი			X	
	სტატუსი	განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს	განხორციელები ს პროცესი შეჩერებულია	განხორციელები ს პროცესი შეწყვეტილია

- **ქმედება 9.1.2:** მინის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის უზრუნველსაყოფად:
 - ა) ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შეფასება მინის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის მიღწევის თვალსაზრისით;
 - ბ) ეროვნული მიზნების განსაზღვრა მინის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის მისაღწევად;
 - გ) მინის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის ეროვნული სტრატეგიის შემუშავება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: 2015 წლის სექტემბერში გლობალურმა საზოგადოებამ დაამტკიცა "მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგი" და მდგრადი განვითარების 17 მიზანი (SDG). მიზანი 15 მოუწოდებს ქვეყნებს, რომ დაიცვან, აღადგინონ და ხელი შეუწყონ ხმელეთის ეკოსისტემების მდგრად გამოყენებას, ტყის მდგრად მართვას, გაუდაბნობასთან ბრძოლას და შეაჩერონ მინის დეგრადაცია და ბიომრავალფეროვნების კარგვა. 15.3 ამოცანაა "გაუდაბნობასთან ბრძოლა, დეგრადირებული მიწების და ნიადაგების აღდგენა მათ შორის გაუდაბნობილი, გვალვისა და წყალდიდობების გავლენის ქვეშ მყოფი მიწები, რათა 2030 წლამდე მსოფლიომ მიაღწიოს მინის დეგრადაციის ნეიტრალურ ბალანსს. ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევისათვის გაეროს გაუდაბნობასთან ბრძოლის კონვენციის სამდივნოს მიერ შემუშავებულ იქნა ახალი მიდგომა „მინის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსი“, რომელიც წარმოადგენს მდგომარეობას, რომლის დროსაც, ჯანსაღი და პროდუქტიული მიწის რესურსების ფართობები, რომელიც საჭიროა ეკოსისტემური სერვისების ხელშეწყობისთვის, სტაბილურია ან იზრდება განსაზღვრული დროისა და სივრცით ფარგლებში. გაეროს გაუდაბნობასთან ბრძოლის კონვენციისა და გლობალური მექანიზმის (კონვენციის ფინანსური მექანიზმი) მიერ შეიქმნა გლობალური მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნებისთვის მინის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის მიღწევისათვის ეროვნული მიზნების ჩამოყალიბების პროცესის ხელშეწყობას. აღნიშნული პროგრამა ასევე ხორციელდება საქართველოში.

განხორციელებული ღონისძიებები

- გაეროს გაუდაბნობასთან ბრძოლის კონვენციის სამდივნოს მიერ მოწოდებული იქნა ინფორმაცია მინის დათარეულობის, მინის პროდუქტიულობის და მინისზედა და მინისქვეშა ნახშირბადის მოცულობების შესახებ (საზომი ერთეული: ნიადაგის ორგანული ნახშირბადი SOC) 2000-2015 წლების მონაცემებით. ზემოაღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე გამოვლინდა მინის დეგრადაციის ცხელი წერტილები და გამომწვევი მიზეზები ქვეყნის მასშტაბით;
- მინის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის ეროვნული სამუშაო ჯუფის მიერ ზემოაღნიშნული ინდიკატორების, ცხელი წერტილებისა და დეგრადაციის გამომწვევი მიზეზების განსაზღვრის საფუძველზე შემუშავდა მინის დეგრადაციის ეროვნული მიზნები:
 1. დაახლოებით 1500 ჰა ტყის ფართობები იქნება გაშენებული; 7500 ჰა აღდგენილი და 60% ტყის ფართობისა იქნება მდგრადად მართული;
 2. დაცული ტერიტორიის ფართობი გაიზრდება 12%-ით;
 3. დეგრადირებული ფართობები იქნება აღდგენილი;
 4. გაუმჯობესდება ირიგაციისა და დრენაჟის სისტემები.
- მინის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის ეროვნული სტრატეგიის შემუშავება დაგეგმილია 2020 წლიდან.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება უმეტესწილად შესრულდა - მიღებულ იქნა ინფორმაცია მინის დაფარულობის, მინის პროდუქტიულობის და მინისზედა და მინისქვეშა ნახშირბადის მოცულობების შესახებ (საზომი ერთეული: ნიადაგის ორგანული ნახშირბადი SOC) 2000-2015 წლების მონაცემებით. ასევე, მინის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის მისაღწევად განისაზღვრა მინის დეგრადაციის ეროვნული მიზნები.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 9.1 მინის დეგრადაციის/გაუდაბნობის შემცირება და დეგრადირებული ტერიტორიის აღდგენა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 9.1.2.: მინის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის უზრუნველსაყოფად: ა) ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შეფასება მინის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის მიღწევის თვალსაზრისით; ბ) ეროვნული მიზნების განსაზღვრა მინის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის მისაღწევად; გ) მინის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის ეროვნული სტრატეგიის შემუშავება
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
<p>დაგეგმილი:</p> <p>ინფორმაცია ნიადაგსაფარის, ნიადაგის პროდუქტიულობის (საზომი ერთეული: წმინდა პირველადი პროდუქტიულობა) და მინისზედა და მინისქვეშა ნახშირბადის მოცულობების შესახებ (საზომი ერთეული: ნიადაგის ორგანული ნახშირბადი SOC)</p> <p>მინის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის მისაღწევად განსაზღვრული ეროვნული მიზნები</p> <p>მინის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის დამტკიცებული ეროვნული სტრატეგია</p>	<p>შესრულებული:</p> <p>მიღებულ იქნა ინფორმაცია მინის დაფარულობის, მინის პროდუქტიულობის და მინისზედა და მინისქვეშა ნახშირბადის მოცულობების შესახებ (საზომი ერთეული: ნიადაგის ორგანული ნახშირბადი SOC) 2000-2015 წლების მონაცემებით</p> <p>ეროვნული მიზნები განსაზღვრულია</p> <p>არ შესრულდა</p>
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	შესრულებ ის შეფასება	რეიტინგი	X		
	განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს	განხორციელები ს პროცესი შეჩერებულია	განხორციელები ს პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია

	სტატუსი		X			
--	---------	--	---	--	--	--

- **ქმედება 9.1.5:** სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტრადიციული მეთოდების მოძიება და დაინტერესებული მხარეებისთვის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: ისტორიულად საქართველო აგრარული ქვეყანაა და განვითარებული იყო სხვადასხვა ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებდა ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის ღონისძიებებსაც. დღეისათვის არსებული პრაქტიკა მივიწყებულია. ფერმერების უმეტესობას არ აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკას და მიიღონ ინფორმაცია ისტორიული ტრადიციული ცოდნის შესახებ.

განხორციელებული ღონისძიებები

ქმედების განხორციელება არ დაწყებულა.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება არ შესრულდა - ქმედების შესრულება არ დაწყებულა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 9.1 მიწის დეგრადაციის/გაუდაბნოების შემცირება და დეგრადირებული ტერიტორიის აღდგენა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 9.1.5.: სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტრადიციული მეთოდების მოძიება და დაინტერესებული მხარეებისთვის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: დამტკიცებული მიდგომების რაოდენობა	შესრულებული: არ შესრულდა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულებ ის შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი				X
	განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
სტატუსი	X				

- **ქმედება 9.1.6:** სიღნაღის მუნიციპალიტეტში დამლაშებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რეაბილიტაცია

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: კახეთის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით სიღნაღის მუნიციპალიტეტში საკმაოდ დიდი ფართობებია დამლაშებული. დამლაშების შედეგად შემცირებულია ნიადაგის ნაყოფიერება, შესაბამისად შემცირებულია მოსავლიანობა. ქმედების მიზანია აღნიშნული სავარგულების რეაბილიტაცია.

განხორციელებული ღონისძიებები

- გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის დაფინანსებით, საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით, შემუშავდა დამლაშებული ტერიტორიების აღდგენის მეთოდოლოგია, რომელიც გულისხმობს ნაკვეთების მონაცვლოობასა და თესლბრუნვას. არსებული მეთოდოლოგია გადაეცათ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მსხვილ ფერმერებს.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა: საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით შემუშავდა დამლაშებული ტერიტორიების აღდგენის მეთოდოლოგია. დამლაშებული ტერიტორიების აღდგენის მეთოდოლოგიის დანერგვისთვის საჭიროა რამოდენიმე წელი, რისი განხორციელებაც გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის შეზღუდული ფინანსური და დროითი რესურსიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო. შესაბამისად, აღნიშნული პროექტის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით ფერმერებისთვის მხოლოდ დამლაშებული ტერიტორიების აღდგენის მეთოდოლოგია შემუშავდა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 9.1 მიწის დეგრადაციის/გაუდაბნობის შემცირება და დეგრადირებული ტერიტორიის აღდგენა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 9.1.6.: სიღნაღის მუნიციპალიტეტში დამლაშებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რეაბილიტაცია
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: რეაბილიტირებული ტერიტორიის ფართობი (ჰა)	შესრულებული: შემუშავებული დამლაშებული ტერიტორიების აღდგენის მეთოდოლოგია
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
რეიტინგი			X		

შესრულებ ის შეფასება		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შენწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი					X

ამოცანა 9.2 დეგრადირებული/ეროზირებული და დაბინძურებული ნიადაგების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება

ამოცანა 9.2-ის შესრულების მიზნით განხორციელდა 2 ქმედება - ჩამოყალიბდა ნიადაგების დეგრადაციის მონიტორინგის სისტემა და დაიწყო საკანონმდებლო ბაზის მომზადება საქართველოს ნიადაგებში ქიმიური ნივთიერებების ზრულად დასაჩვენებ კონცენტრაციების განსასაზღვრად. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2017-2018 წლის განმავლობაში:

- ⇒ 2018 წელს აღდგა 2006 წელს KFW-ს დახმარებით განხორციელებული ნიადაგის კვლევის ქიმიური და ფიზიკური მახასიათებლების მონაცემთა ბაზა გეოინფორმაციულ სისტემებში
- ⇒ მონაცემთა ბაზა განთავსებულია გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემაში (eims.eiec.gov.ge)
- ⇒ მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ნიადაგის დაბინძურების ხარისხის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“
- ⇒ დადგენილების პროექტით განახლდება ნიადაგის მძიმე მეტალებით დაბინძურების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები, დადგინდება ნიადაგების დაცვის ჰიგიენური მოთხოვნები სხვადასხვა სახის საქმიანობის უარყოფითი ზემოქმედებისაგან, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს მათი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის გამოყენების შეზღუდვა და/ან უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე
- ⇒ ტექნიკური რეგლამენტი აგრეთვე განსაზღვრავს ნიადაგის ხარისხის კონტროლის წესს

9.2 ამოცანის განხორციელებისთვის 2017-2018 წლებში სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

- **ქმედება 9.2.1:** ნიადაგების დეგრადაციის მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
ქმედების მიზანი: უკანასკნელ წლებში ნიადაგის კვლევასთან დაკავშირებული მონაცემები ძალზე მწირია და გაბნეულია სხვადასხვა სამეცნიერო და სახელმწიფო დაწესებულებებში. ნიადაგის კვლევასთან დაკავშირებული მონაცემები ძალზე მნიშვნელოვანია მიწის დეგრადაციასთან/გაუდაბნობასთან ბრძოლის ღონისძიებების დასაგეგმად. უახლოესი კვლევა ნიადაგის ფიზიკო-ქიმიურ მახასიათებლებთან დაკავშირებით მთელი საქართველოს მასშტაბით განხორციელდა 2006 წელს გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KFW) ფინანსური დახმარებით. შეიქმნა მონაცემთა ბაზა გეოინფორმაციულ სისტემებში.

ზემოაღნიშნული ბაზა წლების განმავლობაში არ გამოიყენებოდა, ვინაიდან დაკარგული იყო ბაზაში არსებული კოდების გაშიფვრის ფაილი.

განხორციელებული ღონისძიებები

- გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) ფინანსური დახმარებით მიმდინარე პროექტის „სასოფლო ტერიტორიებზე ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა მიწის დეგრადაციისა და სიღარიბის შემცირების მიზნით“ ფარგლებში 2018 წელს აღდგა 2006 წელს KFW-ს დახმარებით განხორციელებული ნიადაგის კვლევის ქიმიური და ფიზიკური მახასიათებლების მონაცემთა ბაზა გეოინფორმაციულ სისტემებში. მონაცემთა ბაზა განთავსებულია გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემაში (eims.eiec.gov.ge) და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება სრულად შესრულდა - აღდგა ნიადაგის მდგომარეობის მონაცემთა ბაზა და ნიადაგების GIS რუკა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 9.2 დეგრადირებული/ეროზირებული და დაბინძურებული ნიადაგების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 9.2.1.: ნიადაგების დეგრადაციის მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: ნიადაგის მდგომარეობის მოქმედი მონაცემთა ბაზა ნიადაგების GIS რუკა	შესრულებული: ნიადაგის მდგომარეობის შესახებ ბაზა ფუნქციონირებს ნიადაგების GIS რუკა განთავსებულია გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემაში (eims.eiec.gov.ge)
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი	X			
	განხორციელებული პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებული პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებული პროცესი შეჩერებულია	განხორციელებული პროცესი შეწყვეტილია	განხორციელებული პროცესი დასრულებულია
სტატუსი					X

- **ქმედება 9.2.2:** საქართველოს ნიადაგებში ქიმიური ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების განსაზღვრა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით საქართველომ აიღო ვალდებულება გააუმჯობესოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების, მეტროლოგიის, ბაზრის ზედამხედველობის, აკრედიტაციისა და შესაბამისობის შეფასების სისტემები. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 24 თებერვლის N 38/ნ ბრძანებით დადგენილი იყო ნიადაგის დაბინძურების სტანდარტები, რომელიც ეფუძნებოდა საბჭოთა კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს 1987 წლის მეთოდურ მითითებებს. სტანდარტები ძალზედ მოძველებული იყო და ვერ ასახავდა დღეისთვის არსებულ რეალობას. ნიადაგის დაბინძურების ხარისხის შეფასების მიზნით აუცილებელია ახალი სტანდარტების შემოღება საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

განხორციელებული ღონისძიებები

- გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „გლობალური გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მის შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით ინფორმაციის მართვის ჰარმონიზება საქართველოში“ ფარგლებში მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ნიადაგის დაბინძურების ხარისხის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“. დადგენილების პროექტით განახლდება ნიადაგის მძიმე მეტალებით დაბინძურების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები. დადგინდება ნიადაგების დაცვის ჰიგიენური მოთხოვნები სხვადასხვა სახის საქმიანობის უარყოფითი ზემოქმედებისაგან, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს მათი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის გამოყენების შეზღუდვა და/ან უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. ტექნიკური რეგლამენტი აგრეთვე განსაზღვრავს ნიადაგის ხარისხის კონტროლის წესს. დადგენილების პროექტი დამტკიცდება „ნიადაგის დაცვის შესახებ“ კანონის პროექტის მიღების შემდეგ.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა: შემუშავდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ნიადაგის დაბინძურების ხარისხის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“. ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 9.2 დეგრადირებული/ეროზირებული და დაბინძურებული ნიადაგების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 9.2.2.: საქართველოს ნიადაგებში ქიმიური ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების განსაზღვრა
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	

დაგეგმილი: დამტკიცებული ახალი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები	შესრულებული: შემუშავდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ნიადაგის დაბინძურების ხარისხის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა		
შესრულებ ის შეფასება	რეიტინგი			X		
		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შენწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

თავი 10: კლიმატის ცვლილება

თავი 10 - კლიმატის ცვლილება - მოიცავს 3 ამოცანას და ჯამში 13 ქმედებას. ამოცანები მიზნად ისახავენ სათბური აირების ემისიების შემცირების წინაპირობების შექმნას, ქვეყნის საადაპტაციო პოტენციალის გაზრდასა და კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი ანგარიშგების ვალდებულებების შესრულებას.

თავის ქმედებების უმეტესობა სრულდება არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დონორ(ებ)ის დახმარებით.

ამოცანა 10.1 სათბური აირების ემისიების შემცირების წინაპირობების შექმნა

ამოცანა 10.1-ის შესრულების მიზნით განხორციელდა 7 ქმედება - მომზადდა დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის პროექტი, დაიწყო მუშაობა „კლიმატი 2021-2030“ სამოქმედო გეგმის მომზადებაზე, შემუშავების პროცესშია „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ დოკუმენტი, შემუშავდა „ეროვნულად მისაღები შემარბიელებელი ქმედებების“ დოკუმენტები, მომზადდა „მერების შეთანხმების“ ხელმომწერი ქალაქების მდგრადი ენერგეტიკული სამოქმედო გეგმები და ამასთანავე, ბათუმსა და ქუთაისში დაწყებულია „მწვანე ქალაქის განვითარების პროგრამის“ განხორციელება. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2017-2018 წლის განმავლობაში:

- ⇒ მომზადდა დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის პროექტი, თუმცა საჭიროა დოკუმენტის მოდიფიცირების აუცილებლობა
- ⇒ მომზადდა "კლიმატის სამოქმედო გეგმის 2021-2030" სამუშაო ვერსია სატრანსპორტო სექტორისათვის
- ⇒ მომზადდა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტის შინაარსი
- ⇒ შემუშავებულია ეროვნულად მისაღები შემდეგი შემარბილებელი ქმედებების 3 დოკუმენტი (რომლებიც წარდგენილია გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ეროვნულად მისაღები შემარბილებელი ქმედებების რეესტრში)
- ⇒ მომზადებულია 10 მდგრადი ენერგეტიკული სამოქმედო გეგმა (SEAP), რომელიც დამტკიცებულია მერების შეთანხმების სამდივნოს მიერ
- ⇒ 2019 წელს დაიწყო მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმების (SECAP) მომზადება იმ 11 მუნიციპალიტეტებისთვის, რომლებიც დამატებით მიუერთდნენ მერების შეთანხმების ახალ ინიციატივას
- ⇒ აჭარის 5 მუნიციპალიტეტისათვის შემუშავდა მდგრადი გადაადგილების გეგმების სამუშაო ვერსიები
- ⇒ ბათუმში მდგრადი ურბანული გადაადგილების ცნობიერების ამაღლების 6 ღონისძიების განხორციელება

10.1 ამოცანის განხორციელებისთვის 2017-2018 წლებში სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

• **ქმედება 10.1.1: დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის მომზადება**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: აშშ-ს მთავრობის მხარდაჭერით „შესაძლებლობათა გაძლიერება დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიისთვის სუფთა ენერჯის 4 წლიანი პროგრამის“ ფარგლებში განისაზღვრა საქართველოსთვის ტექნიკური უზრუნველყოფა, რათა კლიმატის ცვლილების გამომწვევი სათბურის აირების შეზღუდვის ტრეფტორია განსაზღვრულიყო 2030 წლისთვის.

დაბალემისიანი განვითარების სტრატეგია გულისხმობს ეკონომიკის სექტორებში ენერგეტიკა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ნარჩენების მართვა და სხვა. ინტეგრირებულ კომპლექსურ მიდგომას გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის. ამავდროულად, სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს ქვეყნის განვითარების მიზნებსა და თავისებურებებს და ხელს უნდა უწყობდეს კერძო სექტორის განვითარებასა და სიღარიბის ღონის შემცირებას.

განხორციელებული ღონისძიებები

- საერთაშორისო და ქართველი ექსპერტების თანამშრომლობით მომზადდა დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის პროექტი. დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის საკოორდინაციო კომიტეტმა 2017 წლის 18 სექტემბრის მე-7 შეხვედრაზე განიხილა სტრატეგიის პროექტი და განსაზღვრა დოკუმენტის მოდიფიცირების აუცილებლობა.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა - შემუშავდა დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის პროექტი, რომელიც საკოორდინაციო კომიტეტის რეკომენდაციით საჭიროებს მოდიფიცირებას.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 10.1 სათბური აირების ემისიების შემცირების წინაპირობების შექმნა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 10.1.1.: დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის მომზადება
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: საკოორდინაციო კომიტეტის მიერ მოწონებული დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის დოკუმენტი	შესრულებული: შემუშავდა დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის პროექტი, რომელიც საკოორდინაციო კომიტეტის რეკომენდაციით საჭიროებს მოდიფიცირებას
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი			X	
	განხორციელებული პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებული პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებული პროცესი შეჩერებულია	განხორციელებული პროცესი შეწყვეტილია	განხორციელებული პროცესი დასრულებულია
სტატუსი		X			

• **ქმედება 10.1.2:** „კლიმატი 2021-2030“ სამოქმედო გეგმის მომზადება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის 2021-2030 მიზანია განისაზღვროს კლიმატის ცვლილების გამომწვევი სათბურის აირების შემამცირებელი კონკრეტული აქტივობები, აღნიშნულ აქტივობებზე პასუხისმგებელი უწყებები და ფინანსური უზრუნველყოფის წყაროები. სამოქმედო გეგმა წარმოადგენს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC) ფარგლებში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულების შესრულების ერთგვარ მექანიზმს, რითაც შესაძლებელია ეკონომიკური სექტორების მდგრად განვითარებას შეეწყოს ხელი, შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები და ა.შ.

განხორციელებული ღონისძიებები

გერმანიის გარემოს დაცვის, ბუნების კონსერვაციისა და ბირთვული უსაფრთხოების ფედერალური სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია (GIZ) ახორციელებს პროექტს „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების შესაძლებლობების განვითარება კლიმატის ცვლილების სფეროში ევროკავშირის მიერ დასახულ მაჩვენებლებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით“, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს „კლიმატის სამოქმედო გეგმის 2021-2030“ შემუშავება. პროექტის მიზანია, მომზადდეს კლიმატგონივრული განვითარების სამოქმედო გეგმა ეკონომიკის

შემდეგი სექტორებისთვის: ენერჯის გენერაცია და გადაცემა, შენობებისა და მშენებლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, ტყის, ნარჩენების მართვისა და მრეწველობის. 2018 წლის 18 სექტემბერს ოფიციალურად დაინიშნა კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის 2021-2030 მომზადება. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ქმედებები:

- მომზადდა სამოქმედო გეგმის „გზამკვლევი“.
- გაიმართა შეხვედრები და კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან მათთვის პრიორიტეტული საკითხების გათვალისწინების მიზნით.
- ჩამოყალიბდა ტრანსპორტის სამუშაო ჯგუფი და 2018 წლის 1 ნოემბერს გაიმართა პირველი შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა საქართველოში სატრანსპორტო სექტორში დაგეგმილი ღონისძიებები.
- ჩატარდა შესაბამისი კვლევითი სამუშაოები ტრანსპორტის სექტორში.
- განისაზღვრა ის ძირითადი პოტენციური ქმედებები, რომელსაც ეწეება მეტი ეფექტი/გავლენა როგორც გარემოს დაცვის, ისე ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით.
- შესაბამისი უწყებებიდან მიღებული კომენტარების გათვალისწინებით მომზადდა "კლიმატის სამოქმედო გეგმის 2021-2030" სამუშაო ვერსია სატრანსპორტო სექტორისათვის.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა - შემუშავდა „კლიმატის სამოქმედო გეგმის 2021-2030“ სამუშაო ვერსია სატრანსპორტო სექტორისათვის, თუმცა დოკუმენტი ჯერ არ არის დამტკიცებული.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 10.1 სათბური აირების ემისიების შემცირების წინაპირობების შექმნა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 10.1.2.: „კლიმატი 2021-2030“ სამოქმედო გეგმის მომზადება
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი:	შესრულებული:
დამტკიცებული სამოქმედო გეგმა "კლიმატი 2021-2030"	შემუშავდა „კლიმატის სამოქმედო გეგმის 2021-2030“ სამუშაო ვერსია სატრანსპორტო სექტორისათვის
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
რეიტინგი			X		

შესრულებ ის შეფასება		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შენწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

• **ქმედება 10.1.3:** „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ დოკუმენტის მომზადება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მხარეთა კონფერენციის გადაწყვეტილების 1/CP.20 მე-13 და მე-14 პარაგრაფების შესაბამისად საქართველომ 2015 წლის 25 სექტემბერს წარადგინა კლიმატის ცვლილების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი "წინასწარ განსაზღვრული ეროვნული წვლილი." აღნიშნული დოკუმენტით ქვეყანამ აიღო ვალდებულება შეზღუდოს თავისი ემისიები 2030 წლისთვის 25%-ით ტრადიციული ბიზნეს სცენარით გაანგარიშებულ მაჩვენებელთან შედარებით.

გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მხარეთა კონფერენციის 1/CP21 გადაწყვეტილების 24-ე პარაგრაფის შესაბამისად საქართველო გეგმავს გაანალიზოს „წინასწარ განსაზღვრული ეროვნული წვლილის“ დოკუმენტი, და მის საფუძველზე შეიმუშავოს „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი“ (NDC) და წარადგინოს იგი UNFCCC-ის სამდივნოში.

განხორციელებული ღონისძიებები

- 2018 წლის 18 სექტემბრიდან ოფიციალურად დაიწყო საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის განახლებული ვერსიის მომზადება, რომელიც კონვენციის სამდივნოში უნდა გაიგზავნოს 2019 წლის ბოლოს. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს კლიმატის ცვლილების სფეროში ქვეყნის პოლიტიკას კლიმატის ცვლილებისადმი მონყვლადი ჯგუფების გათვალისწინებით, კერძოდ: ქალები, ბავშვები, ხანდაზმულები, შშმ პირები და ბუნებრივი კატასტროფების შედეგად გადაადგილებული პირები;
- შეიმუშავდა და 2018 წლის 26 დეკემბერს არასამთავრობო სექტორს განსახილველად წარედგინა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტის (NDC) შინაარსი. დეტალურად განისაზღვრა ის თემები, რისი განხილვაც მოხდება დოკუმენტში. ძირითადი ნაწილი დაეთმობა კლიმატის ცვლილების გამონწვევი აირების შემცირების, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის, კლიმატის ცვლილების პოლიტიკის, ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორებს.
 - ა) მომზადდა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტის შინაარსი;
 - ბ) მომზადდა ინსტიტუციური ჩარჩოს სამუშაო ვერსია განსახილველად;
 - გ) მომზადდა მოსახლეობის მონყვლადი ჯგუფების, გეოგრაფიული და ეკონომიკური აღწერის ქვეთავების სამუშაო ვერსია განსახილველად.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა - შეიმუშავდა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტის შინაარსი და ეროვნული თავისებურებების მიმოხილვა, თუმცა ჯერ არ არის რეგისტრირებული კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის სისტემაში.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 10.1 სათბური აირების ემისიების შემცირების წინაპირობების შექმნა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 10.1.3.: „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ დოკუმენტის მომზადება
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის სისტემაში რეგისტრირებული „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ დოკუმენტი	შესრულებული: შემუშავდა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტის შინაარსი და ეროვნული თავისებურებების მიმოხილვა, თუმცა ჯერ არ არის რეგისტრირებული კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის სისტემაში
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულების შეფასება	რეიტინგი	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
			განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია
	სტატუსი		X			

• **ქმედება 10.1.4:** გრძელვადიანი, 2050 წლამდე პერიოდისთვის „დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის მომზადება“

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მხარეთა კონფერენციის გადაწყვეტილებით ქვეყნები შეთანხმდნენ კლიმატის ცვლილების გრძელვადიანი ხედვების ჩამოყალიბების საჭიროებაზე. ასევე, საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგით მხარდაჭერილია აღნიშნული საკითხი. საქართველოს გრძელვადიანი 2050 წლამდე პერიოდისათვის დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის მომზადების მიზანია გაღრმავდეს კლიმატგონივრული ეკონომიკური განვითარების კურსი საქართველოში.

განხორციელებული ღონისძიებები

აღნიშნული ქმედება განხორციელდება ევროკავშირის EU4Climate პროგრამის ფარგლებში, რომელიც დაიწყება 2019 წლის მარტიდან.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება არ შესრულდა - სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება ჯერ არ დაწყებულა. ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 10.1 სათბური აირების ემისიების შემცირების წინაპირობების შექმნა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 10.1.4.: გრძელვადიანი, 2050 წლამდე პერიოდისთვის „დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის მომზადება“
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: გრძელვადიანი „დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის დოკუმენტი“ მონაწილეობის საკოორდინაციო კომიტეტის მიერ	შესრულებული: გრძელვადიანი, 2050 წლამდე პერიოდისთვის „დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის მომზადება“ არ დაწყებულია
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი				X
	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულია	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
სტატუსი	X				

• **ქმედება 10.1.5:** „ეროვნულად მისაღები შემარბილებელი ქმედების“ 2 დოკუმენტის მომზადება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მხარეთა კონფერენციის 2/CP.15 გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს მხრიდან წარდგენილია კლიმატის ცვლილების გამომწვევი სათბურის აირების შემამცირებელი ინსტრუმენტის "ეროვნულ დონეზე მისაღები ქმედებების" შესახებ სამოქმედო არეები. ქვეყნის მიერ პრიორიტეტულ მიმართულებად შეფასებულ იქნა ენერჯეტიკის სექტორი. მომდევნო წლებში აღნიშნული მიმართულებით გაღრმავდა მუშაობა და შეირჩა ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის ათვისების ღონისძიებები.

განხორციელებული ღონისძიებები

- მომზადდა ეროვნულად მისაღები შემდეგი შემარბილებელი ქმედებები (რომლებიც წარდგენილია გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ეროვნულად მისაღები შემარბილებელი ქმედებების რეესტრში):
 - ა) "ბორჯომი-ბაკურიანის სატყეო უბანზე ტყის მდგრადი მართვა";
 - ბ) "ბიომასის ეფექტიანი გამოყენება სოფლად თანასწორი, კლიმატის ცვლილების მიმართ გამძლე და მდგრადი განვითარებისათვის";
 - გ) "საჯარო შენობებში ენერგოეფექტიანობის ღონისძიებების გატარება".

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება სრულად შესრულდა - გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ეროვნულად მისაღები შემარბილებელი ქმედებების რეესტრში რეგისტრირებულ იქნა 3 ეროვნულად მისაღები შემარბილებელი ქმედების დოკუმენტი.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 10.1 სათბური აირების ემისიების შემცირების წინაპირობების შექმნა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 10.1.5.: „ეროვნულად მისაღები შემარბილებელი ქმედების“ 2 დოკუმენტის მომზადება
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ეროვნულად მისაღები შემარბილებელი ქმედებების რეესტრში რეგისტრირებული 2 „ეროვნულად მისაღები შემარბილებელი ქმედება“	შესრულებული: რეესტრში რეგისტრირებულ იქნა 3 ეროვნულად მისაღები შემარბილებელი ქმედების დოკუმენტი
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი	X			
	განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს	განხორციელები ს პროცესი შეჩერებულია	განხორციელები ს პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
სტატუსი					X

- **ქმედება 10.1.6:** ევროკავშირის ინიციატივა "მერების შეთანხმების" ხელმომწერი ქალაქების მიერ მდგრადი ენერგეტიკული სამოქმედო გეგმების მომზადება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: საქართველო მხარს უჭერს ევროკავშირის ინიციატივის „მერების შეთანხმების“ განხორციელებას. ამ დროისთვის 23 მუნიციპალიტეტი არის შეთანხმების მხარე - აქედან 11-მა მუნიციპალიტეტმა დამატებით ხელი მოაწერა ინიციატივას „მერების შეთანხმებას კლიმატისა და ენერგეტიკისთვის“ (CoMCE). მათ აიღეს 2020 წლისთვის სათბურის აირების ემისიების 20 %-ით შემცირების ვალდებულება, რაც მეტია საბაზისო დონის – „ტრადიციული ბიზნესის“ სცენარით - განსაზღვრულ მნიშვნელობასთან შედარებით. სამინისტრო თანამშრომლობს სხვა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთანაც, რათა მათ CoMCE-ის შესაბამისად აიღონ და განახორციელონ განახლებული ვალდებულებები სათბური გაზების გაფრქვევების შესამცირებლად.

საქართველოს მუნიციპალიტეტების „მერების შეთანხმებასთან“ მიერთების შედეგად ერთი მხრივ ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიღო ინფორმაცია და გამოცდილება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს კლიმატის ცვლილების სფეროს ეროვნული მიზნების ასახვა ადგილობრივ სამოქმედო გეგმებში, ხოლო მეორე მხრივ, მუნიციპალიტეტების მიერ კლიმატის ცვლილების შერბილებასთან დაკავშირებით შემოთავაზებული მიზნები და საჭიროებები აისახა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ეროვნულ სტრატეგიებში.

განხორციელებული ღონისძიებები

- მომზადებულია 10 მდგრადი ენერგეტიკული სამოქმედო გეგმა (SEAP), რომელიც დამტკიცებულია მერების შეთანხმების სამდივნოს მიერ;
- 2019 წელს დაიწყო მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმების (SECAP) მომზადება იმ 11 მუნიციპალიტეტისთვის, რომლებიც დამატებით მიუერთდნენ მერების შეთანხმების ახალ ინიციატივას - CoMCE.
- 2019 წელს შემუშავდება SEAP-ები 2 მუნიციპალიტეტისთვის.
- მერების შეთანხმების ფარგლებში მიღწეული შედეგების ანგარიშების პროცესის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილია SECAP-ის ანგარიშების სტანდარტული ფორმატის შექმნა. ასევე დაგეგმილია შეთანხმების ხელმომწერი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა ტრენინგი სათბური გაზების გაფრქვევების რაოდენობის აღრიცხვის, ანგარიშებისა და ვერიფიცირების მიმართულებით.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა - მერების შეთანხმების სამდივნოს მიერ დამტკიცდა 10 მდგრადი ენერგეტიკული სამოქმედო გეგმა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 10.1 სათბური აირების ემისიების შემცირების წინაპირობების შექმნა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 10.1.6.: ევროკავშირის ინიციატივა "მერების შეთანხმების" ხელმომწერი ქალაქების მიერ მდგრადი ენერგეტიკული სამოქმედო გეგმების მომზადება
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: მდგრადი ენერგეტიკული სამოქმედო გეგმები დამტკიცებული "მერების შეთანხმების" სამდივნოს მიერ	შესრულებული: მერების შეთანხმების სამდივნოს მიერ დამტკიცდა 10 მდგრადი ენერგეტიკული სამოქმედო გეგმა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
რეიტინგი			X		

შესრულებ ის შეფასება		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შენწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

• **ქმედება 10.1.7:** ბათუმსა და ქუთაისში „მწვანე ქალაქების განვითარების პროგრამის“ განხორციელება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: მიმდინარეობს პროექტი „მწვანე ქალაქები ინტეგრირებული მდგრადი ტრანსპორტი ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისათვის (ISTBAR).“ ასევე, მომზადდა პროექტი „მწვანე ქალაქები,“ რომელიც დააფინანსა კლიმატის მწვანე ფონდმა. პროექტის განმახორციელებელი არის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და იგი მოიცავს 9 ქვეყანას, მათ შორის საქართველოს.

აღნიშნული პროექტების მიზანია საქართველოს მსხვილ ქალაქებში დაინერგოს კლიმატკონივრული ტექნოლოგიები და გაუმჯობესდეს ურბანული სერვისები.

განხორციელებული ღონისძიებები

2017-2018 წელს პროექტის “მწვანე ქალაქები ინტეგრირებული მდგრადი ტრანსპორტი ქალაქ ბათუმისა და აჭარის რეგიონისათვის (ISTBAR)” ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ქალაქ ბათუმისთვის გაკეთდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელის ოპტიმიზაციის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება;
- შემუშავდა ბათუმის პარკირების სტრატეგია და პოლიტიკა;
- შემუშავდა სადემონსტრაციო დერეფნისათვის მდგრადი ურბანული ტრანსპორტის ღონისძიებების ფუნქციონალური გეგმა;
- გაკეთდა ბათუმის ველოინფრასტრუქტურის ოპტიმიზაციის გეგმა;
- შემუშავდა ბათუმის მდგრადი ურბანული გადაადგილების სტრატეგია და გეგმა;
- ჩატარდა ბათუმში ელექტრო ტაქსის სისტემის შემოღების წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა;
- მომზადდა საქართველოს მდგრადი ურბანული ტრანსპორტის ეროვნული პოლიტიკისა და სტრატეგიის ჩარჩო დოკუმენტი;
- მოხდა ბათუმში მდგრადი ურბანული გადაადგილების გეგმით გათვალისწინებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელება, მათ შორის: მიკროავტობუსების დღიური რაოდენობის განახევრება;
- დაიწყო არსებული ავტობუსების პარკის განახლება;
- აჭარის 5 მუნიციპალიტეტისათვის შემუშავდა მდგრადი გადაადგილების გეგმების სამუშაო ვერსიები, შემუშავდა აჭარაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის რეგიონული სქემის სამუშაო ვერსია;
- ბათუმში მდგრადი ურბანული გადაადგილების ცნობიერების ამაღლების 6 ღონისძიების განხორციელება.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა - შემუშავდა საქართველოს მდგრადი ურბანული ტრანსპორტის ეროვნული პოლიტიკისა და სტრატეგიის ჩარჩო დოკუმენტი. ასევე, შემუშავდა კლიმატდამზოვი სატრანსპორტო სისტემის განვითარების გეგმა ბათუმისთვის და მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 10.1 სათბური აირების ემისიების შემცირების წინაპირობების შექმნა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 10.1.7.: ბათუმსა და ქუთაისში "მწვანე ქალაქების განვითარების პროგრამის" განხორციელება
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: ბათუმსა და ქუთაისში „მწვანე ქალაქების განვითარების“ პროგრამებით“ გათვალისწინებული შედეგები: მწვანე საფარის ზრდა, კლიმატდამზოგი სატრანსპორტო სისტემის განვითარება, და სხვა პროცენტებში) შემუშავებული: მდგრადი ურბანული ტრანსპორტის ეროვნული სტრატეგია და პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი სათბურის აირების ემისიების შემცირება ათასი ტონა CO2-ის ექვივალენტებში	შესრულებული: არ არის მონაცემები ჩარჩო დოკუმენტი შემუშავებულია არ არის მონაცემები
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი			X	
	განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს	განხორციელები ს პროცესი შეჩერებულია	განხორციელები ს პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
სტატუსი		X			

ამოცანა 10.2 ქვეყნის საადაპტაციო პოტენციალის გაზრდა

ამოცანა 10.1-ის შესრულების მიზნით განხორციელდა 3 ქმედება - იწყება ქვეყნის მასშტაბით ბუნებრივი საფრთხეების ადრეული გაფთხილების სისტემის დანერგვა, მიმდინარეობს მზადება ქვეყნის ადაპტაციის ეროვნული გეგმის მიმზადებისთვის და ახალი დაწყებულია კლიმატის ცვლილებისადმი საქართველოს სანაპირო ზონის მონყვლადობის დადგენა. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2017-2018 წლის განმავლობაში:

- ⇒ 2018 წელს მოხდა ადრეული გაფრთხილების სისტემისთვის საჭირო განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარის შესყიდვა
- ⇒ დადგინდა ის პრიორიტეტული მიმართულებები, რაზეც უნდა მოხდეს ფოკუსირება კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმის შემუშავებისას
- ⇒ შეფასდა სანაპირო ზოლის მონაცვლადობა
- ⇒ მომზადდა სანაპირო ზოლის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის სამოქმედო ანგარიში

10.2 ამოცანის განხორციელებისთვის 2017-2018 წლებში სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

- **ქმედება 10.2.1:** ქვეყნის მასშტაბით ბუნებრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის დანერგვა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: კლიმატის მწვანე ფონდის (27 მლნ აშშ დოლარის) და შვეიცარიის განვითარების სააგენტოს (5 მლნ აშშ დოლარის) მიერ ფინანსდება პროექტი - „მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის გაფართოება და კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენება საქართველოში“, პროექტის განხორციელების შედეგად გაფართოვდება ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელი მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაინერგება ადრეული შეტყობინების ეროვნული სისტემა და გაძლიერდება მოდელირების შესაძლებლობები.

განხორციელებული ღონისძიებები

- 2018 წელს მოხდა პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარის შესყიდვა. პროექტის შესრულების აქტიური ფაზა დაიწყო 2019 წლის მარტში.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება არ შესრულდა - ქმედების შესრულება ახალი დანყებულია.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 10.2 ქვეყნის საადაპტაციო პოტენციალის გაზრდა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 10.2.1.: ქვეყნის მასშტაბით ბუნებრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის დანერგვა
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	

<p>დაგეგმილი:</p> <p>გაუმჯობესებული ჰიდრომეტეოროლოგიური და აგრომეტეოროლოგიური ქსელი</p> <p>მომზადებული წყალმომვარდნების საფრთხისა და რისკის რუკები</p> <p>მომზადებული და ქვეყნის მასშტაბით დანერგილია ადრეული გაფრთხილების სისტემა</p> <p>განხორციელებული წყალმომვარდნებისგან დამცავი სტრუქტურული და არასტრუქტურული ღონისძიებები (მდინარეების ნაპირებზე გაბიონები, ქვაყრილები, მდინარეთა ჭალებში აგრო-ტყეები და სხვა)</p>	<p>შესრულებული:</p> <p>არ შესრულდა</p> <p>არ შესრულდა</p> <p>არ შესრულდა</p> <p>არ შესრულდა</p>
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა		
შესრულებ ის შეფასება	რეიტინგი			X		
		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

• ქმედება 10.2.2: კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმის მომზადება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმის მიზანია ქვეყნის კლიმატის ცვლილებებისადმი მონყვლადობის შეფასება, გრძელვადიანი და საშუალოვადიანი საჭიროებების განსაზღვრა და გამოვლენილი საჭიროებებისა და პრობლემების აღმოსაფხვრელად სტრატეგიებისა და პროგრამების შემუშავება.

განხორციელებული ღონისძიებები

- კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმის შესამუშავებლად საჭირო დაფინანსების მოძიების მიზნით მიმდინარეობს საპროექტო განაცხადის მომზადება კლიმატის მწვანე ფონდში წარსადგენად. აღნიშნული განაცხადის მომზადებისას, კვლევებისა და ექსპერტული შეფასებების საფუძველზე, დადგინდა ის პრიორიტეტული მიმართულებები, რაზეც უნდა მოხდეს ფოკუსირება კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმის შემუშავებისას. კერძოდ, განისაზღვრა შემდეგი პრიორიტეტები: წყლის რესურსები, მყინვარები, ბიომრავალფეროვნება, ტყეების მართვა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ჯანდაცვა და ინფრასტრუქტურა.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება არ შესრულდა - მიმდინარეობს ქმედების შესრულების მოსაზმადებელი სამუშაოები.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 10.2 ქვეყნის საადაპტაციო პოტენციალის გაზრდა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 10.2.2.: კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმის მომზადება
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი:	შესრულებული:
დამტკიცებული კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმა	არ შესრულდა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა		
	რეიტინგი				X	
	სტატუსი	X				

• **ქმედება 10.2.3:** კლიმატის ცვლილებისადმი საქართველოს სანაპირო ზონის მონწყვლადობის დადგენა და ადაპტაციის ღონისძიებების დაგეგმვა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: საქართველოს მესამე ეროვნული შეტყობინების თანახმად, შავი ზღვის სანაპირო ზოლი კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფებით მნიშვნელოვნად ზიანდება. შტორმული მოდენები, ნაპირის წარეცხვა და ზღვის დონის მატება სერიოზულ საფრთხეს ქმნის ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

განხორციელებული ღონისძიებები

- 2018 წელს, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, დაიწყო შეფასებითი კვლევა კლიმატის ცვლილების საადაპტაციო ღონისძიებების განსასზღვრად:
 - ა) შეფასდა სანაპირო ზოლის მონწყვლადობა;
 - ბ) მომზადდა სანაპირო ზოლის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის სამოქმედო ანგარიში, სადაც წარმოდგენილია საადაპტაციო ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციები.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა: პრიორიტეზირებულ იქნა კლიმატის ცვლილების მიმართ საქართველოს სანაპირო ზონის ადაპტაციის ღონისძიებები.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 10.2 ქვეყნის საადაპტაციო პოტენციალის გაზრდა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 10.2.3.: კლიმატის ცვლილებისადმი საქართველოს სანაპირო ზონის მონყვლადობის დადგენა და ადაპტაციის ღონისძიებების დაგეგმვა
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: დადგენილი და პრიორიტეზირებული კლიმატის ცვლილების მიმართ საქართველოს სანაპირო ზონის ადაპტაციის ღონისძიებები	შესრულებული: ნაწილობრივ შესრულდა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულებ ის შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი			X	
სტატუსი	განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია

ამოცანა 10.3 კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი ანგარიშგების ვალდებულების შესრულება

ამოცანა 10.1-ის შესრულების მიზნით განხორციელდა 2 ქმედება - მიმდინარეობს კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი ანგარიშგების ვალდებულების შესრულება და ასევე შემუშავების პროცესშია „საქართველოს მე-4 ეროვნული შეტყობინების" მომზადება. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2017-2018 წლის განმავლობაში:

- ⇒ მომზადდა საქართველოს მე-2 ორწლიანი განახლებული ანგარიშის ეროვნული თავისებურების, შერბილების, მხრდაჭერის მიღების და მხარდაჭერის საჭიროების თავების სამუშაო ვერსიები
- ⇒ მომზადდა ეროვნული შეტყობინების ადაპტაციის კომპონენტის შინაარსი

10.3 ამოცანის განხორციელებისთვის 2017-2018 წლებში სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

- **ქმედება 10.3.1:** კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი საქართველოს მე-2 „ორწლიანი განახლებული ანგარიშის“ მომზადება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი საქართველოს მე-2 ორწლიანი განახლებული ანგარიშის მიზანია ინფორმაციის განახლება სათბური გაზების გაფრქვევების შესახებ და კონვენციით ნაკისრი ვალდებულების შესრულება ანგარიშების მიმართულებით.

განხორციელებული ღონისძიებები

- გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის დაფინანსებით მიმდინარე პროექტის ფარგლებში მომზადდა საქართველოს მე-2 ორწლიანი განახლებული ანგარიშის ეროვნული თავისებურების, შერბილების, მხრდაჭერის მიღების და მხარდაჭერის საჭიროების თავების სამუშაო ვერსიები.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ნაწილობრივ შესრულდა - მომზადდა საქართველოს მე-2 ორწლიანი განახლებული ანგარიშის თავების სამუშაო ვერსია - თუმცა დოკუმენტი ჯერ არ არის მიღებული კონვენციის მიერ და არც საიტზეა განთავსებული.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 10.3 კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი ანგარიშგების ვალდებულების შესრულება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 10.3.1.: კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი საქართველოს მე-2 „ორწლიანი განახლებული ანგარიშის“ მომზადება
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის მიერ მიღებულია და ვებ-გვერდზე განთავსებულია საქართველოს მე-2 "ორწლიანი განახლებული ანგარიშის" დოკუმენტი	შესრულებული: მომზადდა საქართველოს მე-2 ორწლიანი განახლებული ანგარიშის თავების სამუშაო ვერსია
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულებ ის შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი			X		
		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შენწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

• **ქმედება 10.3.2:** კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი „საქართველოს მე-4 ეროვნული შეტყობინების“ მომზადება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი საქართველოს მე-4 ეროვნული შეტყობინების მიზანია ინფორმაციის განახლება სათბური გაზების გათრქვევებისა და ქვეყნის საადაპტაციო მდგომარეობის შესახებ და კონვენციით ნაკისრი ვალდებულების შესრულება ანგარიშგების მიმართულებით.

განხორციელებული ღონისძიებები

- გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის დაფინანსებული პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს საქართველოს მე-4 ეროვნული შეტყობინების (NC) შემუშავება. ამ ეტაპზე მომზადდა NC-ის ადაპტაციის კომპონენტის შინაარსი.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება არ შესრულდა - ქმედების შესრულება საწყის ეტაპზეა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 10.3 კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი ანგარიშგების ვალდებულების შესრულება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 10.3.2.: კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციისადმი „საქართველოს მე-4 ეროვნული შეტყობინების“ მომზადება
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის მიერ მიღებულია და ვებ-გვერდზე განთავსებულია „საქართველოს მე-4 ეროვნული შეტყობინების“ დოკუმენტი	შესრულებული: ქმედების შესრულება საწყის ეტაპზეა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულებ ის შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი				X	
		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

თავი 11: ბუნებრივი საფრთხეების რისკების მართვა

თავი 11 - ბუნებრივი საფრთხეების რისკების მართვა - მოიცავს 1 ამოცანას და ჯამში 8 ქმედებას. ამოცანის მიზანია ბუნებრივი საფრთხეების იდენტიფიკაციის, რისკების შეფასების/ანალიზის, პრევენციისა და მონიტორინგის სისტემის სრულყოფა.

თავის ქმედებების უმეტესობა სრულდება არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დონორ(ებ)ის დახმარებით. მთლიანობაში, 2017-2018 წლებში თავი ქმედებათა შესრულების ჯამურმა დანახარჯებმა შეადგინა 2,427,068 ლარი.

ამოცანა 11.1 საფრთხეების იდენტიფიკაციის, რისკების შეფასების/ანალიზის, პრევენციისა და მონიტორინგის სისტემების სრულყოფა

ამოცანა 11.1-ის შესრულების მიზნით განხორციელდა 7 ქმედება - დაიწყო წყალდიდობებისა და წყალფარდნების რისკების შეფასებისა და მართვის სისტემის დანერგვა, მიმდინარეობს ქ. თბილისის გეოლოგიური მონიტორინგის სისტემის განახლება, გრძელდება საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიური საფრთხეების ზონირების მსხვილმასშტაბიანი GIS რუკების მომზადება, ყალიბდება გეოლოგიური GIS მონაცემთა ბაზა, ეტაპობრივად ფართოვდება ჰიდრომეტეოროლოგიური მონიტორინგის სტაციონარული ქსელი, მიმდინარეობს ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნა და შემუშავდა კატასტროფების შედეგად გამოწვეული ზარალის/ზიანის აღრიცხვის მექანიზმები და ზეგავლენის შემამსუბუქებელი ინსტრუმენტები. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების, ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2017-2018 წლის განმავლობაში:

- ⇒ მდ. ცხენისწყალის საპილოტე აუზისათვის განხორციელდა წყალდიდობების რისკების შეფასება
- ⇒ მდ. ცხენისწყალის საპილოტე აუზისათვის შემუშავდა წყალდიდობების რისკების შემცირების მეთოდოლოგია
- ⇒ ქ. თბილისის ტერიტორიის ფარგლებში შედგა 70%-ით დეტალიზებული გეოლოგიური საფრთხეების ზონირების რუკის შედგენა

- ⇒ ქ. თბილისის ტერიტორიაზე განხორციელდა საველე გეოლოგიური კვლევები, იდენტიფიცირებულია გეოლოგიური პროცესების ზონები (მენყერი, ღვარცოფი, კლდეზავი, ქვათაცვენა და სხვა)
- ⇒ 2017 წელს შეფასდა გეოლოგიური შეფასება ჩატარდა 1042 დასახლებული პუნქტში
- ⇒ 2018 წელს შეფასდა გეოლოგიური შეფასება ჩატარდა 1057 დასახლებული პუნქტში
- ⇒ 2017 წელს შეფასდა 545 დასახლებულ პუნქტში მცხოვრები 1353 მოსახლის (კომლი) საცხოვრებელი სახლის, საკარმიდამო მიწის ნაკვეთის და მიმდებარე ტერიტორიის გეოლინამიკური მდგომარეობა
- ⇒ 2018 წელს შეფასდა 560 დასახლებული პუნქტი და 1157 ოჯახი (კომლი)
- ⇒ 2017 წელს შედგა 247 ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა შესაბამისი რეკომენდაციებით
- ⇒ 2018 წელს შედგა 305 ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა შესაბამისი რეკომენდაციებით
- ⇒ 2017 წელს მომზადდა ხაშურის ფურცლის (K-38-XX) გეოლოგიური ანგარიში შესაბამისი რუკებით (მასშტაბი 1:200 000)
- ⇒ 2018 წელს მომზადდა ყაზბეგის და დარიალის ფურცლების (K-38-IX-XV) გეოლოგიური ანგარიში შესაბამისი რუკებით (მასშტაბი 1:200 000)
- ⇒ 2017 წელს დამონტაჟდა და გაიმართა 7 მეტეოროლოგიური და 9 ჰიდროლოგიური სადგური და საგუშაგო
- ⇒ 2018 წელს დასავლეთ საქართველოს მდინარეებზე დამონტაჟდა ავტომატური წყლის ღონის მზომი 4 ერთეული სადგური
- ⇒ 2018 წელს ქ. ბათუმისა და ქ. ფოთის საზღვაო ნავსადგურებში დამონტაჟდა ავტომატური საზღვაო-მეტეოროლოგიური სადგურები, ხოლო ქ. გორში მეტეოროლოგიური სადგური
- ⇒ 2018 წელს ქ. თელავში დამონტაჟდა და გაიმართა ავტომატური მეტეოროლოგიური საგუშაგო
- ⇒ 2018 წელს ჭუბერის თემში, მდ. ნენსკრაზე დამონტაჟდა და გაიმართა ავტომატური ჰიდრომეტეოროლოგიური სადგური
- ⇒ ელექტრონულ ფორმატში გადაყვანილ იქნა ქალაქის მატარებელზე არსებული ისტორიული/მიმდინარე მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური მონაცემების მნიშვნელოვანი ნაწილი
- ⇒ 2017 წელს შემუშავდა ბუნებრივი კატასტროფების პრევენციისა და შერბილების ღონისძიებების ხარჯსარგებლიანობის დოკუმენტი

11.1 წლებში ამოცანის განხორციელებისთვის 2017-2018 წლებში სახელმწიფოს მიერ გახარჯულია 2,427,068 ლარი

- **ქმედება 11.1.1:** წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების რისკების შეფასებისა და მართვის სისტემების დანერგვა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ქმედების მიზანი: წყალდიდობები და წყალმოვარდნები საქართველოს თითქმის ყველა მდინარისთვის არის დამახასიათებელი, რომელსაც დიდი ეკონომიკური ზარალი მოაქვს და ხშირად ადამიანური მსხვერპლითაც მთავრდება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია აღნიშნული სტიქიური მოვლენების რისკების ქვეშ მყოფი ზონების იდენტიფიკაცია და აღნიშნული ზონებისთვის ამ რისკების შემცირებისა და მზადყოფნის გეგმების შემუშავება.

განხორციელებული ღონისძიებები

- მდ. ცხენისწყალის საპილოტე აუზისათვის განხორციელდა წყალდიდობების რისკების შეფასება, რაც ითვალისწინებს რისკის ქვეშ მყოფი ზონების იდენტიფიცირებას;
- მდ. ცხენისწყალის საპილოტე აუზისათვის მომზადდა სივრცული ინფორმაცია;
- შემუშავდა წყალდიდობების რისკების შემცირების მეთოდოლოგია.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ითვალისწინებდა წყალდიდობების რისკის ქვეშ მყოფი ზონების იდენტიფიცირებას, წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების რისკების შესფასებასა და წყალდიდობების რისკის ქვეშ მყოფი ზონებისთვის აღნიშნული რისკების შემცირებისა და მზადყოფნის გეგმების შემუშავებას. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული ქმედებები განხორციელდა მდ. ცხენისწყალის საპილოტე აუზისთვის.

ქმედების მთლიანი საპროგნოზო ბიუჯეტი შეადგენდა 24,000 ლარს. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 1,241 ლარი.

ამოცანა 11.1 საფრთხეების იდენტიფიკაციის, რისკების შეფასების/ანალიზის, პრევენციისა და მონიტორინგის სისტემების სრულყოფა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 11.1.1.: წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების რისკების შეფასებისა და მართვის სისტემების დანერგვა
პასუხისმგებელი უწყება:	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: წყალდიდობების რისკის ქვეშ მყოფი იდენტიფიცირებული ზონები წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების შეფასებული რისკები წყალდიდობების რისკის ქვეშ მყოფი ზონებისთვის წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების რისკების შემცირებისა და მზადყოფნის მომზადებული გეგმა	შესრულებული: ზონების იდენტიფიცირება განხორციელდა მდ. ცხენისწყალის აუზში რისკები შეფასდა განხორციელდა მდ. ცხენისწყალის აუზში გეგმა მომზადდა მდ. ცხენისწყალის აუზისთვის
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 24,000	ფაქტობრივი: 1,241

შესრულებ ის შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა		
	რეიტინგი			X			
		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს	განხორციელები ს პროცესი შეჩერებულია	განხორციელები ს პროცესი არ დაწყებულია	განხორციელების პროცესი დასრულებულია	
	სტატუსი		X				

- **ქმედება 11.1.2:** ქალაქ თბილისის გეოლოგიური მონიტორინგის სისტემის განახლება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ქმედების მიზანი: საჭიროა ქ. თბილისში გეოლოგიური საფრთხეების ზონების იდენტიფიცირება, გეოლოგიური საფრთხეების შესახებ დეტალური მონაცემების შეგროვება და დედაქალაქის გეოლოგიური მონიტორინგის სისტემის თანდათანობითი გაუმჯობესება.

განხორციელებული ღონისძიებები

- ქ. თბილისის ტერიტორიის ფარგლებში შედგა 70%-ით დეტალიზებული გეოლოგიური საფრთხეების ზონირების რუკის შედგენა;
- ქ. თბილისის ტერიტორიაზე განხორციელდა საველე გეოლოგიური კვლევები, იდენტიფიცირებულია გეოლოგიური პროცესების ზონები (მენყერი, ღვარცოფი, კლდეზავი, ქვათაცვენა და სხვა);
- მიმდინარეობდა ინფორმაციის კამერალური დამუშავება გეოლოგიური საფრთხეების (მენყერი, ღვარცოფი და სხვა) ზონირების რუკის და შესაბამისი გეოლოგიური ანგარიშის შედგენის მიზნით;
- შედგა გეოლოგიური საფრთხეების მონაცემთა ბაზა.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ითვალისწინებდა ქ. თბილისში გეოლოგიური პროცესების იდენტიფიცირებას და დედაქალაქის საფრთხეების GIS რუკის შედგენას. საანგარიშო პერიოდში ქმედება უმეტესწილად შესრულდა - გეოლოგიური პროცესების იდენტიფიცირებულია და მიმდინარეობს მუშაობა საფრთხეების GIS რუკის შედგენაზე.

ქმედების მთლიანი ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 192,000 ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ათვისებამ შეადგინა 100,542 ლარი.

ამოცანა 11.1 საფრთხეების იდენტიფიკაციის, რისკების შეფასების/ანალიზის, პრევენციისა და მონიტორინგის სისტემების სრულყოფა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 11.1.2.: ქალაქ თბილისის გეოლოგიური მონიტორინგის სისტემის განახლება
პასუხისმგებელი უწყება:	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი:	შესრულებული:
ქალაქ თბილისში გეოლოგიური იდენტიფიცირებული პროცესები	ქალაქ თბილისში იდენტიფიცირებულია გეოლოგიური პროცესები
ქალაქ თბილისის საფრთხეების ზონირების GIS რუკა	ქალაქ თბილისის საფრთხეების ზონირების GIS რუკაზე მიმდინარეობს მუშაობა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 192,000	ფაქტობრივი: 100,542

შესრულებ ის შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი		X			
		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

• **ქმედება 11.1.3:** საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიური საფრთხეების ზონირების მსხვილმასშტაბიანი GIS რუკების მომზადება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ქმედების მიზანი: საქართველოს ერთიანი, გეოლოგიური საფრთხეების ზონირებული GIS რუკების მომზადება, სადაც იდენტიფიცირებული იქნება გეოლოგიური პროცესები (როგორცაა მენყერი, ღვარცოფი, ქვაცვენა და ა.შ.) და ამის საფუძველზე შესაძლებელი იქნება ბუნებრივი კატასტროფების რისკების პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვა.

განხორციელებული ღონისძიებები

- გამოიყა ყოველწლიური საინფორმაციო გეოლოგიური ბიულეტენები:
 - 2017 წელს გამოიყა ყოველწლიური საინფორმაციო ბიულეტენი „საქართველოში 2016 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2017 წლისთვის“;
 - 2018 წელს გამოიყა ყოველწლიური საინფორმაციო ბიულეტენი „საქართველოში 2017 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2018 წლისთვის“;
- ყოველწლიურად, წინა წელთან შედარებით 5%-ით გაზრდილი დასახლებული პუნქტების გეოლოგიური მონიტორინგის არეალები:
 - სტიქიური გეოლოგიური (მენყერი, ღვარცოფი, კლდეზვავ-ქვათაცვენა და სხვა) პროცესების შეფასების მიზნით საქართველოს ყველა მხარეში 2017 და 2018 წლებში (გაზაფხული, შემოდგომა) განხორციელდა ყოველწლიური გეოლოგიური მონიტორინგი:
 - 2017 წელს შეფასდა 1042 დასახლებული პუნქტი,
 - 2018 წელს შეფასდა 1057 დასახლებული პუნქტი;
- 2017- 2018 წლებში მომზადდა ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნები შესაბამისი რეკომენდაციებით:
 - 2017 წელს შეფასდა 545 დასახლებულ პუნქტში მცხოვრები 1353 მოსახლის (კომლი) საცხოვრებელი სახლის, საკარმიდამო მიწის ნაკვეთის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური მდგომარეობა;
 - 2018 წელს შეფასდა 560 დასახლებული პუნქტი და 1157 ოჯახი (კომლი).
 - 2017 წელს შედგა 247 ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა შესაბამისი რეკომენდაციებით;
 - 2018 წელს შედგა 305 ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა შესაბამისი რეკომენდაციებით.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ითვალისწინებდა საქართველოში გეოლოგიური პროცესების (მენყერი, ღვარცოფი, და სხვ.) იდენტიფიცირებას, გეოლოგიური საფრთხეების ზონირების GIS რუკების შემუშავებასა და ბუნებრივი კატასტროფების რისკების შერბილებისა და პრევენციისთვის საჭირო ძირითადი

მონაცემების მოპოვებას. საანგარიშო პერიოდში 5%-ით გაიზარდა დასახლებული პუნქტების გეოლოგიური მონიტორინგის არეალები და შემუშავდა საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნები, შესაბამისი რეკომენდაციებით, 1105 დასახლებულ პუნქტში.

ქმედების მთლიანი ბიუჯეტი (2021 წლის ჩათვლით) განსაზღვრული იყო 2 127 123 ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ათვისებამ შეადგინა 560 657 ლარი.

ამოცანა 11.1 საფრთხეების იდენტიფიკაციის, რისკების შეფასების/ანალიზის, პრევენციისა და მონიტორინგის სისტემების სრულყოფა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 11.1.3.: საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიური საფრთხეების ზონირების მსხვილმასშტაბიანი GIS რუკების მომზადება
პასუხისმგებელი უწყება:	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: საქართველოში იდენტიფიცირებული გეოლოგიური პროცესები (მენყერი, ღვარცოფი, და სხვ.); საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიური საფრთხეების ზონირების GIS რუკა; ბუნებრივი კატასტროფების რისკების შერბილებისა და პრევენციისთვის საჭირო ძირითადი მონაცემები	შესრულებული: 5%-ით გაიზარდა დასახლებული პუნქტების გეოლოგიური მონიტორინგის არეალები მიმდინარეობს მუშაობა გეოლოგიური საფრთხეების ზონირების GIS რუკის შედგენაზე შემუშავდა საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნები, შესაბამისი რეკომენდაციებით, 1105 დასახლებულ პუნქტში
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 2,127,123	ფაქტობრივი: 560,657

	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
შესრულების შეფასება			X		
რეიტინგი					
სტატუსი	განხორციელებული პროცესი არ დაწყებულია	განხორციელებული პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებული პროცესი შეჩერებულია	განხორციელებული პროცესი შეწყვეტილია	განხორციელებული პროცესი დასრულებულია

- **ქმედება 11.1.4:** გეოლოგიური რუკების მომზადება (გეოლოგიური GIS მონაცემთა ბაზა)

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ქმედების მიზანი: საქართველოს მთლიანი გეოლოგიური GIS მონაცემთა ბაზის შექმნა.

განხორციელებული ღონისძიებები

- 2017 წელს მომზადდა ხაშურის ფურცლის (K-38-XX) გეოლოგიური ანგარიში შესაბამისი რუკებით (მასშტაბი 1:200 000);

- 2018 წელს მომზადდა ყაზბეგის და დარიალის ფურცლების (K-38-IX-XV) გეოლოგიური ანგარიში შესაბამისი რუკებით (მასშტაბი 1:200 000);
- 2018 წლის 8 ოქტომბრიდან, მიმდინარეობს რუსთავის K-38-XXII და ლაგოდეხის K-38-XXIII ნომენკლატურული ფურცლების ტერიტორიების სახელმწიფო 1:200 000 მასშტაბის გეოლოგიური რუკების შედგენის სამუშაოები.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ითავლისწინებდა გეოლოგიური აგეგმვის ჩატარებასა და გეოლოგიური GIS რუკის მომზადებას, რასაც უნდა გაეზარდა გეოლოგიური რისკების შეფასების შესაძლებლობა. საანგარიშო პერიოდში მომზადდა GIS რუკები ხაშურის, ყაზბეგისა და დარიალის ფურცლებისთვის და დაიწყო მუშაობა რუსთავისა და ლაგოდეხის გეოლოგიური რუკების შედგენის სამუშაოები.

ქმედების მთლიანი ბიუჯეტი (2021 წლის ჩათვლით) განსაზღვრული იყო 390,000 ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ათვისებამ შეადგინა 181,451 ლარი.

ამოცანა 11.1 საფრთხეების იდენტიფიკაციის, რისკების შეფასების/ანალიზის, პრევენციისა და მონიტორინგის სისტემების სრულყოფა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 11.1.4.: გეოლოგიური რუკების მომზადება (გეოლოგიური GIS მონაცემთა ბაზა)
პასუხისმგებელი უწყება:	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: გეოლოგიური აგეგმვა საქართველოს გეოლოგიური GIS რუკა	შესრულებული: აგეგმვა არ განხორციელდა GIS რუკები შედგენილია ხაშურის, ყაზბეგისა და დარიალის ფურცლებისთვის. დაიწყო რუსთავისა და ლაგოდეხის რუკებზე მუშაობა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 390,000	ფაქტობრივი: 181,451

	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
შესრულებ ის შეფასება	რეიტინგი			X	
	განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X		

- **ქმედება 11.1.5:** ჰიდრომეტეოროლოგიური მონიტორინგის სტაციონარული ქსელის გაფართოება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ქმედების მიზანი: საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური მონიტორინგის სტაციონარული ქსელის გაფართოება ავტომატიზირებული ჰიდრომეტეოროლოგიური და მეტეოროლოგიური სადგურების/საგუშავების რაოდენობის ზრდის საფუძველზე (იგეგმებოდა წელიწადში 20 სადგური/საგუშავოს დამატება), რასაც უნდა გამოეწვია ადრეული გაფრთხილების სისტემის გაძლიერება და წყალდიდობების პროგნოზირების გაუმჯობესება.

განხორციელებული ღონისძიებები

- 2017 წელს დამონტაჟდა და გაიმართა 7 მეტეოროლოგიური (თეთნულდი, გუდაური (snowpack), შატილი, კორმა, ბოლნისი, ბაკურიანი, გოდერძი;) და 9 ჰიდროლოგიური (არაგვი (მცხეთა), არაგვი (ჩინთი), თეთრი არაგვი, ფშავის არაგვი, ჟინვალის წყალსაცავი, წავკისი, მდ. ენგური, მდ. მესტიაჭალა, მდ. მუხურა) სადგური და საგუშავო;
- 2018 წელს დასავლეთ საქართველოს მდინარეებზე (ნატანები, ხობისწყალი, ბუჟუა, გუბაზეული) დამონტაჟდა ავტომატური წყლის დონის მზომი 4 ერთეული სადგური;
- 2018 წელს ქ. ბათუმისა და ქ. ფოთის საზღვაო ნავსადგურებში დამონტაჟდა ავტომატური საზღვაო-მეტეოროლოგიური სადგურები, ხოლო ქ. გორში მეტეოროლოგიური სადგური;
- 2018 წელს ქ. თელავში დამონტაჟდა და გაიმართა ავტომატური მეტეოროლოგიური საგუშავო;
- 2018 წელს ჭუბერის თემში, მდ. ნენსკრაზე დამონტაჟდა და გაიმართა ავტომატური ჰიდრომეტეოროლოგიური სადგური.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ითვალისწინებდა წელიწადში 20 ავტომატიზირებული ჰიდრომეტეოროლოგიური და მეტეოროლოგიური სადგურებისა და საგუშავების დამონტაჟებას, რასაც უნდა გამოეწვია პროგნოზების სიზუსტის ამაღლებდა და ხარჯეფექტიანობის ამაღლება. 2017 წელს დამონტაჟდა 16 ჰიდრომეტეოროლოგიური და მეტეოროლოგიური სადგური/საგუშავო, 2018 წელს კი - 9.

ქმედების მთლიანი ბიუჯეტი (2020 წლის ჩათვლით) განსაზღვრული იყო 3, 500,000 ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ათვისებამ შეადგინა 684,507 ლარი.

ამოცანა 11.1 საფრთხეების იდენტიფიკაციის, რისკების შეფასების/ანალიზის, პრევენციისა და მონიტორინგის სისტემების სრულყოფა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 11.1.5.: ჰიდრომეტეოროლოგიური მონიტორინგის სტაციონარული ქსელის გაფართოება
პასუხისმგებელი უწყება:	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი:	შესრულებული:
დამონტაჟებული ავტომატიზირებული ჰიდრომეტეოროლოგიური და მეტეოროლოგიური სადგურებისა და საგუშავოები (წელიწადში 20)	2017-2018 წლებში დამონტაჟდა 25 ჰიდრომეტეოროლოგიური და მეტეოროლოგიური სადგური/საგუშავო
	არ არის მონაცემები

ადრეული შეტყობინების გაძლიერებული სისტემა, უფრო ზუსტი პროგნოზები, ამალღებული ხარჯთაღფექტიანობა	
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 3, 500,000	ფაქტობრივი: 684,507

	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა		
შესრულებ ის შეფასება	რეიტინგი			X		
		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს	განხორციელები ს პროცესი შეჩერებულია	განხორციელები ს პროცესი შეწყვეტილია	განხორციელები ს პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

• **ქმედება 11.1.6:** ჰიდრომეტეოროლოგიურ მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნა ჰასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

ქმედების მიზანი: ერთიანი ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემთა ელექტრონული ბაზის ჩამოყალიბება, რომელშიც თავმოყრილი იქნება არქივებში არსებული და თანამედროვე ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემები. ასევე მნიშვნელოვანია აღნიშნული ელექტრონული ბაზის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

განხორციელებული ღონისძიებები

- ელექტრონულ ფორმატში გადაყვანილ იქნა ქალაქის მატარებელზე არსებული ისტორიული/მიმდინარე მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური მონაცემების მნიშვნელოვანი ნაწილი;
- მომზადდა წინადადებები ჰიდრომეტეოროლოგიურ მონაცემთა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით შესაბამის სამთავრობო დოკუმენტის მისაღებად.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ითვალისწინებდა ერთიანი არქივებში, ფურცელზე არსებული მონაცემების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას და სისტემის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. საანგარიშო პერიოდში მოხდა ქალაქის მატარებელზე არსებული ისტორიული/მიმდინარე მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური მონაცემების მნიშვნელოვანი ნაწილის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა და მიმდინარეობს მუშაობა ჰიდრომეტეოროლოგიურ მონაცემთა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით შესაბამის სამთავრობო დოკუმენტის მისაღებად.

ქმედების მთლიანი ბიუჯეტი (2021 წლის ჩათვლით) განსაზღვრული იყო 2, 252,700 ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ათვისებამ შეადგინა 959,911 ლარი.

ამოცანა 11.1 საფრთხეების იდენტიფიკაციის, რისკების შეფასების/ანალიზის, პრევენციისა და მონიტორინგის სისტემების სრულყოფა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 11.1.6.: ჰიდრომეტეოროლოგიურ მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნა
ჰასუხისმგებელი უწყება:	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018

შესრულების ინდიკატორები	
<p>დაგეგმილი:</p> <p>ისტორიული და თანამედროვე ჰიდრომეტეოროლოგიური მონიტორინგის მონაცემთა ბაზა</p> <p>სისტემის ხელმისაწვდომობა</p>	<p>შესრულებული:</p> <p>ფურცელზე არსებული ისტორიული და თანამედროვე ჰიდრომეტეოროლოგიური მონიტორინგის მონაცემების მნიშვნელოვანი ნაწილი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანილი</p> <p>მიმდინარეობს მუშაობა ჰიდრომეტეოროლოგიურ მონაცემთა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით შესაბამის სამთავრობო დოკუმენტის მისაღებად</p>
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 2, 252,700	ფაქტობრივი: 959,911

შესრულება	რეიტინგი	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	შეფასება		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს	განხორციელები ს პროცესი შეჩერებულია	განხორციელები ს პროცესი შეწყვეტილია
	სტატუსი		X			

- **ქმედება 11.1.8¹:** კატასტროფების შედეგად გამოწვეული ზარალის/ზიანის აღრიცხვის/დათვლის მექანიზმებისა და ზეგავლენის შემამსუბუქებელი ინსტრუმენტების შემუშავება

პასუხისმგებელი უწყება: საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

ქმედების მიზანი: ქმედების მიზანია ბუნებრივი კატასტროფების შედეგად გამოწვეული ზარალის/ზიანის აღრიცხვის მექანიზმების შემუშავება, რომელიც დამყარებული უნდა იყოს შესაბამის ელექტრონულ პლატფორმაზე.

განხორციელებული ღონისძიებები

- 2017-2018 წლებში შემუშავდა ბუნებრივი კატასტროფების შედეგად გამოწვეული ზარალის აღრიცხვის მეთოდოლოგია.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ითვალისწინებდა ბუნებრივი კატასტროფების შედეგად გამოწვეული ზიანის დათვლის ინსტრუმენტების ჩამოყალიბებას. საანგარიშო პერიოდში ქმედება ნაწილობრივ შესრულდა. ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 11.1 საფრთხეების იდენტიფიკაციის, რისკების შეფასების/ანალიზის, პრევენციისა და მონიტორინგის სისტემების სრულყოფა	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 11.1.8.: კატასტროფების შედეგად გამოწვეული ზარალის/ზიანის

¹ ქმედების შესახებ ინფორმაცია და სტატუსი დაზუსტდა 2019 წლის ოქტომბერში

	აღრიცხვის/დათვლის მექანიზმებისა და ზეგავლენის შემამსუბუქებელი ინსტრუმენტების შემუშავება
პასუხისმგებელი უწყება:	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: ზიანის დათვლის პროგრამული უზრუნველყოფის ჩამოყალიბება	შესრულებული: ზიანის დათვლის მეთოდოლოგია შემუშავებულია, თუმცა პროგრამული უზრუნველყოფის ჩამოყალიბება არ მომხდარა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულებ ის შეფასება		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა		
	რეიტინგი			X			
	სტატუსი	განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შენწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია	X

თავი 12: რადიაციული უსაფრთხოება

თავი 12 - რადიაციული უსაფრთხოება - მოიცავს 3 ამოცანას და ჯამში 8 ქმედებას. ამოცანების მიზანია ეროვნული რადიაციული და ბირთვული კანონმდებლობის გაუმჯობესება, სექტორში უსაფრთხოების გაძლიერება და საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესება და ცნობიერების ამაღლება რადიაციული უსაფრთხოების შესახებ.

თავის ქმედებების უმეტესობა სრულდება არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დონორ(ებ)ის დახმარებით.

ამოცანა 12.1 ეროვნული ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების კანონმდებლობის გაუმჯობესება

ამოცანა 12.1-ის შესრულების მიზნით განხორციელდა 4 ქმედება - მოხდა ბირთვული ავარიისა და რადიოლოგიური საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში დახმარების შესახებ საერთაშორისო კონვენციასთან მიერთება, წარმატებით მიმდინარეობდა რადიოაქტიური ნარჩენების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელება და გაუმჯობესდა უსაფრთხოების ზომების რადიოაქტიური ნარჩენების განთავსების ადგილებზე. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა

და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2017-2018 წლის განმავლობაში:

- ⇒ საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 2 ნოემბრის № 1348-IX დადგენილების საფუძველზე, საქართველო შეუერთდა „ბირთვული ავარიის ან რადიაციული ავარიული სიტუაციის შემთხვევაში დახმარების შესახებ“ ვენის 1986 წლის 26 სექტემბრის კონვენციას
- ⇒ განხორციელდა თხევადი რადიოაქტიური ნარჩენების (რადიუმით დაბინძურებული წყლის) გადამუშავება
- ⇒ დამტკიცდა „ბირთვული და რადიაციული ობიექტების, რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის) მოთხოვნები“
- ⇒ შეძენილ იქნა მაღალი რეზოლუციის გამა სპექტომეტრი Falcon 5000
- ⇒ განახლდა რადიაციული მონიტორინგისა და ფიზიკური დაცულობის სისტემები რადიოაქტიური ნარჩენების საცავსა და სამარხზე
- ⇒ რადიოაქტიური ნარჩენების საცავში დამონტაჟდა ფიზიკური დაცვის სისტემები
- ⇒ დასრულდა რადიოაქტიური ნარჩენების საცავში განთავსებული რადიოაქტიური წყაროების კონტეინერებზე სპეციალური (რადიოსისხმირული იდენტიფიკაციის) იარაღიყებისა და ანტენების დამონტაჟება

12.1 ამოცანის განხორციელებისთვის 2017-2018 წლებში სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

- **ქმედება 12.1.1:** ბირთვული ავარიისა და რადიოლოგიური საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში დახმარების შესახებ კონვენციასთან შეერთება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

ქმედების მიზანი: ქმედების მიზანია საქართველოს საერთაშორისო თანამშროლობის პროცესში მონაიწილოების გააქტიურება, რისკენაც გადადგმულ ერთ-ერთ ნაბიჯად მოიაზრებოდა „ბირთვული ავარიისა და რადიოლოგიური საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში დახმარების შესახებ კონვენციასთან“ მიერთება.

განხორციელებული ღონისძიებები

- საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 2 ნოემბრის № 1348-IX დადგენილების საფუძველზე, საქართველო შეუერთდა „ბირთვული ავარიის ან რადიაციული ავარიული სიტუაციის შემთხვევაში დახმარების შესახებ“ ვენის 1986 წლის 26 სექტემბრის კონვენციას;
- კონვენცია საქართველოსთვის ძალაშია 2018 წლის 10 მაისიდან.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ითვალისწინებდა „ბირთვული ავარიისა და რადიოლოგიური საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში დახმარების შესახებ კონვენციასთან“ მიერთებას, რაც საანგარიშო პერიოდში სრულად შესრულდა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 12.1 ეროვნული ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების კანონმდებლობის გაუმჯობესება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 12.1.1.: ბირთვული ავარიისა და რადიოლოგიური საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში დახმარების შესახებ კონვენციასთან შეერთება
პასუხისმგებელი უწყება:	სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: კონვენციასთან შეერთებული ქვეყანა	შესრულებული: საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 2 ნოემბრის № 1348-IX დადგენილების საფუძველზე, საქართველო შეუერთდა „ბირთვული ავარიის ან რადიაციული ავარიული სიტუაციის შემთხვევაში დახმარების შესახებ“ კონვენციას
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი	X			
	განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს	განხორციელები ს პროცესი შეჩერებულია	განხორციელები ს პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
სტატუსი					X

- **ქმედება 12.1.2: რადიოაქტიური ნარჩენების სტრატეგიის (15-წლიანი) და სამოქმედო გეგმის (2-წლიანი) განხორციელება**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

ქმედების მიზანი: ქმედების მიზანია საქართველოს რადიოაქტიური ნარჩენების სტრატეგიისა და მისი 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელება.

განხორციელებული ღონისძიებები

2017-2018 წლებში რადიოაქტიური ნარჩენების მართვის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელდა ყველა დაგეგმილი ღონისძიება. კერძოდ:

- საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებული იქნა თანამშრომლობის ოქმი - „ბირთვული უსაფრთხოების სფეროში საქართველოსთან თანამშრომლობა“ (2018

წლის 26 ივნისის № 1309 განკარგულება), რომელიც გაფორმდა სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოსა და შვედეთის რადიაციული უსაფრთხოების მარეგულირებელ ორგანოს შორის. თანამშრომლობის ოქმის გაფორმებით, სააგენტო მიიღებს მხარდაჭერას ფინანსური, ექსპერტული ცოდნისა თუ ტექნიკური თვალსაზრისით;

- თანამშრომლობის ოქმის ფარგლებში, შეგროვდა და გაანალიზდა ინფორმაცია საქართველოში არსებული რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ;
- ზემოთნახსენები კვლევის საფუძველზე, განხორციელდა სოფელ სააკაძესთან არსებული რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის არეალის გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური კვლევა;
- შემუშავდა ერთობლივი ანგარიში, რომელიც წარედგინება საქართველოს მთავრობას წინადადებით, რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ტერიტორია განისაზღვროს რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ობიექტების განთავსების ადგილად;
- შეფასდა რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ტერიტორიის უსაფრთხოების შემდეგი ელემენტები:
 - რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის განთავსების ადგილის დახასიათება;
 - ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური მონაცემების აღწერა;
 - ფიზიკური დაცვის სისტემის აღწერა და დაშვების კონტროლი;
 - სამარხის კონსტრუქციის ხანგრძლივი მედეგობის შეფასება;
 - სოციალური ფაქტორების შეფასება;
- ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოსთან (აესს) მიმდინარე ტექნიკური თანამშრომლობის პროექტის (GEO/9/013) ფარგლებში, მიღებული იქნა თხევადი რადიოაქტიური ნარჩენების ამოსატუმბი და გასაფილტრი მონწყობილობები;
- აესს-ის იმავე პროექტის ფარგლებში განხორციელდა თხევადი რადიოაქტიური ნარჩენების (რადიუმით დაბინძურებული წყლის) გადამუშავება. კერძოდ:
 - გაფილტრული იქნა 50 მ3 მოცულობის წყალი;
 - გენერირებული ნარჩენები დაბეტონდა სამ ლითონის კასრში;
 - გადამუშავებული რადიოაქტიური ნარჩენი განთავსებულია რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ტერიტორიაზე რადიოაქტიური ნარჩენების მართვის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესაბამისად;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2017 წლის 26 ივლისის № 26 ბრძანებით დამტკიცდა „ბირთვული და რადიაციული ობიექტების, რადიოაქტიური წყაროების, რადიოაქტიური ნარჩენების და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროების ფიზიკური უსაფრთხოების (დაცულობის) მოთხოვნები“; ხოლო „ტექნიკური რეგლამენტი – ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების ტრანსპორტირების წესი“ დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 7 თებერვლის № 72 დადგენილებით.
- შეძენილ იქნა მაღალი რეზოლუციის გამა სპექტომეტრი Falcon 5000.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ითვალისწინებდა 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელებას - საანგარიშო პერიოდში აღნიშნული გეგმა სრულად განხორციელდა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 12.1 ეროვნული ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების კანონმდებლობის გაუმჯობესება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 12.1.2.: რადიოაქტიური ნარჩენების სტრატეგიის (15-წლიანი) და სამოქმედო გეგმის (2-წლიანი) განხორციელება
პასუხისმგებელი უწყება:	სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: დასრულებული ქმედებები	შესრულებული: დასრულდა 13 ქმედება
განხორციელებული სამოქმედო გეგმა (2 წლიანი ციკლი)	2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა სრულად განხორციელდა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
შესრულების შეფასება	X				
რეიტინგი	X				
სტატუსი	განხორციელებული პროცესი არ დაწყებულა	განხორციელებული პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებული პროცესი შეჩერებულია	განხორციელებული პროცესი შეწყვეტილია	განხორციელებული პროცესის დასრულებულია
					X

• **ქმედება 12.1.3: რადიოაქტიური ნარჩენების განთავსების ადგილებზე უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესება**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

ქმედების მიზანი: ქმედების მიზანია რადიოაქტიური ნარჩენების განთავსების ადგილებზე უსაფრთხოების ზომების გაძლიერება - როგორც აღნიშნული ნარჩენების გარემოზე ზემოქმედების მინიმუმაციის, ისე ასეთი ადგილების კონტროლისა და მათზე არაავტორიზებული პიროვნებების მოხვედრის რისკის შემცირების კუთხით.

განხორციელებული ღონისძიებები

- 2018 წელს განახლდა რადიაციული მონიტორინგისა და ფიზიკური დაცულობის სისტემები რადიოაქტიური ნარჩენების საცავსა და სამარხზე;
- აეს-ის პროექტის ფარგლებში რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ტერიტორიაზე განთავსებული რადიაციული მონიტორინგის სისტემის მეშვეობით შესაძლებელია გამა გამოსხივების დოზის სიმძლავრის განსაზღვრა და მონაცემების პირდაპირ რეჟიმში გადაცემა;
- რადიოაქტიური ნარჩენების საცავში დამონტაჟდა ფიზიკური დაცვის შემდეგი სისტემები: მოძრაობის დეტექტორები, ვიდეო კამერები და კარის პოზიციონირების

სისტემა. რადიოაქტიური ნარჩენების საცავში შესვლა შესაძლებელია მხოლოდ საიდენტიფიკაციო ბარათებისა და თითის ანაბეჭდების საშუალებით. შესვლის გასაკონტროლებლად გამოიყენება ორი გასაღების პრინციპი. რადიოაქტიური ნარჩენების საცავი და მისი პერიმეტრი აღჭურვილია რადიაციული მონიტორინგის სისტემებით, რომელიც აფიქსირებს გამა გამოსხივების დოზის სიმძლავრეს;

- 2018 წელს, აშშ ენერჯეტიკის დეპარტამენტთან თანამშრომლობის ფარგლებში, დასრულდა რადიოაქტიური ნარჩენების საცავში განთავსებული რადიოაქტიური წყაროების კონტეინერებზე სპეციალური (რადიოსიხშირული იდენტიფიკაციის) იარაღიყებისა და ანტენების დამონტაჟება. აღნიშნული სისტემა საშუალებას იძლევა ოპერატიულად დაფიქსირდეს კონტეინერების ნებისმიერი არა ავტორიზებული გადაადგილება, რაც საშუალებას მოგვცემს ოპერატიულად განვახორციელოთ რეაგირება ზემოხსენებულ ფაქტზე

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ითვალისწინებდა რადიოაქტიური ნარჩენების განთავსების ლოკაციებზე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. საანგარიშო პერიოდში აღნიშნულ ლოკაციებზე განახლდა მონიტორინგის და ფიზიკური დაცულობის სისტემები.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 12.1 ეროვნული ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების კანონმდებლობის გაუმჯობესება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 12.1.3.: რადიოაქტიური ნარჩენების განთავსების ადგილებზე უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესება
პასუხისმგებელი უწყება:	სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა რადიოაქტიური ნარჩენების განთავსების ლოკაციებზე (საცავი და სამარხი)	შესრულებული: აღნიშნულ ლოკაციებზე განახლდა მონიტორინგის და ფიზიკური დაცულობის სისტემები
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა		
	რეიტინგი		X			
	სტატუსი	განხორციელებული პროცესი არ დაწყებულია	განხორციელებული პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებული პროცესი შეჩერებულია	განხორციელებული პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია

- **ქმედება 12.1.4:** გარემოს რადიაციული მონიტორინგი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, კახეთი)

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

ქმედების მიზანი: ქმედების მიზანია რადიაციული მონიტორინგის ჩატარებას საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

განხორციელებული ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში გარემოს რადიაციული მონიტორინგი საქართველოს რეგიონებში არ ჩატარებულა.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ითვალისწინებდა საქართველოს რეგიონებში რადიაციული მდგომარეობის შესახებ შეფასების მომზადებას. საანგარიშო პერიოდში ქმედება არ განხორციელდა.

ქმედებას მთლიანი ბიუჯეტი (2020 წლის ჩათვლით) განისაზღვრა 51,000 ლარით. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 0 ლარი.

ამოცანა 12.1 ეროვნული ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების კანონმდებლობის გაუმჯობესება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 12.1.4.: გარემოს რადიაციული მონიტორინგი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, კახეთი)
პასუხისმგებელი უწყება:	სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: შეფასებული გარემოს რადიაციული მდგომარეობა	შესრულებული: გარემოს რადიაციული მდგომარეობა არ შეფასებულა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: 51,000	ფაქტობრივი: 0

	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
შესრულებ ის შეფასება	რეიტინგი			X	
	განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს	განხორციელები ს პროცესი შეჩერებულია	განხორციელები ს პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X		

ამოცანა 12.2 შესაძლებლობების გაძლიერება ბირთვულ და რადიაციულ უსაფრთხოებაში

ამოცანა 12.2-ის შესრულების მიზნით განხორციელდა 2 ქმედება - გაუმჯობესდა რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურა და განხორციელდა ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2017-2018 წლის განმავლობაში:

- ⇒ სააგენტოს საკუთრებაში აღმოჩნდა რადიოაქტიური ნარჩენების ცემენტირების მინი-საწარმო
- ⇒ მინი-საწარმო უზურველყოფს როგორც თხევადი, ისე მყარი რადიოაქტიური ნარჩენების ცემენტის მატრიცაში იმობილიზირებას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად
- ⇒ 2018 წლის განმავლობაში სააგენტოს სპეციალისტები მონაწილეობდნენ ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს, ევროკავშირის, აშშ-ს ენერჯეტიკის დეპარტამენტის, გერმანიის რეაქტორების დაცვის საზოგადოების ეგიდით ჩატარებულ ღონისძიებებში

12.2 ამოცანის განხორციელებისთვის 2017-2018 წლებში სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

• **ქმედება 12.2.1:** რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის მოწყობა პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო
ქმედების მიზანი: ქმედების მიზანია რადიოაქტიური ნარჩენების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, როგორც თხევადი, ისე მყარი რადიოაქტიური ნარჩენებისთვის.

განხორციელებული ღონისძიებები

- სლოვაკეთის ორგანიზაცია „ამეკი“-მა სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს მიანოდა რადიოაქტიური ნარჩენების ცემენტირების მინი-საწარმო. რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ტერიტორიაზე აშენდა ახალი შენობა (ძველი შენობის საძირკვლის ბაზაზე), სადაც სლოვაკეთიდან ჩამოსულმა ექსპერტებმა ააწყვეს და დაამონტაჟეს შესაბამისი საწარმო.
- მინი-საწარმო უზურველყოფს როგორც თხევადი, ისე მყარი რადიოაქტიური ნარჩენების ცემენტის მატრიცაში იმობილიზირებას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. ამ მიზნით ასევე მოწოდებული იქნა შესაბამისი კასრები;
- საწარმო აღჭურვილია ფილტრაციის სისტემებით, რაც უზურველყოფს მის ოპერირების უსაფრთხოებას. პროცესის მართვა ხორციელდება სპეციალური ავტომატიზირებული სისტემით;
- შესაბამისი ტრენინგი უკვე ჩაუტარდათ რადიოაქტიური ნარჩენების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლებს და ნარჩენების გადამუშავება მოხდება შესაბამისი ნებართვების მიღების შემდგომ.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ითვალისწინებდა რადიოაქტიური ნარჩენების კონდიციონების მცირე საწარმოს მშენებლობას, რაც საანგარიშო პერიოდში სრულად განხორციელდა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნებებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 12.2 შესაძლებლობების გაძლიერება ბირთვულ და რადიაციულ უსაფრთხოებაში	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 12.2.1.: რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურის მოწყობა
პასუხისმგებელი უწყება:	სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: აშენებული რადიოაქტიური ნარჩენების კონდიციონების მცირე საწარმო	შესრულებული: რადიოაქტიური ნარჩენების კონდიციონების მცირე საწარმო აშენებულია
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულების შეფასება	რეიტინგი	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
		X				
		განხორციელებული პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებული პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებული პროცესი შეჩერებულია	განხორციელებული პროცესი შეწყვეტილია	განხორციელებული პროცესი დასრულებულია
სტატუსი						X

• **ქმედება 12.2.2:** ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ტრენინგებით
პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო
ქმედების მიზანი: ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სექტორის გაძლიერების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ამ სექტორში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაა, რისთვისაც საჭიროა სხვადასხვა ტრენინგებში და პროექტებში მონაწილეობა, რომ ქვეყანაში თანადანობით დაინერგოს სექტორში მსოფლიოს მასშტაბით არსებული საუკეთესო მიდგომები.

განხორციელებული ღონისძიებები

2018 წელს ჩატარდა ტრენინგები, სავლელ სწავლებები და სამუშაო შეხვედრები თემებზე:

- „მეზობელ ქვეყნებში ბირთვულ ავარიების შემთხვევებზე მზადყოფნა და რეაგირება“;
- „რადიოაქტიური ნარჩენების ფიზიკური დაცულობის სისტემების ინსპექტირება“;
- „რადიოაქტიური ნარჩენებისა და გამოყენებული საწვავისპასუხისმგებელიანი და უსაფრთხო მართვა“;
- „სამედიცინო ორგანიზაციების რადიოთერაპიული დანადგარების (ამაჩქარებლები და კიბერ-დანა) ინსპექტირება“;

- მასობრივი განადგურების იარაღის საფრთხის მართვა საკონტროლო გამტარ პუნქტზე ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების აღმოჩენა, იდენტიფიცირება, რეაგირება და საფრთხის შეფასება;
- ფიზიკური დაცულობის უზრუნველყოფა რადიოაქტიური წყაროების შენახვის, გამოყენებისა და ტრანსპორტირებისას;
- 2018 წლის განმავლობაში სააგენტოს სპეციალისტები მონაწილეობდნენ ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს, ევროკავშირის, აშშ-ს ენერჯეტიკის დეპარტამენტის, გერმანიის რეაქტორების დაცვის საზოგადოების ეგიდით ჩატარებულ ღონისძიებებში (სამეცნიერო ვიზიტი, სამუშაო შეხვედრა, ტრენინგი), სადაც წარდგენილი იქნა შესაბამისი თემატიკის პრეზენტაციები სააგენტოს მიერ ჩატარებული საქმიანობის შესახებ.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება სხვადასხვა ტიპის ტრენინგების ჩატარებასა და თანამშრომლების გადამზადებას. 2018 წელს ჩატარდა 7 ტრენინგი.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 12.2 შესაძლებლობების გაძლიერება ბირთვულ და რადიაციულ უსაფრთხოებაში	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 12.2.2.: ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ტრენინგებით
პასუხისმგებელი უწყება:	სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა ტრენინგების რაოდენობა	შესრულებული: 2018 წელს ჩატარდა 7 ტრენინგი
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულებ ის შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი		X		
	განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
სტატუსი		X			

ამოცანა 12.3 საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესება და ცნობიერების ამაღლება

ამოცანა 12.3-ის შესრულების მიზნით განხორციელდა 2 ქმედება - დაიწყო ბირთვულ და რადიაციულ უსაფრთხოებაში განათლების სტრატეგიისა და ტრენინგების სისტემის შემუშავება და აქტიურად მიმდინარეობდა ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2017-2018 წლის განმავლობაში:

- ⇒ 2017 წელს შემუშავდა რადიაციულ უსაფრთხოებაში კვალიფიკაციის, ტრენინგ-პროგრამებისა და სერტიფიცირების პროცედურების მიმართ მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის პროექტი
- ⇒ შემუშავდა ბუკლეტები - რადიაციული უსაფრთხოების საკითხები რენტგენოლოგიური გამოკვლევებისას. 2018 წელს, ბუკლეტები მიეწოდა სამედიცინო სფეროში ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების საქმიანობის განმახორციელებელ ორგანიზაციებს
- ⇒ 2018 წელს სააგენტომ ჩაატარა ტრენინგი სამედიცინო სფეროში ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით რენტგენო-ლაბორანტებისა და რადიაციულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირებისთვის
- ⇒ ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის მფლობელებს ჩაუტარდათ ტრენინგი ელექტრონულ ლიცენზირებასთან დაკავშირებით

12.3 ამოცანის განხორციელებისთვის 2017-2018 წლებში სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

- **ქმედება 12.3.1:** ბირთვულ და რადიაციულ უსაფრთხოებაში განათლების სტრატეგიისა და ტრენინგების სისტემის შემუშავება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

ქმედების მიზანი: ქმედების მიზანია ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში განათლების სისტემის გაუმჯობესებაზე.

განხორციელებული ღონისძიებები

- 2017 წელს შემუშავდა რადიაციულ უსაფრთხოებაში კვალიფიკაციის, ტრენინგ-პროგრამებისა და სერტიფიცირების პროცედურების მიმართ მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის პროექტი;
- მიმდინარეობს კონსულტაციები ბირთვულ და რადიაციულ უსაფრთხოებაში განათლების მოდელზე შესათანხმებლად.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ითვალისწინებდა ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების განათლების სტრატეგიის დანერგვას. საანგარიშო პერიოდში შემუშავდა მხოლოდ რადიაციულ უსაფრთხოებაში კვალიფიკაციის, ტრენინგ-პროგრამებისა და სერტიფიცირების პროცედურების მიმართ მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის პროექტი.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 12.3 საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესება და ცნობიერების ამაღლება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 12.3.1.: ბირთვულ და რადიაციულ უსაფრთხოებაში განათლების სტრატეგიისა და ტრენინგების სისტემის შემუშავება
პასუხისმგებელი უწყება:	სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: დანერვილი სტრატეგია	შესრულებული: არ შესრულდა
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულების შეფასება	რეიტინგი	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
			განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს	განხორციელები ს პროცესი შეჩერებულია	განხორციელები ს პროცესი შეწყვეტილია
	სტატუსი		X			

• **ქმედება 12.3.2:** ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

ქმედების მიზანი: ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სექტორში არსებული სხვადასხვა ტიპის ბუნებრივი თუ ხელოვნური საფრთხეებისა და მათგან თავის დაცვის შესახებ.

განხორციელებული ღონისძიებები

- საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 10 სემინარი, მათ შორის:
 - ✓ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, შემუშავდა ბუკლეტები - რადიაციული უსაფრთხოების საკითხები რენტგენოლოგიური გამოკვლევებისას. 2018 წელს, ბუკლეტები მიენოდა სამედიცინო სფეროში ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების საქმიანობის განმახორციელებელ ორგანიზაციებს;
 - ✓ 2018 წელს სააგენტომ ჩაატარა ტრენინგი სამედიცინო სფეროში ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით რენტგენოლოგორანტებისა და რადიაციულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირებისთვის;
 - ✓ ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის მფლობელებს ჩაუტარდათ ტრენინგი ელექტრონულ ლიცენზირებასთან დაკავშირებით;

- ✓ 2018 წელს საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა სტომატოლოგთა ასოციაციის წევრებთან;
- ✓ ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის მფლობელებმა 2018 წელს მონაწილეობა მიიღეს სააგენტოსა და აშშ ენერჯეტიკის დეპარტამენტის თანაორგანიზებით ჩატარებულ ტრენინგში ფიზიკური დაცულობის უზრუნველყოფის შესახებ.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ითვალისწინებდა ტრენინგებისა და სემინარების ჩატარებას სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფებისთვის. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 10 ტრენინგი/სემინარი საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისთვის.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 12.3 საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესება და ცნობიერების ამაღლება	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 12.3.2.: ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ
პასუხისმგებელი უწყება:	სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: ჩატარებული სემინარების და ტრენინგების რაოდენობა სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფებისთვის	შესრულებული: ჩატარდა 10 ტრენინგი/სემინარი საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისთვის
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
		რეიტინგი	X			
შესრულებ ის შეფასება		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

თავი 13: მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი მიმართულება

თავი 13 - მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარების გარემოსდაცვითი მიმართულება - მოიცავს 1 ამოცანას და ჯამში 7 ქმედებას. ამოცანის მიზანია მწვანე

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის, მათი მექანიზმების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა და ეროვნულ დონეზე ცოდნის ამაღლება.

თავის ქმედებების უმეტესობა სრულდება არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დონორ(ებ)ის დახმარებით.

ამოცანა 13.1 მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის, მათი მექანიზმების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა და ცოდნის დონის ამაღლება ეროვნულ დონეზე

ამოცანა 13.1-ის შესრულების მიზნით განხორციელდა 5 ქმედება - სანყის ეტაპზე მწვანე ზრდის სტატეგიის შემუშავება, მიმდინარეობდა მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში გარემოსათვის მისაღები ქმედებებისა და რესურსეფექტური წარმოებისა და მოხმარების ხელშეწყობა, მიმდინარეობს „მწვანე ეკონომიკის შესახებ ბათუმის ინიციატივის“ (BIG-E) ვალდებულებების შესრულება, დაწყებულია დიდ ქალაქებში ერთ სულ მოსახლეზე გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირების პროცესი და მომზადებული ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტი. ამოცანის ქმედებები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ.

ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შედეგად, 2017-2018 წლის განმავლობაში:

- ⇒ 2018 წელს მომზადდა ტექნიკური ანგარიში და გრძელვადიანი გათვლები სამი სექტორისთვის, კერძოდ - ტურიზმი, მშენებლობა და სოფლის მეურნეობა
- ⇒ ჩამოყალიბდა რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბები ქუთაისსა და კასპში, რომლებშიც გაერთიანდა 16 მცირე და საშუალო საწარმო
- ⇒ გარემოსათვის მისაღებ ქმედებების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, რესურსეფექტური და სუფთა წარმოების შესაძლებლობების შეფასება ჩატარდა 10 საწარმოში და შემუშავდა რეკომენდაციები, ხოლო 7 საწარმოსთვის მომზადდა საინვესტიციო პროექტები
- ⇒ გაიმართა 3 სამუშაო შეხვედრა ბიზნეს-სექტორის და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან თბილისსა და რეგიონებში
- ⇒ მომზადდა და გაეროს ევროპის ეკონომიკურ კომისიას (UNECE) წარედგინა „მწვანე ეკონომიკის შესახებ ბათუმის ინიციატივის“ განხორციელების შესახებ 2016-2017 და 2017-2018 წლის ანგარიშები
- ⇒ გამოთვლილ იქნა მდგრადი განვითარების მიზანის - 11.6.2-ის ინდიკატორი, რომელიც ეხება ქალაქებში მცირე ზომის მყარი ნაწილაკების შემცველი შემადგენლობის მოსახლეობაზე შეწონილი საშუალო წლიური დონის (მაგ. PM2.5 და PM10) შემცირებას
- ⇒ 2020 წლისთვის ინდიკატორის გამოთვლისთვის გამოყენებულ იქნება 5 ქალაქის მონაცემი
- ⇒ მდგრადი განვითარების მიზნების 11.6 ამოცანის განხორციელების პროგრესის შეფასების მიზნით, ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად განისაზღვრა 11.6.1 ინდიკატორის საბაზისო (84%) და სამიზნე მაჩვენებლები (100%)
- ⇒ მომზადებულია ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა 2019-2021 წლებისთვის, განახლებული სამიზნე მაჩვენებლებით

13.1 ამოცანის განხორციელებისთვის 2017-2018 წლებში სახელმწიფოს მიერ არ იყო გამოყოფილი კონკრეტული ბიუჯეტი - ქმედებები განხორციელდა არსებული საბიუჯეტო რესურსების ფარგლებში ან დაფინანსდა დონორ(ებ)ის მიერ

ქმედება 13.1.1: მწვანე ზრდის სტრატეგიის შემუშავება

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
 ქმედების მიზანი: ქმედების მიზანია საქართველოს მწვანე ზრდის სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება, რომელშიც გაიწერება ქვეყნის მდგრადი განვითარების გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები.

განხორციელებული ღონისძიებები

- 2018 წელს მომზადდა ტექნიკური ანგარიში და გრძელვადიანი ვათვლები სამი სექტორისთვის, კერძოდ - ტურიზმი, მშენებლობა და სოფლის მეურნეობა;
- ამჟამად მიმდინარეობს კონსულტაციები სტრატეგიის შემუშავების საკითხზე.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ითვალისწინებდა მწვანე ზრდის სტრატეგიის შემუშავებასა და დარგობრივ გეგმებში მწვანე ზრდაზე ორიენტირებული ღონისძიებების გათვალისწინებას. საანგარიშო პერიოდში ქმედება არ შესრულდა.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 13.1 მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის, მათი მექანიზმების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა და ცოდნის დონის ამაღლება ეროვნულ დონეზე	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 13.1.1.: მწვანე ზრდის სტრატეგიის შემუშავება
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: შემუშავებული მწვანე ზრდის სტრატეგია	შესრულებული: მწვანე ზრდის სტრატეგია არ არის შემუშავებული
შესაბამის დარგობრივ გეგმებში გათვალისწინებული ღონისძიებები	სექტორული ღონისძიებები არ არის გათვალისწინებული
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
რეიტინგი				X	

შესრულებ ის შეფასება		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს	განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია	განხორციელებ ის პროცესი შწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

- **ქმედება 13.1.2:** საქართველოში მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში გარემოსათვის მისაღები ქმედებებისა და რესურსეფექტური წარმოებისა და მოხმარების ხელშეწყობა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: 2016 წელს საქართველო მიუერთდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის „მწვანე ზრდის დეკლარაციას“, რომელიც წარმოადგენს მწვანე ზრდის სტრატეგიის შემუშავების და შესაბამისი ღონისძიებების გაძლიერების ეფექტიან საშუალებას. მწვანე ეკონომიკის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია რესურსეფექტურობა. შესაბამისად, მწვანე ეკონომიკის განვითარების შემთხვევაში მნიშვნელოვნად მცირდება ბუნებრივი რესურსების არაეფექტური გამოყენება, ნარჩენების წარმოქმნა, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევები და წყლის ობიექტებში გაუნმენდავი წყლის ჩაშვებები. მწვანე ეკონომიკის განვითარება საქართველოს პრიორიტეტია. საერთაშორისო თანამეგობრობა მხარს უჭერს საქართველოში მწვანე ზრდის საფუძვლების შექმნას და მზად არის, აღნიშნული დახმარება კიდევ უფრო გააძლიეროს.

განხორციელებული ღონისძიებები

- ევროკავშირის პროგრამის „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მწვანე ეკონომიკის განვითარება“ (EaP Green) ფარგლებში ჩამოყალიბდა რესურსეფექტური და სუფთა წარმოების კლუბები ქუთაისსა და კასპში, რომლებშიც გაერთიანდა 16 მცირე და საშუალო საწარმო. შემუშავდა ტრენინგ პროგრამა რესურსეფექტურ და სუფთა წარმოების საკითხებზე და მომზადდა სახელმძღვანელო დოკუმენტი. საწარმოების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენინგი სხვადასხვა საკითხზე. ასევე, გადამზადდა და ტრენინგი ჩაუტარდა 8 ეროვნულ ექსპერტს რესურსეფექტური და სუფთა წარმოების მეთოდებზე;
- გარემოსათვის მისაღებ ქმედებების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, რესურსეფექტური და სუფთა წარმოების შესაძლებლობების შეფასება ჩატარდა 10 საწარმოში და შემუშავდა რეკომენდაციები, ხოლო 7 საწარმოსთვის მომზადდა საინვესტიციო პროექტები, რაც ითვალისწინებს რესურსეფექტური და სუფთა ტექნოლოგიების დანერგვასა და გამოყენებას მათ საწარმოში;
- გარდა საწარმოებთან ინდივიდუალური შეხვედრებისა, გაიმართა 3 სამუშაო შეხვედრა ბიზნეს-სექტორის და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან თბილისსა და რეგიონებში აღნიშნულ თემატიკაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 96-მა მონაწილემ.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ითვალისწინებდა მცირე და საშუალო ზომის საწარმოების წარმომადგენლებისთვის კონსულტაციების/ტრენინგების ჩატარებას და რესურსეფექტური წარმოების განსაზღვრებლად რეკომენდაციების მიცემას. ქმედება სრულად შესრულდა, რადგანაც საანგარიშო პერიოდში გარემოსთვის მისაღები ქმედებისა და რესურსეფექტური წარმოებისა და მოხმარების ხელშეწყობის მიზნით კონსულტაცია/ტრენინგი ჩაუტარდა 16 მცირე და საშუალო საწარმოს, ხოლო გარემოსთვის მისაღები ქმედებების დანერგვის კუთხით

რეკომენდაციები გაიცა 17 საწარმოზე. ასევე, აღნიშნულ თემატიკაზე 3 სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც დაესწრო 96 მონაწილე.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნებებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 13.1 მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის, მათი მექანიზმების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა და ცოდნის დონის ამაღლება ეროვნულ დონეზე	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 13.1.2.: საქართველოში მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში გარემოსათვის მისაღები ქმედებებისა და რესურსეფექტური წარმოებისა და მოხმარების ხელშეწყობა
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: მცირე და საშუალო ზომის საწარმოების წარმომადგენლებისათვის კონსულტაციები/ტრენინგები მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის მიცემული რეკომენდაციები	შესრულებული: კონსულტაცია/ტრენინგი ჩაუტარდა 16 მცირე და საშუალო საწარმოს რეკომენდაციები გაიცა 17 საწარმოზე
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
		რეიტინგი	X			
შესრულების შეფასება		განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი					X

• **ქმედება 13.1.3:** „მწვანე ეკონომიკის შესახებ ბათუმის ინიციატივის“ (BIG-E)

ნებაყოფლობითი ვალდებულებების შესრულების და ანგარიშგების კოორდინაცია პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: „გარემო ევროპისათვის“ მინისტრთა მერვე კონფერენციამ, რომელიც 2016 წელს ბათუმში ჩატარდა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში მწვანე ეკონომიკის პოპულარიზაციის საქმეში. საქართველომ, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) წევრ სხვა სახელმწიფოებთან ერთად, მხარი დაუჭირა „მწვანე ეკონომიკის განვითარების პან-ევროპულ სტრატეგიულ ჩარჩოს“ და აიღო ნებაყოფლობითი ვალდებულება, ხელი შეუწყოს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლას და ამით წვლილი შეიტანოს „მდგრადი განვითარების მიზნების“ განხორციელებაში. „მწვანე ეკონომიკის შესახებ ბათუმის

ინიციატივის“ (BIG-E) ფარგლებში საქართველომ აიღო პასუხისმგებლობა ოთხი ქმედების განხორციელებაზე, კერძოდ: (1) საქართველოს მწვანე ზრდის სტრატეგიის შემუშავება; (2) განათლება მდგრადი განვითარებისათვის - სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მომზადება და განხორციელება; (3) საქართველოში “მწვანე” მცირე და საშუალო ზომის საწარმოების პოპულარიზაცია და რესურსეფექტური წარმოებისა და მოხმარების ხელშეწყობა; (4) მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობის პოლიტიკის შემუშავება. საქართველომ ასევე მზადყოფნა გამოთქვა UNECE-ს ყოველწლიურად მიაწოდოს ინფორმაცია BIG-E-ის განხორციელების მიმართულებით მიღწეული პროგრესის შესახებ.

განხორციელებული ღონისძიებები

- მომზადდა და გაეროს ევროპის ეკონომიკურ კომისიას (UNECE) წარედგინა „მწვანე ეკონომიკის შესახებ ბათუმის ინიციატივის“ განხორციელების შესახებ 2016-2017 და 2017-2018 წლის ანგარიშები.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ითვალისწინებდა „მწვანე ეკონომიკის შესახებ ბათუმის ინიციატივის“ განხორციელების შესახებ ანგარიშების მომზადებას. ქმედება სრულად შესრულდა, რადგანაც საანგარიშო პერიოდში გაეროს ევროპის ეკონომიკურ კომისიას (UNECE) წარედგინა „მწვანე ეკონომიკის შესახებ ბათუმის ინიციატივის“ განხორციელების შესახებ 2016-2017 და 2017-2018 წლის ანგარიშები.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 13.1 მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის, მათი მექანიზმების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა და ცოდნის დონის ამაღლება ეროვნულ დონეზე	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 13.1.3.: „მწვანე ეკონომიკის შესახებ ბათუმის ინიციატივის“ (BIG-E) ნებაყოფლობითი ვალდებულებების შესრულების და ანგარიშგების კოორდინაცია
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: „მწვანე ეკონომიკის შესახებ ბათუმის ინიციატივის“ განხორციელების შესახებ მომზადებული და წარდგენილი ანგარიშები	შესრულებული: 2016-2017 და 2017-2018 წწ. ანგარიშები გაეგზავნა გაეროს ევროპის ეკონომიკურ კომისიას (UNECE)
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი	X			
შესრულების შეფასება	განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელების პროცესი მიმდინარეობს	განხორციელების პროცესი შეჩერებულია	განხორციელების პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია

	სტატუსი		X		
--	---------	--	---	--	--

- **ქმედება 13.1.4:** დიდ ქალაქებში ერთ სულ მოსახლეზე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება, მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღების დათმობით ჰაერის ხარისხისთვის და მუნიციპალური და სხვა ნარჩენების მართვის საკითხებზე პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ქმედების მიზანი: მდგრადი განვითარების მე-11 მიზნის მეექვსე ამოცანა მიზნად ისახავს დიდ ქალაქებში ერთ სულ მოსახლეზე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას, მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღების დათმობით ჰაერის ხარისხისთვის და მუნიციპალური და სხვა ნარჩენების მართვის საკითხებზე. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის პროცესი პასუხისმგებლობა აიღო აღნიშნული ამოცანის განხორციელებაზე.

განხორციელებული ღონისძიებები

- მდგრადი განვითარების მიზნების 11.6 ამოცანის განხორციელების პროგრესის შეფასების მიზნით გამოთვლილ იქნა 11.6.2 ინდიკატორი, რომელიც ეხება ქალაქებში მცირე ზომის მყარი ნაწილაკების შემცველი შემადგენლობის მოსახლეობაზე შეწონილი საშუალო წლიური ღონის (მაგ. PM2.5 და PM10) შემცირებას. განისაზღვრა ინდიკატორის საბაზისო მონაცემი, კერძოდ მან 2017 წლისთვის (თბილისის და ბათუმის მაჩვენებლების გათვალისწინებით) შეადგინა: Exp SUM (PM10)=37.89 $\mu\text{g}/\text{m}^3$; Exp SUM (PM2.5)=20.86 $\mu\text{g}/\text{m}^3$. ასევე განისაზღვრა ინდიკატორის სამიზნე მაჩვენებელიც, რომლის მიხედვით:
 - მოსახლეობაზე შეწონილი PM10-ის საშუალო წლიური ღონე არ უნდა აღარააბედეს 40 მკგ/მ3-ს (2018-2030 წწ);
 - მოსახლეობაზე შეწონილი PM2.5-ის საშუალო წლიური ღონე არ უნდა აღარააბედეს 20 მკგ/მ3-ს (2020-2030 წწ)
- 2020 წლისთვის ინდიკატორის გამოთვლისთვის გამოყენებულ იქნება 5 ქალაქის მონაცემი.
- მდგრადი განვითარების მიზნების 11.6 ამოცანის განხორციელების პროგრესის შეფასების მიზნით, ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად განისაზღვრა 11.6.1 ინდიკატორის საბაზისო (84%) და სამიზნე მაჩვენებლები (100%). ინდიკატორი ეხება რეგულარულად შეგროვებული და შესაბამისად გადამუშავებული და განთავსებული მყარი ნარჩენების თანაფარდობას წარმოქმნილი მუნიციპალური მყარი ნარჩენების სრულ რაოდენობასთან დახარისხებული ქალაქების მიხედვით. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს არის მხოლოდ მიახლოებითი მონაცემი, რადგანაც პირდაპირი წესით დათვლილია მხოლოდ ნაგავსაყრელზე არსებული მუნიციპალური მყარი ნარჩენი. რაც შეეხება წარმოქმნილ ნარჩენებს, ინდიკატორის გამოსათვლელად მოხდა მისი სავარაუდო გაანგარიშება (გერმანული მეთოდოლოგიით).

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ითვალისწინებდა ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემების დანერგვასა და საქართველოს ქალაქებში ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას. საანგარიშო პერიოდში ნაწილობრივ არის შესრულებული, რადგანაც განისაზღვრა ჰაერის ხარისხისა და მყარი ნარჩენების მართვის საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლები.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 13.1 მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის, მათი მექანიზმების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა და ცოდნის დონის ამაღლება ეროვნულ დონეზე	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 13.1.4.: დიდ ქალაქებში ერთ სულ მოსახლეზე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება, მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღების დათმობით ჰაერის ხარისხისთვის და მუნიციპალური და სხვა ნარჩენების მართვის საკითხებზე
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
<p>დაგეგმილი:</p> <p>შეგროვებული და კარგად მართული მუნიციპალური მყარი ნარჩენების რაოდენობა</p> <p>ნარჩენების მართვის დანერგილი ეფექტიანი სისტემები</p> <p>ქალაქებში გაუმჯობესებული ჰაერის ხარისხი</p>	<p>შესრულებული:</p> <p>არ არის მონაცემები</p> <p>ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად, განისაზღვრა მდგრადი განვითარების მიზნების 11.6.1 ინდიკატორის საბაზისო (84%) და სამიზნე მაჩვენებლები (100%)</p> <p>განისაზღვრა ჰაერის ხარისხის საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლები</p>
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

		სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
		რეიტინგი			X	
შესრულების შეფასება		განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს	განხორციელები ს პროცესი შეჩერებულია	განხორციელები ს პროცესი შეწყვეტილია	განხორციელების პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X			

- **ქმედება 13.1.5: ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცება და განხორციელება**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ქმედების მიზანი: ქმედების მიზანია საქართველოს ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება, დამტკიცება და განხორციელება.

განხორციელებული ღონისძიებები

- მომზადებულია ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა 2019-2021 წლებისთვის, განახლებული სამიზნე მაჩვენებლებით.

ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება

ქმედება ითვალისწინებდა ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმის დამტკიცებასა და ენერგოტევადი სექტორებისთვის ენერგოეფექტური ღონისძიებების განსაზღვრას. ქმედება არ შესრულდა, რადგანაც 2017-2020 წლების სამოქმედო გეგმა დროულად ვერ დამტკიცდა. აქედან გამომდინარე, გეგმა განახლდა, ღონისძიებების იმპლემენტაცია განისაზღვრა 2019-2021 წლებისთვის, განახლდა სამიზნე მაჩვენებლებიც.

ქმედებას არ აქვს კონკრეტული ბიუჯეტი და არ მოითხოვს დამატებით ასიგნირებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ქმედება ხორციელდება დონორის გრანტით.

ამოცანა 13.1 მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების პოლიტიკის, მათი მექანიზმების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა და ცოდნის დონის ამაღლება ეროვნულ დონეზე	
ქმედების ნომერი და სახელწოდება	ქმედება 13.1.5.: ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცება და განხორციელება
პასუხისმგებელი უწყება:	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი	01.01.2017 – 31.12.2018
შესრულების ინდიკატორები	
დაგეგმილი: დამტკიცებული სამოქმედო გეგმა	შესრულებული: გეგმა არ დამტკიცდა
ენერგოტევადი განსაზღვრული ღონისძიებები	სექტორებისთვის ენერგოეფექტური ღონისძიებების განსაზღვრა მოხდება გეგმის დამტკიცების შემდეგ
ბიუჯეტი	
საპროგნოზო: -	ფაქტობრივი: -

შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	
	რეიტინგი			X	
	განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა	განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს	განხორციელები ს პროცესი შეჩერებულია	განხორციელები ს პროცესი დაწყებულია	განხორციელები ს პროცესი დასრულებულია
	სტატუსი		X		